


საპროცესო შეთანხმება საქართველოში

საქართველოს გამჭვირვალობა _ საქართველოს-
ანგარიშები და პრეზენტაციები



სარჩევი

■ საპროცესო შეთანხმება საქართველოში	3
■ 1. საქართველოში საპროცესო შეთანხმების შემოღების მოკლე ისტორია	4
■ 2. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი	6
■ 3. საპროცესო შეთანხმება პრაქტიკაში	11
■ 4. შეფასებები და რეკომენდაციები	23



■ საპროცესო შეთანხმება საქართველოში

საპროცესო შეთანხმება საქართველოში 2004 წლის დასაწყისიდან დამკვიდრდა. მართალია საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი მაჩარჩომ დღემდე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა, დაამუშადა საკმაოდ დაშორდა თავის პირვანდელ სახეს, მაგრამ ამ ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, შეიძლება ვთქვათ, რომ უცვლელია. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ არც საპროცესო გარიგების მიზანია ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი და არც ის, თუ რეალურად როგორ ხორციელდება იგი.

ეს კვლევა მიზნად ამ ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ხარისხის ზრდას ისახავს. ამისათვის ანგარიში საკითხს კომპლექსურად განიხილავს. პირველ თავში მოცემულია მცირე შესავალი კონტექსტის და ინსტიტუტის შემოღების საფუძვლების სრულფასოვნად გასააზრებლად. მეორე თავი მცირე საკონონმდებლო მიმოხილვას წარმოადგენს, ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ჩარჩოს ძირითადი ასპექტების გასამართად. მესამე თავი ამ ინსტიტუტის რეალურ ფუნქციონირებას განიხილავს. ამისათვის ორი ძირითადი მეთოდი გამოვიყენეთ. პირველ რიგში, სასამართლოებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მოვიპოვეთ საპროცესო შეთანხმების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. ეს ობიექტური ოფიციალური მონაცემები გვაძლევს საშუალებას მიუკერძოებლად განვიხილოთ არსებული ზოგადი სიტუაცია და დასკვნები გამოვიტანოთ. მეორეს მხრივ, მშრალი სტატისტიკური მონაცემების მიღმა არსებული სიტუაციის შესაფასებლად, ვესაუბრეთ იმ მხარეებს, რომლებსაც ყველაზე მეტად აქვთ კავშირი სისტემის რეალურ ფუნქციონირებასთან – უფლებადამცველებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროკურატურისა და სასამართლოს წარმომადგენლებს. მათი სუბიექტური, თუმცა ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაყრდნობილი, გამოცდილება და რწმენა უზრუნველყოფს ანგარიშში განსხვავებული და, ზოგ შემთხვევაში, რადიკალურად დაპირისპირებული მოსაზრებების წარმოჩენას. საკითხის სხვადასხვა რაკურსით განხილვა კი საშუალებას გვაძლევს, უფრო გაცნობიერებულად ჩამოვაყალიბოთ შეხედულება და საკუთარი დასკვნები გამოვიტანოთ.

მეოთხე, დასკვნით თავში, კვლევის ძირითად მიგნებებსა და დასკვნებს წარმოვაჩინთ და მათზე დაყრდნობით რამდენიმე რეკომენდაციას ვაყალიბებთ საქართველოში საპროცესო შეთანხმების სისტემის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ანგარიშს თან ოთხი დანართი ახლავს. დანართი N1 საპროცესო შეთანხმების ქართული კანონმდებლობის ვრცელ სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს. დანართი N2 ჩვენს მიერ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებიდან მოპოვებულ საქმეთა მონაცემთა ბაზაა. ჩვენ შევეცადეთ, ცხრილის საშუალებით გადმოგვეცა ძირითადი ინფორმაცია თითოეული საქმის შესახებ, ცხადია, ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული პირადი ინფორმაციის დაცვის ვალდებულებათა შესაბამისად. დანართი N3 ჩვენს მონაცემთა ბაზაში არსებული რამდენიმე საინტერესო საქმის ანალიზს მოიცავს. საინტერესოდ ის საქმეები მივიჩნიეთ, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენს მონაცემთა ბაზაში დანაშაულისა და სასჯელის ზოგადი ტენდენციებისაგან. დანართი N4 საპროცესო შეთანხმების ქართულ მოდელს საერთაშორისო გამოცდილებასთან შედარებით განიხილავს. კერძოდ, მომიხილულია აშშ-ისა და ესტონეთის კანონმდებლობა და პრაქტიკა.



■ 1. საქართველოში საპროცესო შეთანხმების შემოღების მოკლე ისტორია

საქართველოში საპროცესო შეთანხმების შემოღება ფეხდაფეხ მოჰყვა 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციას“ და მის სრულფასოვნად გასააზრებლად კონტექსტის გათვალისწინებაცაა აუცილებელი. რევოლუციის წარმატების მიზეზი არსებული სიტუაციით საყოველთაო უკმაყოფილება იყო. სახელმწიფო უუნარო იყო, მმართველობის ყველა სფერო და დონე – კორუპირებული, ხალხი ყველგან უსამართლობას აწყდებოდა და თავს დაუცველად და უძლურად გრძნობდა. ახალ ხელისუფლებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი, და თანაც დაუყოვნებლივ, სანამ რევოლუციის წარმატებით გამოწვეული ეიფორია და ნდობა საშუალებას მისცემდა, რადიკალური ცვლილებები მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გარეშე განეხორციელებინა. ხელისუფლებას უნდა შეეცაო დაცარიელებული სახელმწიფო ბიუჯეტი, უნდა აღედგინა რეალური სახელმწიფოებრიობა – რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გადაწყვეტილებებს სახელმწიფო იღებს და აღასრულებს კიდევ, და აღედგინა სამართლიანობის განცდა. ეს ყველაფერი საჯაროდ უნდა გაკეთებულიყო, რომ ხალხს ხელისუფლების რწმენა არ შერყოდა.


ამ ვითარებაში ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი შევარდნაძის ხელისუფლების ჩინოვნიკების და მისი შიდა წრის საჯარო შევიწროება იყო. მათ ტელეკამერების თანდასწრებით აკავებდნენ და კორუფციასა და სახელმწიფო სახსრების მიტაცებაში ადანაშაულებდნენ. თუმცა ეს ადამიანები, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან და არც ოფიციალური სასჯელი მოუხდიათ. სახელმწიფო მათ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას აიძულებდა, რაც რამდენიმე გახმაურებულ შემთხვევაში მილიონობით დოლარს შეადგენდა, და სანაცვლოდ სხვაგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა. ეს პროცესი 2003 წლის დეკემბრიდან დაიწყო. საპროცესო შეთანხმების შემოღების ინიციატივა კი მხოლოდ 2004 წლის იანვრის ბოლოს¹ გახმაურდა და საბოლოოდ 13 თებერვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების თვალში გახმაურებული კორუფციული საქმეები სწორედ საპროცესო შეთანხმებასთან არის ასოცირებული. სამართლიანად თუ უსამართლოდ, სწორედ აქედან გამომდინარეობს საპროცესო შეთანხმების, როგორც დამნაშავის მიერ თავისუფლების ყიდვის ინსტრუმენტის რეპუტაცია.

თუმცა, როცა სამართლისა და თავისუფლების ყიდვას ვახსენებთ, შეუძლებელია, ქართული სასამართლო სისტემის რეპუტაციის საკითხს გავეჩვენო. პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სასამართლო ხელისუფლება ისევე კორუპირებულად აღიქმებოდა², როგორც, მაგალითად, პოლიცია, ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა. შესაბამისად, ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებული დიდი ანტიკორუფციული კამპანიის ფარგლებში სასამართლო სისტემასაც ბევრი ცვლილება შეეხო და მნიშვნელოვნად გაიწმინდა მოსამართლეთა რიგები. ეს წმენდა უზენაეს სასამართლოსაც³ კი შეეხო და დაადასტურა, რომ, მეთოდების კანონიერებისა და კორექტულობის საკითხების საკამათოობის მიუხედავად, სახელმწიფოს სასამართლო სფეროში სიტუაციის კონტროლი შეეძლო. ცალკე განხილვის საგანია ის, თუ რამდენად ნიშნავს სიტუაციის კონტროლი თავად მოსამართლეთა გადაწყვეტილებების კონტროლს. გადაჭარბება არ იქნება ვთქვათ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სამართალი ქრთამზე დამოკიდებულის ნაცვლად სახელმწიფოზე დამოკიდებული გახდა. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს გარკვეულწილად სახელმწიფოც აღიარებს, როდესაც სასამართლოს დამოუკიდებლობის

1 სივილ ჯორჯია 29.01.2004 პრეზიდენტი ეჭვმიტანილ მაღალჩინოსანთა დაკავების პროცედურის გაადვილების ინიციატივით გამოდის <http://civil.ge/geo/article.php?id=5925&search=> ჩამოტვირთულია 12.09.2010

2 სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა იმდენად დაბალი იყო, რომ „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ 2004 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ ამომრჩეველთა კვლევაში სასამართლო საერთოდ ვერ მოხვდა იმ ინსტიტუტთა ჩამონათვალში, რომელთა მიმართ ნდობასაც იკვლევდნენ.

3 სივილ ჯორჯია, 26.12.2005 კულბაშვილი: მოსამართლეები ხელშეუხებელი ადარ იქნებიან ჩამოტვირთულია გვერდიდან: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=11347&search=>



ხარისხის გასაზრდელად რეფორმებს გვპირდება. საზოგადოების მხრიდან სასამართლოს დაბალ ნდობაზე მეტყველებს კვლევების შედეგებიც. მართალია, შეგვიძლია ვისაუბროთ ნდობის ხარისხის გარკვეულ ზრდაზე რევილუციის შემდეგ პერიოდში, მაგრამ ეს გაუმჯობესებული მონაცემებიც კი სავალალო მდგომარეობაზე მეტყველებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“⁴ მიხედვით წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეები სასამართლო სისტემას ყველაზე კორუპირებულად მიიჩნევენ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. 2004 წლის ბარომეტრი იყო ერთადერთი, როდესაც კორუფციის მხრივ სასამართლომ პირველობა პოლიციას დაუთმო, თუმცა ქულის სულ რამდენიმე შეათედით. 2004 და 2005 წლებში სასამართლომ, შესაბამისად, 3.8 და 3.9 ქულა მიიღო 5 ქულიან შკალაზე, სადაც 1 ქულა სრულ არაკორუპირებულობას აღნიშნავდა და 5 სრულიად კორუპირებულობას. მდგომარეობა არც შემდეგ წლებში გამოსწორებულა. 2007 წლის ბარომეტრი აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეთა 41% თვლიდა სასამართლოს კორუპირებულად, 2009 წელს კი – 37%.

„გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ მიერ ნაჩვენებ ზოგად სურათს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფოკუსი კორუფციაა და არა ზოგადი ნდობა, სხვა კვლევებიც ადასტურებენ.

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ ამომრჩეველთა კვლევების⁵ მიხედვითაც სასამართლო სისტემა საზოგადოების ნდობის მხრივ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ბოლო ორი გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით ნდობის მხრივ პროგრესი შეინიშნება – 2009 წლის ივნისის მონაცემებთან შედარებით 2009 წლის ოქტომბრის კვლევის მიხედვით სასამართლოს მიმართ კეთილგანწყობილთა რიცხვი 12 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ამის გათვალისწინებითაც კი, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის 42%-ია კეთილგანწყობილი და 42% – არაკეთილგანწყობილი.

ქართული სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივ აზრზე კიდევ უფრო ფართო წარმოდგენის შექმნა „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ „კავკასიის ბარომეტრის“⁶ მეშვეობით შეგვიძლია. 2009 წლის კვლევის შედეგების მიხედვით სასამართლოს საქართველოს მოსახლეობის 24.5% ენდობა და 27.4% არ ენდობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხულთა 32.6% სასამართლოზე ჩამოყალიბებული აზრი არ აქვს, და აცხადებს რომ, „არც ენდობა და არც არ ენდობა“ მას. სასამართლოს მიმართ ნდობისათვის მნიშვნელოვანია სასამართლოს სამართლიანობის ნდობა და ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა. მოსახლეობის 54.4% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველოს სასამართლოები მოსახლეობის ნაწილს სამართლიანად ექცევა, ხოლო ნაწილს – უსამართლოდ“ და მხოლოდ 12.1% იზიარებს აზრს, რომ „საქართველოს სასამართლოები ყველას სამართლიანად ექცევა და არავის ანიჭებს უპირატესობას“. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მოქალაქეთა 33.9%-ის აზრით სასამართლოები მთავრობის მხრიდან ზეწოლას განიცდიან და მოქალაქეთა მხოლოდ 27.8%-ის აზრით არიან ისინი პოლიტიკურად დამოუკიდებელი. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მოქალაქეთა მესამედს – 33.9%, ამ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი არ აქვს. ვერც ეს ჩაითვლება სასამართლო სისტემის ნდობის მაღალ მაჩვენებლად.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სასამართლოს მიმართ დაბალი საზოგადოებრივი ნდობის, სასამართლო სისტემის ფუნქციონირების არაეფექტურობისა და ნელი მართლმსაჯულების პირობებში შემოიღეს, სხვა რეფორმებთან ერთად. შემდეგი თავი იმ სამართლებრივ ჩარჩოს მიმოიხილავს⁷ რომელიც საპროცესო შეთანხმების ქართულ მოდელს განსაზღვრავს.

4 „გლობალური კორუფციის ბარომეტრისა“ და მისი მეთოდოლოგიის შესახებ ამომწურავი ინფორმაციისა და სხვადასხვა წლის ბარომეტრების შედეგების ნახვა შესაძლებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ვებ გვერდზე (ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე) შემდეგ ბმულზე: http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/gcb

5 „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები განთავსებულია ვებ გვერდზე: <http://www.iri.org.ge/geo/geomain.htm>

6 ბარომეტრის სრული მონაცემების ჩამოტვირთვა შესაძლებელია „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ ვებ გვერდიდან, მოკლე ანკეტის შევსების შემდეგ, ბმულზე: <http://www.crrc.ge/caucasusbarometer/datasets/>

7 საპროცესო შეთანხმების ქართული კანონმდებლობის ვრცელი სამართლებრივი ანალიზი მოცემულია დანართ N1-ში.



■ 2. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი

საპროცესო შეთანხმება ქართულ კანონმდებლობაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (სსსკ) 2004 წლის 13 თებერვლის ცვლილებებითა და დამატებების შეტანით გამოჩნდა⁸. ინოვაციის მიზანი სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით „სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა“ იყო (მუხლი 15¹). შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადება ყველა კატეგორიის დანაშაულის (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე) შემთხვევაში არის შესაძლებელი.

საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის განვითარებაში სამი ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ: 1) 2004 წლის 13 თებერვლის ცვლილებებით შემოსული პირვანდელი სახე 2) ცვლილებები და დამატებები საპროცესო შეთანხმების თავში 2009 წლამდე, რასაც პირობითად 2005 წლის მოდელი შეგვიძლია ვუწოდოთ, 2005 წლის 25 მარტის მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო; და 3) 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული სახე, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. საპროცესო შეთანხმების ბოლო ორ სახეს შორის ნაკლები არსებითი განსხვავებაა და შესაძლებელია იმის თქმაც, რომ რეალურად მხოლოდ ორ – 2004 და 2005 წლების ვარიანტთან გვაქვს საქმე. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულიად ახლებურად უდგება პროცესს და სხვა პრინციპებზეა აგებული, თუნდაც ეს საპროცესო გარიგების საკითხს ნაკლებად შეეხებოდეს, ჩავთვალოთ, რომ მისი ცალკე მოდელად გამოყოფა ლოგიკური იქნებოდა.

ეს თავი საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის განვითარებას განიხილავს, აფასებს მნიშვნელოვან ცვლილებებს და მათ შედეგებს.

■ 2.1 საპროცესო შეთანხმების არსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2004 წლის რედაქციით საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველი იყო ბრალდებულის თანხმობა, ეთანამშრომლა ბრალდების მხარესთან, ელიარებინა დანაშაული და გამოძიებისათვის მიეწოდებინა უტყუარი ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები მძიმე დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რაც ამ დანაშაულის გახსნას ხელს შეუწყობდა. ამ შემთხვევაში პროკურორს უფლება ჰქონდა, ეშუამდგომლა სასამართლოსთან საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე (მუხლი 679¹.2).

თუმცა, კანონის ამოქმედებიდან რამდენიმე თვის შემდეგ განხორციელებული ცვლილებებით (კანონი N 214, 24.06.2004), საპროცესო შეთანხმების საფუძველი ორად გაიყო და მითითებულ იქნა ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმება. ბრალზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს ან/და თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ხოლო სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში დანაშაულს არ აღიარებდა, თუმცა თანამშრომლობდა გამოძიებასთან და ეთანხმებოდა პროკურორს სასჯელის ზომაზე, ან მისგან სრულიად განთავისუფლებაზე.

2005 წლის მოდელით ორივე – ბრალზე ან სასჯელზე, შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული გათავისუფლდა გამოძიებასთან თანამშრომლობის და დახმარების პირობისგან. რადგან ორივე შემთხვევაში საპროცესო შედეგათები და სამართლებრივი შედეგი – ნასამართლეობის სტატუსი – იდენტურია, ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებას შორის რეალური პრაქტიკული განსხვავება აღარ რჩება.

8 ამ ტექსტში მოხსენიებული მუხლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მუხლებია, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. მუხლები მითითებულია ამჟამად მოქმედი სსსკ-ს ნუმერაციით, და არა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შესული კანონის მიხედვით, თუ ტექსტში სხვაგვარად არ არის მითითებული.



საპროცესო შეთანხმებისას გამოძიებასთან თანამშრომლობა სავალდებულო დარჩა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე სასჯელისგან სრულიად გათავისუფლებას შეეხებოდა და ის უკვე ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 679⁹ –ე მუხლი განმარტავს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის თანამშრომლობის შედეგად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ან დამნაშავე თანამდებობის პირის ვინაობა დადგინდება და დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები შეიქმნება, საქართველოს მთავარ პროკურორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს ბრალდებულის სასჯელისგან სრულად განთავისუფლების შუამდგომლობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე მოდელში დროთა განმავლობაში შეტანილი ცვლილებებით ეს მუხლი დაიხვეწა. მაგალითად, დაზუსტდა, რომ სასჯელისგან განთავისუფლების შემთხვევაშიც პირი ნასამართლევად ითვლება (679⁹.1), და რომ დაუშვებელია სასჯელისგან სრულად განთავისუფლება მხოლოდ ჯარიმის ან თანხის გადახდის სანაცვლოდ (679⁹.4). თუმცა, ეს უკანასკნელი დებულება მეტად ბუნდოვანია. გაუგებარია, როგორ შეიძლება პირი სასჯელისგან სრულიად გათავისუფლებულად ჩაითვალოს თუ მას ჯარიმის გადახდა დაეკისრება – რაც, თავისთავად, სასჯელის ერთ-ერთი სახეა. ამასთან, ისიც მეტად ბუნდოვანია, ჯარიმის გარდა რა თანხაზეა აქ საუბარი.

მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. მაგრამ, 679⁹ –ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვთ, სასამართლოს შუამდგომლობით მიმართონ პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრება. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონით დაზუსტებული არაა, რას შეიძლება ნიშნავდეს განსაკუთრებული შემთხვევა, და ეს ფართო ინტერპრეტაციის საგანი შეიძლება გახდეს.

კანონის პირველი რედაქციის მიხედვით საპროცესო გარიგების შეთავაზება მხოლოდ პროკურორს შეეძლო. 2005 წლიდან კი გარიგების შეთავაზების უფლება ბრალდებულს და სასამართლოსაც მიეცათ. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო შეთანხმებას ორივე – დაცვის და ბრალდების, მხარის თანხმობა და შემდეგ სასამართლოს მიერ დადასტურება სჭირდება, ინიცირების უფლების არააქსკლუზიურობას პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ უნდა მოჰყოლოდა.

ბრალზე შეთანხმებით ბრალდებული უარსამბობს საპროცესო კანონით დადგენილ მთელ რიგ უფლებებზე (მაგ. არ მისცეს თავისი საწინააღმდეგო ჩვენება, მისი საქმე განხილულ იქნას არსებითად, მხარეთა მონაწილეობით, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ა.შ.). ამის გამო საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვისას კანონით ბრალდებულის უფლებების დასაცავად რამდენიმე გარანტიაა გათვალისწინებული. კერძოდ, შეთანხმება დადებული უნდა იქნეს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ, ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ანუ ნებაყოფლობით (679⁹.1). აქ აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას კანონი სავალდებულოდ მოითხოვს, ბრალდებულს იურიდიული განათლების მქონდე დამცველი ჰყავდეს.

ბრალდებულს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე ნებისმიერ დროს აქვს უფლება უარი თქვას შეთანხმებაზე და მოითხოვოს საქმის არსებითი განხილვა. უარის განცხადებას დამცველის თანხმობა არ სჭირდება (679⁹.7). ამასთან, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების, ან ბრალდებულის მიერ შეთანხმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება (679⁹).



■ 2.2 შეთანხმებისათვის აუცილებელი პირობები

საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი მოდელის მიხედვით ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე ასპექტი, რომელიც მხედველობაში უნდა მიღებულიყო შეთანხმების დადებისას (6791.3). მათ შორის: დ) სასამართლოს მიერ ბრალდებულის დამნაშავედ აღიარების შესაძლებლობა, ვ) სასამართლოში საქმის განხილვის მიმართ საჯარო ინტერესი, და თ) სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში დაზარალებულის მდგომარეობა დამისი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების საჯარო ვალდებულება. ამ ასპექტთა სრული ჩამონათვალი 2005 წლის შემდეგ უკვე ამოღებულია კანონმდებლობიდან.

კანონის ამ ვერსიით სასჯელის შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად პროკურორს ევალება დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმის დაქმედების მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალულობის ხარისხის გარდა საჯარო ინტერესიც გაითვალისწინოს (6791.6).

საჯარო ინტერესი კანონის არც 2005 წლის და არც 2009 წლის რედაქციით არის ნათლად განმარტებული. ის მხოლოდ პირველი ვერსიის 6791.6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იყო დაზუსტებული, როგორც ინტერესი, „მაქსიმალური ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსები“. ამ დაზუსტების ამოღებით საჯარო ინტერესი ფაქტობრივად განუსაზღვრელი და სრულიად სუბიექტური დარჩა.


საკუთრივ შეთანხმების დასადავად, კანონის მიხედვით, აუცილებელი პირობებია ბრალდებულის დამცველის სავალდებულო მონაწილეობა და შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი წერილობითი თანხმობა, ისევე, როგორც ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობა.

■ 2.3 მოსამართლის როლი

მოსამართლე არა მხოლოდ განიხილავს მის წინაშე პროკურორის წარმოდგენილ საპროცესო შეთანხმებას. საპროცესო კოდექსის 2005 წლის ცვლილებებით ის ასევე უფლებამოსილია, სასამართლო განხილვის დაწყებისას მხარეებს საპროცესო შეთანხმების დადება შესთავაზოს.

თავად შეთანხმების განხილვისას სასამართლო ამოწმებს, რომ ბრალდებული იცნობს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ მოთხოვნას (6793.2). ამასთან, მოსამართლე სპეციფიურად იმასაც ამოწმებს ბრალდებულისაგან, რომ სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. მოსამართლე ასევე განუმარტავს ბრალდებულს, რომ მის მიერ ამგვარი მოპყრობის გამო საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას (6793.21).

მოსამართლესთან წარდგენილ საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობაში, თავად შეთანხმების გარდა, მითითებული უნდა იყოს ბრალდების ფორმულირება, მტკიცებულებები, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული და პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა (6792.1). შუამდგომლობა საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, სადაც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია (6792.4). ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი მხოლოდ შეთანხმების ხელმომწერებისათვის, სასამართლოსათვის და იმ პირისა და მისი დამცველისთვის, ვისაც შეეხება ეს მამხილებელი ინფორმაცია (6791.10). ეს უკანასკნელი მუხლი მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული კანონის პირველ რედაქციასთან შედარებით, რომლის 6792-ე მუხლის მე-4 ნაწილი მთელი შუამდგომლობის კონფიდენციალურობას ითვალისწინებდა. მხილებული პირისა და მისი დამცველისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება კი გამომდინარეობს პირის უფლებიდან, იცოდეს რაში ედება ბრალი, ვინ სდებს ბრალს და რა მტკიცებულებებია ამისათვის გამოყენებული.



მოსამართლე მის წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობისა და მტკიცებულებების მიხედვით, კანონის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს შორის მიღწეული შეთანხმება (6793.3). აღსანიშნავია, რომ კანონის პირველად რედაქციაში მოსამართლეს საპროცესო შეთანხმების დამტკიცება-არდამტკიცების გარდა გაცილებით უფრო ფართო უფლებამოსილება ჰქონდა. 6794 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ მოსამართლე პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევდა, მას სასჯელის შემსუბუქების უფლება ჰქონდა. 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით კი (კანონი N4212) მოსამართლეს სასჯელის შემსუბუქების საშუალება ერთმევა და მას მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში აქვს ცვლილებების შეტანის უფლება. ეს ცვლილება ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც პროკურატურის უფლებების გაფართოება სასამართლოს უფლებების მნიშვნელოვანი შეკვეცის ხარჯზე.

სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეუძლია დანიშნოს შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ამ მუხლის განხილვისას ორი საკითხია მნიშვნელოვანი. პირველი ისაა, რომ კანონმდებლობა მინიმალურ სასჯელზე უფრო ნაკლები სასჯელის დანიშვნას უშვებს. სასჯელის განსაზღვრა კი ზოგადად მოსამართლის ექსკლუზიური უფლებაა. მეორეს მხრივ, მინიმალურ სასჯელზე ნაკლების შეფარდება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების პირობებში შეიძლება მოხდეს. ამ შემთხვევაში კი, სასჯელის ზომას პროკურორი განსაზღვრავს. მართალია სასჯელის ზომას ბრალდებულის ეთანხმება, მაგრამ მას პროკურორთან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლები ბერკეტი აქვს, განსაკუთრებით კი ქართულ რეალობაში. იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეს მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის დამტკიცება-არდამტკიცება და მხარეებისათვის სასჯელის ან სხვა პირობის შეცვლის მხოლოდ შეთავაზება შეუძლია, და არა სასჯელის ზომაზე საკუთარი, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, სასჯელის შემსუბუქება, ფაქტობრივად, მხოლოდ პროკურორის პრეროგატივა ხდება. გამოდის, რომ ამ მხრივაც მოსამართლის უფლებები გაცილებით უფრო შეზღუდულია პროკურორის სასარგებლოდ.

■ 2.4 დაზარალებულის მდგომარეობა

საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობის ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიცვალა დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობაც. თუ კანონის პირველი რედაქციით საპროცესო შეთანხმების დადებისას მხედველობაში მიიღებოდა „სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში დაზარალებულის მდგომარეობა და მისი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების საჯარო ვალდებულება“, 2005 წლის 25 მარტის ცვლილებებით (კანონი N1204) ეს ასპექტი კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა.

მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულის მდგომარეობას 6798 მუხლით არეგულირებს (24.06.2004 კანონი N214), რომლის მიხედვითაც, პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ შეატყობინოს. დაზარალებულს უფლება არა აქვს შეთანხმება გაასაჩივროს, ან შეეწინააღმდეგოს, მაგრამ სრული უფლება აქვს, სამოქალაქო სარჩელი შეიტანოს. სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შედის ძალაში, აღნიშნულს იმასაც ურთავს, რომ პროკურორი ვალდებულია არა მხოლოდ შეატყობინოს ბრალდებულს შეთანხმების შესახებ, არამედ მასთან ამის თაობაზე კონსულტაცია გაიაროს (217-ე მუხლის ნაწილი 1). თუმცა, კონსულტაციის აუცილებლობის ფაქტი, სავარაუდოდ, იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ შეთანხმების დადების გადაწყვეტილების ან მისი პირობების მიმართ დაზარალებულის დამოკიდებულება გადამწყვეტი იქნება. ამ შემთხვევაში კი კონსულტაცია აზრს კარგავს.




■ 2.5 საპროცესო შეთანხმების დამტკიცება

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები უტყუარია, პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი კი – კანონიერი, მას განაჩენი შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში გამოაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე პროკურატურას უბრუნდება. თუმცა, საქმის უკან დაბრუნებამდე მოსამართლეს შეუძლია, მხარეებს შეთანხმების პირობების შეცვლა შესთავაზოს (6794.4 და 6794.5). სასამართლო განაჩენით დამტკიცებული შეთანხმება ძალაში გამოცხადებისთანავე შედის და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (6797.2). გამონაკლისია მხოლოდ მსჯავრდებულის უფლება, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი შეთანხმების გაუქმების მოთხოვნით, თუ: ა) შეთანხმება მოტყუებით დაიდო; ბ) ბრალდებულს დაცვის უფლება შეეზღუდა; გ) შეთანხმება იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით დაიდო; დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობის არსებითი მოთხოვნა (6796.1). პროკურორს კი საპროცესო შეთანხმების გაუქმების მოთხოვნა იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ბრალდებულმა შეთანხმების პირობა დაარღვია. პროკურორს ზემდგომ სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში აქვს (6796.2).

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარეს თანაბრად სამართლიანი საფუძველი აქვს საპროცესო შეთანხმების გაუქმების მოთხოვნისათვის, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ პროკურორის უპირატესი მდგომარეობა, როცა საქმე საჩივრის ვადებს შეეხება. თუმცა, აქ ვადების უთანაბრობაზე უფრო მნიშვნელოვანი ბრალდებულისა და პროკურორის აბსოლუტურად არათანაბარი სამოქმედო პირობებია. ძნელადაა წარმოსადგენი, რომ დაშინებისა და ზეწოლის შემთხვევაში, როცა ბრალდებული სასამართლოსაც უდასტურებს შეთანხმებაზე ნებაყოფლობით თანხმობას, განაჩენის გამოტანიდან ორ კვირაში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალოს და ბრალდებულს შიშის საფუძველი მოეხსნას. ამის საპირისპიროდ, პროკურორს შეთანხმების გაუქმების მოთხოვნის მეტად ბუნდოვანი საფუძველი აქვს. ბუნდოვანება რამდენიმე საკითხს შეეხება. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო შეთანხმების დასადებად ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმება აუცილებელი და არა თანამშრომლობა, რაც მხოლოდ სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლებისათვისაა აუცილებელი. გაუგებარია, ბრალდებულს რა პირობის დაარღვევა შეუძლია ამ შემთხვევაში. მეორეც, თანამშრომლობის მოთხოვნის პირობებშიც მხოლოდ პროკურორი განსაზღვრავს, ასრულებს თუ არა ბრალდებული ამ მოთხოვნას, და როგორ. მესამე, პროკურორს უფლება აქვს შეთანხმების გაუქმება მოითხოვოს არა შეთანხმების დადებიდან ერთი თვის, არამედ დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში. პროკურორს ესეც ფაქტობრივად განუსაზღვრელ ვადას აძლევს შეთანხმების გაუქმების მოსათხოვნად.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების სისტემის განვითარების მიმოხილვის შემდეგ იმის თქმა შეიძლება, რომ დროთა განმავლობაში საპროცესო შეთანხმების გაფორმება გაცილებით უფრო მარტივი გახდა. ეს, სავარაუდოდ, სწორედ მართლმსაჯულების სისწრაფის უზრუნველსაყოფად მოხდა, რაც თავიდანვე საპროცესო შეთანხმების შემოღების ერთ-ერთ მიზნად იყო დასახელებული. თუმცა, მეორე – ეფექტიანი მართლმსაჯულების, მიზნის მისაღწევად, შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს. შემდეგი თავიც სწორედ იმას განიხილავს, რეალურად როგორ ფუნქციონირებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ქართულ კონტექსტში.




3. საპროცესო შეთანხმება პრაქტიკაში

საპროცესო შეთანხმება საქმეების სწრაფად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, რაც სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან სასამართლოს ეფექტურობის ერთ-ერთ ინდიკატორად აღიქმება. თუმცა სისტემის ეფექტიანობაზე აზრები იმიჯნება, უდავოა, რომ საპროცესო შეთანხმებით მნიშვნელოვნად განიტვირთა საქართველოს ციხეები და შემსუბუქდა სასამართლოს დატვირთვა.

მთავრობის „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის პირობებში სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. პრეზიდენტის მიერ 2006 წლის 14 თებერვალს ამ პოლიტიკის გამოცხადების⁹ ეფექტები ნათელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2006 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა (13 602) თითქმის ორჯერ მეტია 2005 წლის მონაცემთან (7 358) შედარებით. სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია 2009 წელს შეჩერდა, თუმცა ამ წელს ახალი საქმეების რაოდენობამ 15 592 შეადგინა¹⁰. საქმეთა რაოდენობის ზრდის ტენდენციის შეჩერების მიუხედავად 2010 წლის ზაფხულისათვის ქართულ ციხეებში სასჯელს 22 62811 ადამიანი იხდიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან ყოველ 100 000 ადამიანზე 514 მსჯავრდებული მოდის და მსჯავრდებულთა წილის სიდიდის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა.

გრაფიკი #1 პატიმართა რიცხოვნობა საქართველოში (2001-2009)

პატიმართა რიცხოვნობა (2001 - 2009)



ამასთან, საქართველოში მოსამართლეთა რაოდენობა სულ 281 შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ მოსამართლეზე საშუალოდ 15 ათას ადამიანზე მეტი მოდის. შედარებისათვის, ესტონეთში ეს შეფარდება ორჯერ უკეთესია¹¹. ამ სიტუაციაში საპროცესო შეთანხმების გარეშე მოსამართლეებს გაცილებით უფრო გაუჭირდებოდათ საქმეებისთვის თავის გართმევა.

⁹ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე. 14.02.2006 გამოსვლის ტექსტი განთავსებულია პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ გვერზე: http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=CEO&sec_id=228&info_id=2686

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცნობით (წერილი N15-კ, 26.03.2010) სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის სტატისტიკა ასეთია: 2005 წელი – 7 358, 2006 – 13 602, 2007 – 17 526, 2008 – 17 639, 2009 – 15 592.

¹¹ ლონდონის კინგს კოლეჯი, მსოფლიოს ციხეების ცნობარი, საქართველოს მონაცემები ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.kcl.ac.uk/depsta/law/research/icps/worldbrief/wpbcountry.php?country=122>

¹² საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საპროცესო შეთანხმება საქართველოში. თებერვალი 2010 წელი. მასალები მოწოდებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოდან.



ცხრილი # 1


სასჯელის სახეების გამოყენების დინამიკა (2003-2009)

მონაცემები პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან

წელი	მსჯავრდებულთა რაოდენობა	სასჯელის სახეები (პროცენტულად)							ჯარიმა
		თავისუფლების აღკვეთა	ტუსალობა	გამასწორებელი სამუშაო	პირობითი მსჯავრი	გათავისუფლება ამნისტიით ან სხვა საფუძვლით	გადიდო განაჩენის აღსრულება	თანამდ. დაკავების/ საქმ. უფლების ჩამორთმევა	
2003	8110	28.7	0.3	0.5	43.8	0.2	0.2	–	26.3
2004	9071	35.0	0.2	0.7	39.6	0.2	0.3	–	24.0
2005	9168	38.4	0.1	2.0	41.0	0.2	0.0	0.1	18.1
2006	16911	46.9	0.1	0.4	41.4	0.4	0.0	0.0	10.8
2007	21170	46.2	0.0	45.3	4.4	0.0	0.0	3.9	0.3
2008	20804	42.5	–	0.0	51.0	1.5	–	–	4.9
2009	18354	45.7	–	0.0	46.9	0.2	–	–	7.2

საქართველოში საპროცესო შეთანხმებით მოგვარებული საქმეების წილი კი ყოველწლიურად იზრდება. უზენაესი სასამართლოს მონაცემებით 13 2005 წელს საპროცესო შეთანხმებით 932 საქმეზე იქნა გამოტანილი განაჩენი, 2006 წელს - 3791, 2007 წელს - 8432, 2008 წელს – 9207, 2009 წელს კი – 9073.


13 სტატისტიკური მასალა წლების მიხედვით განთავსებულია უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდზე, მზულზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=129&lang=1



გრაფიკი #2

საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეების წილი (2005-2009)

საპროცესო შეთანხმება 2005-2009



ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის უმნიშვნელო რაოდენობაა. 2007 და 2008 წლებში 15-15 საქმე დაუბრუნდა პროკურატურას საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად, 2009 წელს კი - 17. 2010 წლიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი კვარტლის მონაცემები არის ხელმისაწვდომი, და ამ მონაცემების 2009 წლის პირველ კვარტალთან შედარებაც ძველი ტენდენციების უცვლელიობას ადასტურებს. 2010 წლის პირველ კვარტალში პირველი ინსტანციით 2856 საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და 4 დაუბრუნდა პროკურატურას, 2009 წლის იმავე პერიოდში კი 2196 საქმე დამტკიცდა და 3 ეთქვა უარი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2007 წლიდან დღემდე სასამართლოების მიერ პროკურატურისათვის დაბრუნებული საქმეების წილი 0.2%-ზე მაღლა არასდროს ასულა.

ცხრილი # 2

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სტატისტიკა

კატეგორია	2007		2008		2009	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
გამოტანილია განაჩენი საპროცესო შეთანხმებით	8432	10459	9207	11513	9073	11027
უარი ეთქვა და დაუბრუნდა პროკურატურას	15	15	15	19	17	20

საინტერესოა ისიც, რომ საპროცესო შეთანხმებით 2009 წლის პირველ კვარტალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა 56.5% დასრულდა, 2010 წლის პირველ კვარტალში კი - 71.6%.



ცხრილი # 3

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სტატისტიკა

კატეგორია	2009 I კვარტალი		2010 I კვარტალი	
	საქმე	პირი	საქმე	პირი
გამოტანილია განაჩენი საპროცესო შეთანხმებით	2196	2695	2856	3334
უარი ეთქვა და დაუბრუნდა პროკურატურას	3	3	4	5

საპროცესო შეთანხმების ასეთი ფართო გამოყენების ერთ-ერთი საფუძველი, ექვგარეშეა, რომ სასამართლოს მიმართ დაბალი ნდობაა. ეს არცაა გასაკვირი. თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკას გადავხედავთ, ქართულ სასამართლო სისტემაში გამართლების შანსი 2007 წლიდან უცვლელად 0,1%-ს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეთა 99,99%-ში სასამართლო ბრალდებულებს დამნაშავედ ცნობს.

ცხრილი # 4

გამამართლებელი განაჩენის დინამიკა (2003-2009)

მონაცემები პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან

წელი	სულ	მსჯავრდებული		გამართლებული	
	პირი	პირი	%	პირი	%
2003	8402	8110	96.5	61	0.7
2004	9359	9071	96.9	38	0.4
2005	9595	9168	95.5	79	0.8
2006	17155	16911	98.6	37	0.2
2007	21532	21170	98.3	13	0.1
2008	21132	20804	98.4	30	0.1
2009	18637	18354	98.5	18	0.1

მართალია, საგამომიებო ორგანოების კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის ხელაღებით ექვქვეშ დაყენება გაუმართლებელია და ამას არც ეს ანგარიში ისახავს მიზნად, მაგრამ წარმოუდგენელია, თუნდაც სრულიად უდანაშაულო და შეცდომის მსხვერპლ ადამიანს ისეთ სასამართლო სისტემაში ჰქონდეს საკუთარი სიმართლის დამტკიცების რეალური იმედი, სადაც ბრალდებულის გამართლება საქმეთა მხოლოდ 0.1%-ში ხდება.

ასეთ ვითარებაში, როდესაც საპროცესო შეთანხმება თითქმის გარდაუვალი ხდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, სტატისტიკის მიღმა რა ვითარებაა – რეალურად როგორ მუშაობს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, რადგან მის ხარვეზებს – კანონმდებლობაში თუ რეალური აღსრულებისას, მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.



■ 3.1 პრაქტიკის ანალიზი – სასამართლოს მასალების ხელმისაწვდომობა

ამ ანგარიშის მომზადებისას ჩვენი ერთ–ერთი მიზანი იყო, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებიდან დღემდე საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული ყველა კატეგორიის დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეები შეგვესწავლა. ამგვარი კვლევის ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგვიჭირდებოდა, რადგან მონაცემების ცენტრალიზებულად, ერთი წყაროდან მიღების შესაძლებლობა არ არსებობს და საქართველოს ყველა სასამართლოდან საქმეთა მიღება და მათი ანალიზი ჩვენს ხელთ არსებულ მოკლე დროში შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ვამჯობინეთ მხოლოდ თბილისის სასამართლოების გამოცდილებას დავეყრდნობოდით. ამგვარი კვლევის მონაცემების განზოგადება ობიექტური დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემდა იმაზე, თუ რომელი კატეგორიის დანაშაულზე ფორმდება ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმება და რა პირობებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 42-ე მუხლების მიხედვით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლება ყველა მოქალაქეს აქვს. ამის გათვალისწინებით, ჩვენ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს და არქივს მივმართეთ 14 და 2004-2010 წლების პერიოდში საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი გამამყუნებელი განაჩენებისა და მათი გასაჩივრების საქმეების ასლები მოვითხოვეთ, ამისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების პირობით.

ამ წერილების საფუძველზე 43 საქმე მივიღეთ, მაგრამ ეს საქმეები თბილისის საქალაქო სასამართლოდან საკუთარი შერჩევით მოგვაწოდეს, თანაც მხოლოდ 2006-2010 წლების პერიოდიდან. თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის წერილში¹⁴ ამგვარი შერჩევის მიზეზად ის დაასახელა, რომ ჩვენს მიერ გამოთხოვილი საქმეების სრულად მოსაწოდებლად საქმეების სისტემატიზაცია და შესაბამისი დამუშავება საჭირო, რაც დიდ დროსა და ადმინისტრაციულ რესურსს მოითხოვს, რაც „ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელ საჭიროებას.“

ჩვენი ამის შემდეგაც არ შეგვიწყვეტია მცდელობა, მიგვეღო საქმეები და თბილისის სააპელაციო სასამართლომ 24 სექტემბრის წერილით (N65) შემოგვთავაზა, ასლების მიღების ნაცვლად დედანში გაცნობოდით 2006-2010 წლების საქმეებს. საბოლოოდ, ჩვენი დაჟინებული მცდელობის შედეგად შევთანხმდით, რომ სასამართლო მოგვაწვდიდა 2010 წლის განმავლობაში მის მიერ განხილულ ყველა საქმეს, რომელიც საპროცესო შეთანხმებას შეეხებოდა. შედეგად, სასამართლოსგან 2010 წლის 19 ოქტომბრის N70 წერილის, 2010 წლის 5 ნოემბრის N 78 წერილისა და 2010 წლის 2 დეკემბრის N 84 წერილების საფუძველზე მივიღეთ 2010 წლის ცხრა თვის განმავლობაში დაგროვილი საქმეები. ინფორმაციის დაგვიანებით მიღების გამო ამ ანგარიშის N2 დანართში მოცემულ მონაცემთა ბაზაში მხოლოდ პირველი წერილის საფუძველზე მიღებული საქმეებია შესული. თუმცა, ჩვენ გავაგრძელებთ მიღებული საქმეების განხილვას და მონაცემთა ბაზის შევსებას და ეს ინფორმაციაც საჯარო იქნება.

სამწუხაროდ, ამგვარი თანამშრომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოსთან შეუძლებელი აღმოჩნდა.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მუშაობის საფუძვლიანი კვლევა არ ჩატარებულა და არც ზოგადი ინფორმაციაა ადვილად ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ამ ვითარების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, სასამართლო ხელს უნდა უწყობდეს ამგვარი ინიციატივების განხორციელებას. სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობა აუცილებელი პირობაა სამართალწარმოების პრაქტიკის შესწავლისა და საზოგადოებრივი კონტროლისათვის.

14 წერილები თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.04.2010 N. 03–655, 18.05.2010 N 03–739; წერილები თბილისის სააპელაციო სასამართლოს N 1/3530, 29.04.2010 ; N03–759, 20.09.2010 ; წერილი საქართველოს ცენტრალურ არქივს 21.09.2010 N 03–760

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N 104, 03.05.2010



ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვერც სააპელაციო და საქალაქო სასამართლოდან 16, და ვერც არქივის საშუალებით შევძელით მიგველო 2004-2005 წლების გადაწყვეტილებები საპროცესო შეთანხმების შესახებ. ეს სწორედ ის პერიოდი, როდესაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ჯერ კიდევ მკვიდრდებოდა და ამ დროის საქმეებიც ყველაზე მეტ კითხვას იწვევს საზოგადოებაში.

შემდეგი ქვეთავები მიმოიხილავს საპროცესო შეთანხმების პრაქტიკული განხორციელების ანალიზს და გამოყოფს მის მიღწევებსა და სისუსტეებს.

■ 3.2 საპროცესო შეთანხმების უპირატესობები

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შეფასებისას მისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც რამდენიმე საკითხზე თანხმდებიან, რაც ამ ინსტიტუტის ნათელ უპირატესობებს წარმოადგენს.

საპროცესო შეთანხმების გამოყენებით საქმეები გაცილებით უფრო სწრაფად მთავრდება, ვიდრე სრული პროცესის შემთხვევაში. მართალია პროკურატურამ მოსამართლეს საპროცესო შეთანხმებასთან ერთად საქმის მასალებიც უნდა წარუდგინოს და მტკიცებულებებიც, რომელიც კონკრეტული განსასჯელის ბრალეულობას ამტკიცებს, მაგრამ განსასჯელის თანხმობა სასჯელზე, ბრალის აღიარებით, თუ მის გარეშე, გაცილებით ამარტივებს სიტუაციას და საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული ხანგრძლივი და სრული სასამართლო პროცესის ხარჯები. გაწეული ეკონომია არა მხოლოდ ფულადია, არამედ ადვოკატების, პროკურორისა და სასამართლოს ადამიანური რესურსისა და ძვირფასი დროის დაზოგვასაც გულისმობს. დაზოგილი რესურსები კი სხვა, უფრო რთული საქმეების გამოსაძიებლად შეიძლება იყოს უფრო ეფექტიანად გამოყენებული. ამისათვის მსჯავრდებულისათვის გარკვეული შეღავათების გაწევა სრულიად ლოგიკურია.

როგორც საქართველოში საპროცესო შეთანხმების შემოღების ერთ-ერთი აქტიური მომხრე და მონაწილე, თავისუფლების ინსტიტუტის წევრი, ლევან რამიშვილი ამბობს,¹⁷ „სახელმწიფოსათვის მთავარია არა სასჯელის სისასტიკე, არამედ მისი გარდუვალობა. მთავარი არის, რომ მეტი დამნაშავე იქნას გასამართლებული ... და თუ შვიდი წელი შეიძლება მიუსაჯო და ხუთს მიუსაჯი იმის გამო, რომ რაღაც გარიგებაზე წახვალ, საბოლოო ჯამში პრევენციაზე უკეთ მუშაობ, ვიდრე მაშინ, როცა მთელ რესურსს რამდენიმე საქმეს ახარჯავ.“

გამოძიებასთან თანამშრომლობა საპროცესო შეთანხმების მხოლოდ ერთ-ერთი და არა აუცილებელი ასპექტია, მაგრამ სახელმწიფოსათვის ის ძალიან მნიშვნელოვანია დაფარული თუ გაუხსნელი დანაშაულების გამოამჟღავნებისა და სამართლის აღსრულებისათვის. ვინაიდან სხვა დანაშაულის გახსნაში სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევა დამნაშავესათვის სასჯელის შემსუბუქებას ითვალისწინებს, საპროცესო შეთანხმება „ყველაზე ეფექტური ინსტიტუტია იმისათვის, რომ დავაინტერესოთ ბრალდებული, ითანამშრომლოს გამოძიებასთან“¹⁸.

თანამშრომლობის ასპექტი და მისი საშუალებით სხვა დანაშაულების გამოამჟღავნება განსაკუთრებით ეფექტურ იარაღად ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლისათვის ითვლება. ამ მექანიზმის და კანონის მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის დამსახურებად მიიჩნევა საქართველოში კანონიერი ქურდების ინსტიტუტის და საზოგადოებაში მისი ავტორიტეტის ფაქტობრივი მოშლაც.

¹⁶ სასამართლო სისტემის რეფორმების ფარგლებში მოხდა სისტემის რეორგანიზაცია, და რაიონული სასამართლოების ნაცვლად ჩამოყალიბდა თბილისის ერთი საქალაქო სასამართლო, გაუქმდა საოლქო სასამართლო და მას სააპელაციო სასამართლო ჩაენაცვლა. თუმცა, რადგან ახალი სასამართლოები ძველების სამართალმემკვიდრეები არიან, ჩავთვალეთ, რომ საქმეები მათგან უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

¹⁷ ინტერვიუ ლევან რამიშვილთან, „თავისუფლების ინსტიტუტი“ 08.06.2010

¹⁸ იხ. ზემოთ



საპროცესო შეთანხმებისაგან მიღებულ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სარგებელია აღსანიშნავი. სასამართლოს საქმიანობის არაეფექტური ორგანიზებისა და სასამართლოების გადატვირთულობის გამო საპროცესო შეთანხმების შემოღებამდე სასამართლო სისტემაში უამრავი საქმე წლობით იყო გაჩერებული. ამ „დაღეჭილი საქმეების“ „ამოქაჩვა“ კი მხოლოდ საქმის არსებითი განხილვით, საპროცესო შეთანხმების გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა¹⁹.

და ბოლოს, უფლებადამცველებიც და მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენლებიც თანხმდებიან, რომ საპროცესო შეთანხმება მნიშვნელოვნად ამცირებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობას და მათი პატიმრობის ხანგრძლივობასაც. საქართველოს ციხეების გადატვირთულობის და მათი, ხშირ შემთხვევაში, არასათანადო პირობების გათვალისწინებით საპროცესო შეთანხმება ჰუმანურ მექანიზმადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. საქართველოს სახალხო დამცველის გიორგი ტულუშის შეფასება, რომ „საპროცესო შეთანხმების არარსებობის პირობებში გაცილებით უფრო რთული სიტუაცია გვექნებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში“ ზოგადი დამოკიდებულების კარგ შეჯამებად გამოდგება.

■ 3.3 საპროცესო შეთანხმების კრიტიკა

საპროცესო შეთანხმების ქართული პრაქტიკის კრიტიკის საფუძვლები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მისი უპირატესობები. საყურადღებოა, რომ საპროცესო შეთანხმების მუშაობის კრიტიკისას ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კრიტიკის საფუძველი არა თავად საპროცესო შეთანხმების იდეაა, არამედ მისი განხორციელება, რომ „მისი (საპროცესო შეთანხმების) მახინჯი პრაქტიკა არის მიუღებელი²⁰“.

კრიტიკა ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმებაში ჩართული მხარეების როლსა და ძალთა თანაფარდობას და საპროცესო შეთანხმებაში ფულის როლსა და ადგილს უკავშირდება. საბოლოო ჯამში, კრიტიკის მთავარი ობიექტი, როგორც წესი, მთლიანად მართლმსაჯულების მოუწესრიგებელი სისტემა უფროა რომელშიც ეს კონკრეტული ინსტიტუტი ფუნქციონირებს. მართლმსაჯულების სისტემური პრობლემების ანალიზი ამ კვლევის საგანი არ არის და, შესაბამისად, ყურადღებას საპროცესო შეთანხმების კონკრეტული ასპექტების ანალიზზე ვამახვილებთ.

• მოსამართლის მეორეხარისხიანი როლი

კრიტიკოსების აზრით ქართული საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი მოსამართლეთა შეზღუდული უფლებებია. განსაკუთრებული კრიტიკა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებებზეა მიმართული, რომლებმაც მოსამართლეს ჩამოართვა უფლება, საპროცესო შეთანხმებაში მითითებულზე ნაკლები სასჯელი შეეფარდებინა და მისი როლი მხოლოდ მხარეების მიერ შეთანხმებული სასჯელის დანიშვნა-არდანიშვნით განსაზღვრა. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლის, გაგი მოსიაშვილის აზრით „ამ შემთხვევაში სახეზეა სასამართლო დამოუკიდებლობის შეზღუდვა“.

როგორც საკანონმდებლო მიმოხილვის თავში აღვნიშნეთ, საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში შესაძლებელია, დამნაშავეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები შეეფარდოს²¹. ანუ, მაგალითად, თუ დანაშაულებრივი ქმედება სასჯელად სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ სამ

19 ინტერვიუ ქეთევან ჩომახაშვილთან, საქართველოს მთავარი პროკურატურა. 05.05.2010

20 ინტერვიუ გაგი მოსიაშვილთან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ 07.07.2010

21 სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი.



წელზე ნაკლების შეფარდება შესაძლებელი. მაგრამ ამის უფლება მხოლოდ ერთ მხარეს, პროკურორს, აქვს. „კონსტიტუციის 42–ე მუხლის“ იურისტის, დიმიტრი ხაჩიძის აზრით კი, თუ საერთოდ ვინმეს უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება, ეს მხოლოდ მოსამართლე უნდა იყოს.

ამ მოსაზრების საპირისპიროდ ქართული სისტემის დამცველებს პირველ რიგში ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ საპროცესო შეთანხმება სწორედაც შეთანხმებაა – პროკურორსა და ბრალდებულს შორის, ბრალდებულის სრული სამართლებრივი ინფორმირებულობის პირობებში ძალდატანებისა და მუქარის გარეშე დადებული. და რომ კანონიერად დადებული შეთანხმების კანონიერ პირობებში ჩარევისა და ერთპიროვნულად მათი შეცვლის უფლების არმიცემა მოსამართლეთა შეზღუდვას ნამდვილად არ ნიშნავს.

უფლებადამცველები თავად მოსამართლეებსაც არანაკლები სიმძაფრით აკრიტიკებენ. ადვოკატების 22 მტკიცებით, მოსამართლეები ხშირად კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებენ და საქმის მასალებისა და მტკიცებულებების საფუძველზე განაჩენის დამოუკიდებლად გამოტანის ნაცვლად პირდაპირ პროკურატურის პოზიციას ადასტურებენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა ამგვარი ქმედება მხოლოდ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის არ არის დამახასიათებელი.

ცხადია, ზოგადად სასამართლო სისტემის გამართული მუშაობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის პრობლემები საპროცესო შეთანხმების სისტემით ნამდვილად არაა გამოწვეული. მოსამართლეთა მხრიდან კანონის დარღვევა და მისი მოთხოვნების შეუსრულებლობა საპროცესო შეთანხმების ვიწრო ფარგლებს ცდება და ზოგადად, დანაშაულია, რომელზეც მოსამართლეთა დისციპლინურმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

• პროკურორის წამყვანი როლი

საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელისა და მისი პრაქტიკული გამოყენების ერთ–ერთი ყველაზე მწვავე კრიტიკა პროკურორის ფართო უფლებებს შეეხება. უფლებადამცველების აზრით კანონით პროკურორებს „თვითშემოქმედების საშუალება ეძლევათ“.²³ პროკურორების „თვითშემოქმედებაში“ კრიტიკოსები ქრთამს ან მოსყიდვას კი არ გულისხმობენ, არამედ სუბიექტურობასა და მიკერძოებულობას, რომლის საშუალებასაც მათ თითქმის შეუზღუდავი სამოქმედო სივრცე აძლევს. აქედან გამომდინარე სუბიექტურობისა და პრაქტიკის არათანმიმდევრულობის გამო „გადაიქცა პროკურორთან შეთანხმება გარიგებად, ყველაზე ცუდი გაგებით“²⁴.

სუბიექტური მიდგომის შესაძლებლობას, უფლებადამცველების აზრით, ისიცქმნის, რომ კანონში ნათლად არაა განმარტებული ბრალდებულის თანამშრომლობის აუცილებელი ხარისხი. კანონმდებლობის მიხედვით თანამშრომლობად შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულის აღიარებაც²⁵, რაც სასამართლო პროცესის დაჩქარებასა და რესურსების დაზოგვას უწყობს ხელს, და ისეთი თანამშრომლობაც, რაც სხვა დანაშაულის გახსნას უქმნის პირობებს. პრაქტიკულად კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორს თანამშრომლობის რაობის განსაზღვრის ძალაუფლება აქვს. მას, რეალურად, საკუთარი სურვილისა და სარგებლისამებრ შეუძლია გადაწყვიტოს, რა შემთხვევაში დადოს საპროცესო შეთანხმება და რა სახის

22 ინტერვიუები დიმიტრი ხაჩიძესთან, ლალი აფციაურთან და გაგი მოსიაშვილთან.

23 თამარ ხიდაშელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სტატიიდან საპროცესო მორიგებიდან გარიგებამდე. ლიბერალი, N.15 დეკემბერი 2009–იანვარი 2010

24 არჩილ ჩოგვაშვილი, კონსტიტუციის 42–ე მუხლი. სტატიიდან საპროცესო მორიგებიდან გარიგებამდე. ლიბერალი, N.15 დეკემბერი 2009–იანვარი 2010

25 აქვს ისევე აღნიშნავთ, რომ ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება იყოს მისი დანაშაულის დამამტკიცებელი ერთადერთი საბუთი და საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველი. პროკურატურის მხრიდან სასამართლოს სხვა მტკიცებულებებიც უნდა წარედგინოს.



თანამშრომლობა მოითხოვს და მიიღოს ამის სანაცვლოდ. შესაბამისად, სუბიექტურობის შესაზღუდად და ბრალდების მხარის უკეთ გასაკონტროლებლად კანონმდებლობით უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული თანამშრომლობის საკითხი.²⁶

თანამშრომლობის განსაზღვრებასთან ერთად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს თანამშრომლობა შეძლებისდაგვარად გამჭვირვალე იყოს. ხშირად შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით იმის გარჩევა, თანამშრომლობის რა ფორმის (ბრალის აღიარების თუ სხვა დანაშაულის გახსნის დახმარების) საფუძველზეა საპროცესო შეთანხმება გაფორმებული.

ჩვენთვის კი თანამშრომლობის ფორმის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრად, თუ რამდენად თანმიმდევრულია პრაქტიკა. ანუ, ერთმანეთის მსგავს საქმეებში თანამშრომლობის ერთნაირი ხარისხისათვის შედეგათები ერთნაირი ან მსგავსი იქნება, თუ არა. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მრავალი მცდელობისა, საკითხთან დაკავშირებით არასაკმარისი ინფორმაციის გამო, ჩვენთვის შეუძლებელია სრულყოფილი და ობიექტური დასკვნების გამოსატანად.

ცხადია, გასაგებია პროკურატურის არგუმენტი, რომ თანამშრომლობის ხარისხი და პროკურატურისათვის მიწოდებული ინფორმაცია ზოგჯერ აუცილებელია ფარული იყოს თავად ბრალდებულის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა არსებული მდგომარეობა მიუკერძოებელი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას, პრაქტიკულად, გამორიცხავს. შესაბამისად, არც პროკურატურას მიეცემა შესაძლებლობა, დამაჯერებლად უარყოს კრიტიკის სამართლიანობა, და პროკურორების მიუკერძოებლობა და ობიექტურობა საჯაროდ დაადასტუროს.

ადვოკატების მტკიცებით გარიგების ერთ-ერთი საგანი ადვოკატების ვინაობაც გამხდარა. ადვოკატ შალვა შავგულიძის მტკიცებით, პროკურორებს არ სურთ ურთიერთობა ისეთ ადვოკატებთან, რომლებიც კლიენტების ინტერესების რეალურად დაცვას ცდილობენ, და „პრობლემური“ ადვოკატების თავიდან აცილების სანაცვლოდ ბრალდებულებს გაცილებით უფრო მომგებიან საპროცესო პირობებს სთავაზობენ.²⁷ სხვა ადვოკატების განცხადებით არის შემთხვევები, როცა საერთოდ საპროცესო შეთანხმების დადების პირობაა ამა თუ იმ ადვოკატის საქმისგან ჩამოშორება.²⁸

ზემოთაღწერილი ბრალდებები ზეპირ, არაოფიციალურ მოლაპარაკებებს შეეხება და მათი დადასტურება ან უარყოფა ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხის გამო ბრალდებულებს წესით უნდა ერჩიოთ არამომგებიანი საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ვიდრე სასამართლო განხილვის ხანგრძლივ და ძვირ პროცესში ინვესტირება, რომელიც, სავარაუდოდ, მაინც მათ საწინააღმდეგოდ დამთავრდება. ეს სიტუაცია კი პროკურორს იმ შემთხვევაშიც კი მისცემდა მოქმედების მნიშვნელოვან თავისუფლებას, კანონი ძალზე დაწვრილებითაც რომ არეგულირებდეს შეთანხმების ყველა ასპექტს.

ბრალდებულისა და მისი ოჯახის მიერ სამართალში ინვესტირებასთან დაკავშირებით ცალკეა გამოსაყოფი საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური - ჯარიმის საკითხი. ჯარიმის განსაზღვრაში პროკურორის ექსკლუზიური უფლებები საპროცესო შეთანხმების სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი კრიტიკის საფუძველია და მას ცალკე ქვეთავად განვიხილავთ.

• დაზარალებულის მდგომარეობა

უფლებადამცველებთან ინტერვიუების დროს რამდენჯერმე აღინიშნა სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულთა გაცილებით უფრო შესუსტებული როლი და მდგომარეობა. მოქმედი კოდექსის

26 ინტერვიუ გაგი მოსიაშვილთან (საია) 07.07.2010

27 როყვა, ნ. ბათუმელები

28 „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ლალი აფციაურთან, 8.05.2010



მიხედვით დაზარალებული საქმეში მხარე აღარ არის, და მხოლოდ მოწმის სახით შეიძლება დაიკითხოს. თუმცა, ამის მიუხედავად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას პროკურატურის მიერ მისი ინფორმირება ხდება და მას სამოქალაქო სარჩელის აღძვრის უფლებაც ეძლევა.

ადვოკატთა შორის განსხვავებული მოსაზრებებია დაზარალებულის ახალ მდგომარეობასთან დაკავშირებით, თუმცა, ძირითადად, დამოკიდებულება უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ როგორ ჩანს, პრაქტიკაში პროკურორები ძირითადად ითვალისწინებენ დაზარალებული მხარის მოსაზრებებს დამნაშავესთან საპროცესო შეთანხმების დადებისა და მისი პირობების სიმძიმის შესახებ²⁹.

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს „თავისუფლების ინსტიტუტის“ თავმჯდომარეს, ლევან რამიშვილს. მისი აზრით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა სახელმწიფოს ინტერესების და არა პირადი შურისძიების უზრუნველყოფის მექანიზმია. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული მხარედ იქნება ცნობილი, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპები დაირღვევა, რადგან ბრალდებულის წინააღმდეგ ერთდროულად ორი - დაზარალებულისა და სახელმწიფო ბრალდების - მხარე იქნება. სისხლის სამართლის საკითხებში კი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა უნდა იყოს პრიორიტეტული და არა ვენდეტები. ³⁰

■ 3.4 ფულის საკითხი

• ჭარიმის თანხები - გა(უ)მჭვირვალობა 2005 წლიდან დღემდე


ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (სისხლის სამართლის კოდექსი, 42-ე მუხლი) დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაწესების შესაძლებლობა ისეთ დანაშაულებზეც, რაზეც კოდექსი სასჯელის სახედ ჯარიმას არ ითვალისწინებს, 2005 წლის 30 ივნისის N1822 ცვლილებებით დაიშვა. რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების დიდი ანტიკორუფციული კამპანიის ყველაზე გახმაურებული საქმეები გაიაჯობებინა, აკაკი ჩხაიძის და სხვათა მიმართ კი საპროცესო შეთანხმების ფორმალურ შემოღებამდე და, მით უმეტეს, ჯარიმის დაკისრების წესების შეცვლამდე დასრულდა.³¹ მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, დაზუსტებით ცნობილი ისიც არ არის, მათი საქმეები საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა თუ რაიმე სხვა გზით³². ფაქტი კი ისაა, რომ 2003-2004 წლების ყველა გახმაურებული საქმის ბრალდებულმა ბრალი არ აღიარა, სახელმწიფოს სასარგებლოდ მსხვილი თანხები გადაიხადა, რაც მთავრობის მაღალჩინოსანთა საჯარო განცხადებებით ხდებოდა ცნობილი, და სასჯელი ციხეში არ მოუხდია. დაზუსტებით ისიც არაა ცნობილი, ამგვარი პროცედურა მათთვის ნასამართლეობის სტატუსის მინიჭებით მთავრდებოდა თუ არა. ამ პერიოდის განაჩენების შესწავლა ძალზე საინტერესო იქნებოდა იმის გასარკვევად, რა თანხები იყო გადახდილი ბრალდებულების თავისუფლების სანაცვლოდ და რა საფუძველი იყო მითითებული ამ თანხების გადახდისა და საქმეების შეწყვეტისათვის. სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სასამართლოს თანამშრომლობისა და საჯაროობის გარეშე შეუძლებელია.

²⁹ ინტერვიუ გაგი მოსიაშვილთან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ 07.07.2010

³⁰ ინტერვიუ ლევან რამიშვილთან „თავისუფლების ინსტიტუტი“ 08.06.2010

³¹ მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მოგვეპოვებინა საპროცესო გარიგებებით დასრულებული ადრეული საქმეები, ეს მასალები მიუწვდომელი აღმოჩნდა. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია ოფიციალურად როდის დასრულდა საქმე. ამ შემთხვევაში ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციას ვყრდნობით.

³² თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორმა ლევან რამიშვილმა ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ ეს საქმეები არა საპროცესო შეთანხმების გამოყენებით, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული სხვა მექანიზმით – შეცვლილი გარემოებების გამო დევნის შეწყვეტით, მოგვარდა. შეცვლილ გარემოებად კი ამ შემთხვევებში სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ჩაითვალა. (ინტერვიუ ლევან რამიშვილთან, 23:15 წუთი)



გავრცელებული ინფორმაციით, 2004-2005 საპროცესო შეთანხმებითა და სხვა ინსტრუმენტებით მიღებული თანხები არა სახელმწიფო ხაზინაში, არამედ სპეციალურ დახურულ ფონდებში ირიცხებოდა პოლიციისა და ჯარის სასარგებლოდ. ამ ფონდების როგორც შემოსავლები, ისე ხარჯვაც საზოგადოებისათვის სრულიად დაფარული იყო მათ გაუქმებამდე 2006 წელს, რაც მნიშვნელოვან წილად არასამთავრობო ორგანიზაციების მძაფრი კრიტიკის შედეგად იყო.

თუმცა, სიტუაცია მნიშვნელოვნად არც სპეციალური ფონდების გაუქმებისა და ყველა სახელმწიფო შემოსულობის ერთიან სახაზინო ანგარიშზე გადარიცხვის ვალდებულების დაწესების შემდეგ გაუმჯობესებულა. მაგალითად, დღემდე უცნობია, საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმის სახით რა თანხები შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფო ხაზინის განმარტებით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი ჯარიმებისათვის ცალკე სახაზინო კოდი არ არსებობს და, შესაბამისად, შეუძლებელია ამ თანხების გამოყოფა სხვა ტიპის შემოსულობებისაგან.³³

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ თანხებზე ინფორმაცია, წესით, პროკურატურასა და სასამართლოსაც უნდა ჰქონდეთ. თუმცა, ირკვევა, რომ მხოლოდ პროკურატურა შეიძლება გამოდგეს გარკვეული მწირი ინფორმაციის წყაროდ. პროკურატურის წარმომადგენლების განმარტებით, საქართველოს მთავარ პროკურატურას ინფორმაცია მხოლოდ დაკისრებული ჯარიმის რაოდენობაზე შეიძლება ჰქონდეს, და არა რეალურად გადახდილ თანხებზე. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ამ სტატისტიკის წარმოება პროკურატურამ მხოლოდ 2009 წლიდან დაიწყო. პროკურატურის ცნობით, 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 61 144 311 ლარი იქნა ჯარიმის სახით დაკისრებული.

ჩვენ მივესალმებით პროკურატურის გაზრდილ ძალისხმევას, გარკვეული სიცხადე შეიტანოს საპროცესო შეთანხმების მუშაობის ამ ერთ-ერთ ყველაზე პრობლემური ასპექტის განხილვაში. თუმცა, ამავე დროს, გაუგებარია, თუ რატომ არა აქვს პროკურატურას რეალურად გადახდილი თანხების მონიტორინგის საშუალება. ჯარიმის გადახდა თუ კონკრეტული საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი პირობაა, და პროკურატურას უფლება და, გარკვეულწილად, მოვალეობაც აქვს საპროცესო შეთანხმების პირობების დარღვევისას სასამართლოს მიმართლოს შეთანხმების გაუქმების მოთხოვნით, გამოდის, რომ თავისი ფუნქციის ეფექტურად შესასრულებლად პროკურატურა არა მხოლოდ დაკისრებული ჯარიმის, არამედ ჯარიმის რეალურად გადახდის კონტროლსაც უნდა ახორციელებდეს. ვიმედოვნებთ, რომ პროკურატურა გააღრმავებს მონაცემების შეგროვების საკუთარ მეთოდოლოგიასა და პრაქტიკას და ამით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამ საჯარო ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

კრიტიკოსთა აზრით, საპროცესო შეთანხმება ბიუჯეტის შესავსებად ისეთივე წარმატებით გამოიყენება, როგორც ციხეების განსატვირთად. ამის თქმის საფუძველად ის სახელდება, რომ პრაქტიკაში ფულადი ჯარიმა საპროცესო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი და, რეალურად, აუცილებელი პირობაა. კანონის მიხედვით კი, ჯარიმა სასჯელის მხოლოდ ერთ-ერთი და არა უცილებელი სახეა, რომელიც საპროცესო შეთანხმების პირობებში შეიძლება შედიოდეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენელთა თქმით, მცდარია კრიტიკოსების, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის, აზრი და დაკვირვება, რომ საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმები ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა. ჩვენთან საუბრისას ქეთევან ჩომახაშვილმა განაცხადა, რომ არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას ჯარიმის სახით გადახდილი თანხების ოდენობისა და სახელმწიფო ბიუჯეტში მისი წილის შესახებ. თუმცა, დასძინა „თითქმის დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს არ იქნება ის თანხა, რომელიც რაიმეს ამატებს ბიუჯეტს, ან მისი არარსებობა რამეს დააკლებს ბიუჯეტს. ამის თქმა ეხლავე შემძლია“³⁴.

პროკურატურის მიერ 2009 წელს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დაკისრებულმა საჯარიმო

33 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის წერილი N 18-02-06/610/5502, 23.04.2010

34 ინტერვიუ ქეთევან ჩომახაშვილთან საქართველოს მთავარი პროკურატურა. 05.05.2010



თანხამ (61 144 311 ლარი) საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების (4 916 960 000 ლარი) 35 1.2% შეადგინა. გამოდის, რომ საპროცესო შეთანხმებით ბიუჯეტში არცთუ უმნიშვნელო თანხა შედის. ილუსტრაციისათვის, ეს თანხა თითქმის ორჯერ აღემატება საქართველოს პარლამენტის 2010 წლის ბიუჯეტს, და ასევე რვა სამინისტროს 2010 წლის დაფინანსებას.

• ჯარიმა— უსამართლო თუ მიგანშენონილი?

უკვე დაკისრებული საჯარიმო თანხების გამჭვირვალობის გარდა არანაკლებ პრობლემატური შეიძლება იყოს თავად ჯარიმაც, როგორც ასეთი. აქ რამდენიმე მოსაზრებაა გამოსაყოფი. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი საპროცესო შეთანხმებისათვის ჯარიმის გამოყენებას საერთოდ ეწინააღმდეგება, მეორე – მძიმე დანაშაულის სასჯელად ჯარიმის დანიშვნას, სხვანი კი ჯარიმის დაწესების გაუმჭვირვალე წესებს აპროტესტებენ.

ჯარიმის სანაცვლოდ სასჯელის შემსუბუქების მოწინააღმდეგეთა აზრით, ამით შესაძლოა, თანასწორი და სამართლიანი მართლმსაჯულების პრინციპი დაირღვეს. ამ შემთხვევაში მაგალითად მოყვანილია შემთხვევა, როდესაც ერთ დანაშაულში თანაბრად მონაწილე და თანაბრად ბრალეულმა ორმა პირმა შესაძლოა სრულიად განსხვავებული სასჯელი მიიღოს (განსაკუთრებით, როცა საქმე თავისუფლების აღკვეთას შეეხება) მხოლოდ იმის გამო, რომ ერთისთვის ჯარიმის თანხის გადახდა ხელმისაწვდომი აღმოჩნდეს, მეორესთვის კი – არა. ასეთი შემთხვევები რომ მხოლოდ თეორიული სპეკულაციის საგანი არ არის და უფლებადამცველების ინფორმაციით, პრაქტიკაშიც არაა იშვიათი. ცხადია, რომ ჯარიმა სასჯელის სახეა, და საუბარი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოზრდილ თანხებზეა, რომლებიც, ქართული ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი სასჯელი იქნება არა მხოლოდ განსასჯელისათვის, არამედ მისი მთელი ოჯახისთვისაც. მაგრამ, ქართული საპატიმრო დაწესებულებების პირობების გათვალისწინებით, ამ სისტემიდან თავის დაღწევის სანაცვლოდ რამდენიმე ათასი ლარის გადახდა ნამდვილად ღირს. ჯარიმის ოდენობის დადგენა ინდივიდუალურად ხდება, საქმის სპეციფიკისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, და მთავარი პროკურატურის მტკიცებით, მისი ეკონომიკური მდგომარეობაც მიიღება მხედველობაში. თუმცა, კანონით ჯარიმის ოდენობის ზედა ზღვარი რეგულირებული არაა და დადგენილი მინიმალური ჯარიმის დონეც საკმაოდ მაღალია. შედეგად, მათ, ვისაც მისი გადახდის საშუალება არ აქვს, გაცილებით უფრო მაღალი ფასის გადახდა უწევთ.

ადვოკატ გაგი მოსიაშვილის განმარტებით, თუმცა კანონი პირდაპირ არ მოითხოვს ჯარიმის დაწესებას საპროცესო შეთანხმების დადებისათვის, პრაქტიკულად ეს დაუწერელი კანონია. შემთხვევათა 99%-ში საპროცესო შეთანხმება საჯარიმო თანხის გადახდის სანაცვლოდ იდება. ამას ჩვენს ხელთ არსებული მასალებიც ადასტურებს, სადაც ჯარიმის გარეშე დადებული სულ რამდენიმე საპროცესო შეთანხმება გვხვდება.

სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით არის გაჩენილი მოსაზრება, რომ საქართველოში თავისუფლება ფულის სანაცვლოდ შეიძლება იყიდოდ. საქართველოს მთავარი პროკურატურა ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება.

პროკურატურის მონაცემებით 36 2009 წელს მხოლოდ ჯარიმის დაკისრებით საპროცესო შეთანხმებათა მხოლოდ 4% დასრულდა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია საპროცესო შეთანხმების შემოღებიდან დღემდე ამ საკითხის სტატისტიკა.

პროკურატურის მტკიცების მიუხედავად, ფაქტია, რომ არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ) წესი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ჯარიმის რაოდენობის გამოთვლის ზუსტი კრიტერიუმების 35 2009 წლის ფაქტობრივი მონაცემები მხოლოდ საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშია მითითებული. 2011 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე, ბმულზე: <http://www.mof.ge/4161>

36 ინტერვიუ ქეთევან ჩომახაშვილთან, საქართველოს მთავარი პროკურატურა. 05.05.2010



დადგენა. ამ შემთხვევაში კი პროკურორის განუსაზღვრელი და შეუზღუდავი პოზიციები აქვს თანხაზე ვაჭრობისათვის.

სახალხო დამცველის აზრით, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი თანხები რეალისტური უნდა იყოს და არა ასტრონომიული, რის გადახდის შეუძლებლობაც თავიდანვე ცხადია. მართალია, მისი აზრით კონკრეტული თანხების ოფიციალურად დადგენა ნაკლებად ეფექტური და ხისტი იქნებოდა. მაგრამ ის მაინც საჭიროდ მიიჩნევს, რომ ჯარიმის დადგენა გონივრულ გათვლას ემყარებოდეს.

თუკი დამნაშავეს სასჯელად ჯარიმას ვიყენებთ, მაშინ ჯარიმის დადგენისას მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს ის, რომ ეს ჯარიმა მართლმსაჯულებას უნდა ემსახურებოდეს და თავად არ იყოს უსამართლობის წყარო.

■ 4. შეფასებები და რეკომენდაციები

საქართველოს საპროცესო შეთანხმების სისტემის საკანონმდებლო და პრაქტიკული ასპექტების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია გარკვეული ინფორმირებული შეფასებების გაკეთება მისი ეფექტურობის თაობაზე.

თუ სისტემის შეფასების ერთ კრიტერიუმად სისწრაფესა და ეფექტურობას ავიღებთ, ცხადია, რომ საპროცესო შეთანხმებამ ნამდვილად გაამართლა. ჩვენ არ გავგაჩნია ზუსტი მონაცემები იმის თაობაზე, თუ რა დრო და რა თანხები სჭირდება საშუალოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას გახსნიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საპროცესო შეთანხმების პირობებში და მის გარეშე. ამგვარი სტატისტიკა ამჟამად საქართველოში ხელმისაწვდომი საერთოდ არ არის. თუმცა, ამ ანგარიშის მომზადებისას ყველა მხარესთან განხილვისას გამოიკვეთა ზოგადი შეფასება, რომ საპროცესო შეთანხმებით სისხლის სამართლის საქმეები გაცილებით უფრო სწრაფად მთავრდება და ამაზე უფრო ნაკლები რესურსიც იხარჯება.

კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისითაც ითვლება, რომ საპროცესო შეთანხმება შედეგიანი აღმოჩნდა. ცხადია, რომ კორუფცია ხშირად ორგანიზებულ/ქსელურ ხასიათს ატარებს. გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობისა და სხვა, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი დამნაშავეების გამოაშკარავებაში ხელშეწყობის შემთხვევაში კონკრეტული დამნაშავესათვის შეღავათიანი პირობების საპროცესო შეთანხმება, შეიძლება, მნიშვნელოვანი საშუალება იყოს კორუფციასთან ბრძოლაში. თუმცა აქაც კვლავ სტატისტიკის არარსებობა უნდა აღინიშნოს. სასამართლო სისტემაში სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით გარკვეული პროგრესის მიუხედავად მონაცემების შეგროვებასთან და გამოყენებად ფორმატში მოქცევასთან და მის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კვლავ ბევრი პრობლემაა. მაგალითად, ჩვენთვის უცნობია, საპროცესო შეთანხმებების რა წილი მოდის კორუფციულ დანაშაულებებზე, ან კორუფციულ დანაშაულებებებთან დაკავშირებული საქმეების რა წილი მთავრდება საპროცესო შეთანხმებით. ამგვარი მონაცემების არსებობა გაცილებით უფრო საფუძვლიანს გახდიდა ნებისმიერ დისკუსიას და ანალიზს.

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ამ კომპონენტში საპროცესო შეთანხმების შეფასება არსებითად მაინც დადებითად შეგვიძლია, თუ გავითვალისწინებთ საპროცესო შეთანხმების შემოღების პირველ პერიოდს, როდესაც კორუპირებული ყოფილი მაღალჩინოსნებისა და მათი ოჯახის წევრების სისხლის სამართლებრივი დევნა განსაკუთრებით აქტიური იყო. თუმცა, აქვე შეუძლებელია, არ აღინიშნოს ამ პერიოდის საქმეების სრული ხელმიუწვდომლობა, უამრავი პროცედურული კითხვა და ამოღებული თანხების სრული გაუმჭვირვალობა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

პენიტენციალური სისტემის განტვირთვაში საპროცესო შეთანხმების დადებითი როლი ეჭვგარეშეა და



ყველა დაინტერესებული მხარის მიერ აღინიშნება. საპროცესო შეთანხმების მეშვეობით პატიმრობა იმაზე ნაკლებ დამნაშავეს ესჯება, ვიდრე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა მოითხოვდა. საპროცესო შეთანხმებათა პირობებში ძალიან ხშირია პირობითი სასჯელის გამოყენება და მათთვის, ვისაც პატიმრობა ესჯება, ვადა გაცილებით უფრო ნაკლებია, და ზოგ შემთხვევაში სასჯელის მინიმალურ ზღვარზე ნაკლებიც, ვიდრე მის გარეშე იქნებოდა. ამგვარად, საქართველოს გადატვირთულ, და ხშირ შემთხვევებში არასათანადო პირობების მქონე, პენიტენციურ დაწესებულებებს მათთვის ასე აუცილებელ შეღავათს საპროცესო შეთანხმების სისტემა ნამდვილად უწყევს.

ამასთან არის დაკავშირებული სასამართლოს დატვირთულობის შემცირებაც. გადატვირთული სასამართლო სისტემისათვისაც დიდი შეღავათია ის, რომ საპროცესო შეთანხმების არსებობის პირობებში მას გაცილებით ნაკლები დროის დახარჯვა უწყევს პროცესების წარმართვისათვის. ეს კი სასამართლოს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად გადაანაწილოს ადამიანური და ფინანსური რესურსები ისე, რომ ეს საჯარო ინტერესის ხარჯზე არ მოხდეს.

თუმცა, თუ საპროცესო შეთანხმების სისტემის სამართლიანობაზე ვისაუბრებთ, ვითარება გაცილებით უფრო რთულია. ვითარებაში, როცა საქმის განხილვისას პროკურორი რეალურად უფრო ძლიერი ფიგურაა, ვიდრე მოსამართლე და განსასჯელს ფაქტობრივად არჩევანის გაკეთების საშუალება მხოლოდ საპროცესო შეთანხმებასა და კანონის სრული სიმკაცრით დასჯას შორის ეძლევა, გამართლების რეალური ალბათობის გარეშე, ძნელია სისტემის სამართლიანობაზე საუბარი. პროკურორის სიძლიერეზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს ის ფართო უფლებამოსილება, რაც პროკურორს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ შესთავაზოს/დასთანხმდეს საპროცესო გარიგებას ზოგადად, და მის პირობებს უფრო კონკრეტულად. რეალურად აუცილებელი ჯარიმის თანხის დადგენის გაუმჭვირვალე პროცესი და დაკისრებული თუ გადახდილი თანხების რაოდენობის გაუმჭვირვალეობაც არანაკლებ უნდობლობას იწვევს პროკურორის და ზოგადად საპროცესო შეთანხმების მიმართ.

უნდობლობაზე საუბრისას შეცდომა გვგონია პროკურატურასა და საპროცესო შეთანხმების სიტემაზე სიტუაციიდან განყენებულად საუბარი. ზოგადად სასამართლოსა და მარლმსაჯულების სისტემური პრობლემები არსებითად განაპირობებენ საპროცესო შეთანხმების სისტემის პრობლემებს. ამ მხრივ ლევან რამიშვილის მოსაზრება, რომ რეალური და ძირითადი პრობლემა არა ტექსტშია, არამედ სისტემაში, ზუსტად ასახავს თითქმის ყველა იმ ადამიანის აზრს, ვისაც ამ საკითხზე მუშაობისას ვესაუბრეთ. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და კომპეტენცია უნდა იყოს გარანტირებული რეალურად, და არა მხოლოდ კანონში. საკმარისი არაა არც ერთი, თუნდაც ყველაზე კარგი კოდექსი, თუ რეალური ინსტიტუციური რეფორმა მთელი სისტემის მასშტაბით არ განხორციელდა.

• რეკომენდაციები

საქართველოში საპროცესო შეთანხმების მუშაობის გამოცდილების ანალიზის შემდეგ გამოყოფილი პრობლემები შეგვიძლია ორ თემად დავაჯგუფოთ: სისტემის გამჭვირვალეობასთან დაკავშირებული პრობლემები, და მხარეთა უფლებების დაუბალანსებლობა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, ჩვენი რეკომენდაციებია:

- სასამართლოს სისტემის ღიაობის გზაზე

სასამართლო უნდა იყოს ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯაროობის უფლების დაცვის გარანტი. ამის ნაცვლად, სამწუხაროდ, თავად სასამართლო სისტემა არის ამ დროისათვის ჩაკეტილი. სასამართლოს, ჩვენი გამოცდილებით, ხშირად აუცილებლად და მიზანშეწონილად არ მიაჩნია რესურსების დახარჯვა თავისი პირდაპირი ვალდებულების შესასრულებლად. ამგვარი



დამოკიდებულება არამხოლოდ შემაშფოთებელია, არამედ კანონსაც არღვევს. ამასთან, სასამართლოს მხრიდან რეალური თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და რეფორმების ანალიზი და შეფასება. ხშირ შემთხვევაში ამგვარი კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის არც სახელმწიფო დაწესებულებების და არც ფართო საზოგადოებისათვის. ამდენად, სასამართლო სისტემის მხრიდან კვლევის მხარდაჭერა და გაზრდილი ღიაობა მეტად მნიშვნელოვანია.

- **ბადახდილი ჯარიმების სრულყოფილი და გამჭვირვალე აღრიცხვა**

საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების რაოდენობის სრულყოფილი და გამჭვირვალე აღრიცხვა ჯერ კიდევ არ ხდება. ეს მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ჯარიმის შემოღების დღიდან პრობლემურია და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს არაერთხელ გამოუთქვამთ მისი გამოსწორების რეკომენდაციებიც. ვითარება, როდესაც საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმა სხვა მრავალ შემოსულობასთან ერთად აღირიცხდება ხაზინის მიერ და შეუძლებელია დაზუსტებით იმის თქმა, საპროცესო შეთანხმებებით ბიუჯეტში რა თანხები შედის, დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ არის. მართალია, 2009 წლიდან უკვე შესაძლებელია პროკურატურის მხრიდან დაკისრებული ჯარიმების თანხის დასახელება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია აღირიცხებოდეს არა მხოლოდ დაკისრებული, არამედ რეალურად გადახდილი ჯარიმებიც. ეს კი სრულიად გამჭვირვალედ უნდა მოხდეს, საპროცესო შეთანხმებისათვის სპეციალური სახაზინო კოდის მინიჭებით.

- **ჯარიმის რაოდენობის დადგენის წესების უკეთესი გამჭვირვალეობა**

მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმის რაოდენობა კონკრეტული საქმის ვითარებიდან გამომდინარე, და განსაზღვრის მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იყოს გამოანგარიშებული და ლოგიკური და რეალისტური უნდა იყოს, სინამდვილეში არ არსებობს არავითარი საჯარო მექანიზმი ამის უზრუნველსაყოფად. პროკურატურას უნდა ევალებოდეს, გარკვეულწილად დაასაბუთოს საპროცესო შეთანხმების პირობებით მის მიერ მოთხოვნილი ჯარიმის რაოდენობა. იმ ვითარებაში, როცა სასამართლოს მხოლოდ იმის უფლება აქვს, დაამტკიცოს შეთანხმება ან არა (მოსამართლის მიერ პირობების შეცვლის მხოლოდ შეთავაზების უფლება მნიშვნელოვან ბერკეტად ვერ ჩაითვლება), პროკურატურას მეტად ფართო უფლებები აქვს თანხის განსაზღვრისას. საჯაროობის ამგვარი ელემენტის შეტანა საფუძველს გამოაცლიდა საპროცესო შეთანხმების, როგორც „ფასზე ვაჭრობის“ პროცესის რეპუტაციას და მნიშვნელოვანი იქნებოდა მის მიმართ ნდობის მოსაპოვებლად.

- **საპროცესო შეთანხმებაში თანამშრომლობის რაობისა და როლის გამჭვირვალეობა**

მნიშვნელოვანია, საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში გასაგები და ღია იყოს თანამშრომლობის საკითხი. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც შეუძლებელი იყოს ბრალდებულის თანამშრომლობის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის საჯაროობა. მაგრამ აუცილებელია, რომ ნათელი იყოს, თუ რის საფუძველზე ეძლევა ამა თუ იმ პირს მნიშვნელოვანი შედეგები. ეს ასევე მეტად წაადგებოდა ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფას.

- **საპროცესო შეთანხმებაში მხარეთა უკეთესი დაბალანსება**

წინა ორი რეკომენდაცია ძირითადად პროკურორის ფართო უფლებების დაბალანსებას შეეხებოდა პროცესების გამჭვირვალეობის უკეთესი ხარისხის საშუალებით. თუმცა მხოლოდ გამჭვირვალეობაც ვერ იქნება ერთდერთი გზა. საპროცესო შეთანხმების სისტემის გამართულობისათვის მთლიანად სამართლებრივი სისტემის გამართული მუშაობა აუცილებელია. სისტემის გამართულობისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ძალები დაბალანსებული იყოს და გარანტირებული იყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. სასამართლოს სისტემური რეფორმების გარეშე წარმოდგენილი იქნება რომელიმე სამართლებრივი ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირება, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე მისი სრულყოფილების შემთხვევაში.



დანართი 1: საპროცესო შეთანხმება – კანონმდებლობის ანალიზი

I. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი

საქართველოში 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრებული საპროცესო შეთანხმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი შექმნა უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებასა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის ფაქტზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. პირველადი სახით ჩამოყალიბებულ კანონში საპროცესო შეთანხმების მიზნად სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა იქნა მიჩნეული.¹

საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV¹ თავის² 6791-ე მუხლი³ საპროცესო შეთანხმების საფუძველად ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმებას მიიჩნევდა, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანით.

კანონის პირველ რედაქციაში საპროცესო შეთანხმების დადებისას მხედველობაში მიიღებოდა ბრალდებულის ნება დახმარებოდა და ეთანამშრომლა გამოძიებასთან. გამოძიებასთან თანამშრომლობა, კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ნიშნავდა გამოძიებისათვის სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის, ან უფრო მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას. ასეთი პირობების შესრულების შემთხვევაში, პროკურორს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება, ან დანაშაულთა ერთობლიობის დროს მიეღო გადაწყვეტილება ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის მოთხოვნის თაობაზე. თუმცა, კანონის ამოქმედებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, საპროცესო შეთანხმების საფუძველი ორად გაიყო და მითითებულ იქნა ბრალზე გარიგება, ან სასჯელზე შეთანხმება.⁵ ბრალზე გარიგების შემთხვევაში, ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების სავალდებულო მოთხოვნასთან ერთად შენარჩუნდა გამოძიებასთან თანამშრომლობის პირობა.

რაც შეეხება სასჯელზე შეთანხმებას, ამ შემთხვევაში, ბრალდებულს არ მოეთხოვებოდა დანაშაულის აღიარება, ხოლო გამოძიებასთან თანამშრომლობა, სასჯელის ზომაზე პროკურორთან ბრალდებულის დასათანხმებლად, სავალდებულო მოთხოვნად რჩებოდა.

II. საპროცესო შეთანხმების შესვლილი მოდელი (2005 წლის 25 მარტის კანონი)

საპროცესო კანონმდებლობაში 2005 წლის 25 მარტის კანონით შეტანილი ძირეული ცვლილებები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ახლებურ მოდელს გვთავაზობს. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი მიუთითებდა, რომ საპროცესო შეთანხმება ხორციელდება სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით. საპროცესო შეთანხმების სპეციალური LXIV¹-ე თავი იმჟამინდელი რედაქციით გვთავაზობდა საპროცესო შეთანხმებას და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების განახლებულ მოდელს. კერძოდ: სსსკ-ის 6791-ე მუხლი საპროცესო შეთანხმების არსს, ანუ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენით დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების


1 სსსკ-ის მე-15¹ მუხლი

2 “საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება“

3 “საპროცესო შეთანხმების არსი“

4 2004 წლის 24 ივნისის კანონი

5 იხ. სსსკ-ის 6791-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 2004 წლის 24 ივნისის კანონის რედაქციით



საფუძვლად ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმებას მიიჩნევს და 6799-ე მუხლის თანახმად, ცალკე ინსტიტუტად მოიაზრებს ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას. მისი მთავარი არსი ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგად თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის გამოვლენა, ან მისი უშუალო ხელშეწყობით დანაშაულის გახსნისათვის რეალური პირობების შექმნა.

საპროცესო კანონის 2004 წლის 13 თებერვლის რედაქციისაგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის 2005 წლის 25 მარტის მოდელი, მისი ორივე საფუძვლით (შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე) გათავისუფლდა ისეთი ძირითადი პირობისაგან, როგორც იყო გამოძიებასთან თანამშრომლობა და დახმარება. დღეისათვის ამოქმედებულ 2009 წლის რედაქციის საპროცესო კოდექსში აღნიშნული საკანონმდებლო პირობა სავალდებულოა ისეთი ინსტიტუტისათვის, როგორცაა ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება (მუხ.218).

დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების (ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმების) დადებისას, პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება, ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე. აღნიშნული ნორმა, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში, ადგენს ანალოგიურ შეღავათებს, რაც საპროცესო შეთანხმების ამ ორ საფუძველს (ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმებას) შორის რაიმე განსხვავებას აღარ ტოვებს.⁶

საპროცესო შეთანხმების შეთავაზება, მოქმედი კანონის შესაბამისად, როგორც პროკურორის, ასევე, ბრალდებულის და მოსამართლის უფლებაა. სასამართლო უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი, თუ არსებობს შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმება ფორმდება წერილობით და მტკიცდება სასამართლო სხდომაზე. კანონის ბოლო რედაქციით განიმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია, როგორც წინასწარი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე, როდესაც სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმება. (სიახლეა სსსკ-ის 197-ე მუხლის დებულება - ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა სასამართლოში, რა დროსაც მაგისტრტი მოსამართლის მიერ ხდება საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის გარკვევა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა.)

III. საპროცესო შეთანხმების საფუძვლები

საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით საპროცესო შეთანხმების დადების საფუძვლად რჩება შეთანხმება ბრალზე, როცა ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ან _ შეთანხმება სასჯელზე, როცა ბრალდებული არ ეწინააღმდეგება პროკურორის მიერ წაყენებულ ბრალდებას, თუმცა შეთანხმება სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე.

6 სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში, როცა ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას, თუმცა უფლება აქვს დაეთანხმოს პროკურორს სასჯელის ზომას _ სადავოს ხდის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსს და მის მიზანს. განსხვავებულია მოქმედი სსსკ-ის 209-ე მუხლის ამავე ნაწილის დებულება სასჯელზე შეთანხმების საფუძვლით საპროცესო შეთანხმების დადებისას, ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ, რომელიც, მხოლოდ სსსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებისას მოქმედებს. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების სპეციალური მუხლი კი, საერთოდ არ უთითებს მხოლოდ სასჯელზე შეთანხმების საფუძველს. აღნიშნული მუხლი არ აკეთებს დათქმას იმის თაობაზე, რომ მთავარ პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას იდება მხოლოდ სასჯელზე შეთანხმების საფუძვლით. აღნიშნული არ გამორიცხავს ბრალზე გარიგების საფუძვლით დადებული საპროცესო შეთანხმების მთავარი პროკურორის უფლებას, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ.



სსსკ-ის 210-ე მუხლში ჩამოთვლილია საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგი აუცილებელი პირობები:

- ა) საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი;⁷
- ბ) ბრალდებულის (განსასჯელის) გაფრთხილება სამოქალაქო, ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობაზე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;⁸
- გ) დამცველის სავალდებულო მონაწილეობა და შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი წერილობითი თანხმობა;⁹
- დ) ზემდგომი პროკურორის წინასწარი წერილობითი თანხმობა.¹⁰

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების დადება დაიშვება როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენი ბრალდებულის მიმართ. თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული შეზღუდვა, როცა კანონმდებელი ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების, ან ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორს იმპერატიულად სთხოვს, გაითვალისწინოს ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხი, ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი, რაც პირდაპირ მიანიშნებს დანაშაულთა კატეგორიაზე და სთხოვს პროკურორს მეტ წინდახედულებასა და ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის არჩეული კურსის სწორად განხორციელებას, საჯარო ინტერესთან მიმართებაში.

ასევე იმპერატიული მოთხოვნაა საპროცესო შეთანხმების დადებისას ზემდგომი პროკურორის წერილობითი შეთანხმების არსებობა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროკურატურის საპროცესო ზედამხედველობის ფუნქციას. აქვე უნდა მივანიშნოთ, დაზარალებულის შეზღუდულ საპროცესო უფლებაზე. სსსკ-ის 217-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს პროკურორს გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. თუმცა, კონსულტაციის მიზანი დაკონკრეტებული არ არის და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით მის მინიმალურ მნიშვნელობაზეა მინიშნებული – დაზარალებულის უფლებობა გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. დაზარალებულის უფლებაა შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

რაც შეეხება სსსკ-ის 209-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა მთავარ პროკურორს, ან მის მოადგილეს უფლება აქვთ იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე, ის დაზარალებულს უნარჩუნებს უფლებას სახელმწიფოს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.


ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა და შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი წერილობითი თანხმობა, სსსკ-ის 210-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უნდა არსებობდეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის მომზადებამდე. ბრალდებულის წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ დამცველისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით აცხადებს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობას, სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო შეთანხმების შეთავაზება ხდება პროკურორის მიერ.

7 210-ე მუხ. მე-3 ნაწ.

8 210-ე მუხ. მე-5 ნაწ.

9 209-ე მუხ. მე-4 ნაწ.

10 210-ე მუხ. 1 ნაწ.



საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად პროკურორის შუამდგომლობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობა საპროცესო დოკუმენტისათვის საერთო მონაცემების გარდა (ბრალდებულის ვინაობა; ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით; კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული;) სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა და პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომას.

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად პროკურორის შუამდგომლობის განხილვა

სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხს იხილავს სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით.¹¹ 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის-ის 6791-ე მუხლში 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, მოსამართლეს, საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლო კამათის დაწყებამდე, მიეცა უფლებამოსილება მხარეებს შესთავაზოს წერილობითი საპროცესო შეთანხმება,¹² რაც დღეს მოქმედმა საპროცესო კოდექსის 209-ე მუხ მე-2 ნაწილის დებულებამ გააფართოვა და დააზუსტა, რომ საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება.

საპროცესო შეთანხმებისას (ბრალზე გარიგების საფუძველით) ბრალდებული უარს ამბობს საპროცესო კანონით დადგენილ მთელ რიგ უფლებებზე (არ მისცეს თავისი საწინააღმდეგო ჩვენება, მისი საქმე განხილულ იქნეს არსებითად, მხარეთა მონაწილეობით, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ა.შ.), რაც განაპირობებს საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვისას კანონის რიგი მოითხოვნების დაცვას. კერძოდ: შეთანხმება დადებულ უნდა იქნეს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ, ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე ანუ ნებაყოფლობითობა საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულის უფლებების მყარი გარანტია უნდა იყოს. სსსკ-ის 209-ე მუხლით, იგივე პირობები სავალდებულოდ უნდა იქნას დაცული სასჯელზე შეთანხმების საფუძველით საპროცესო შეთანხმების დადებისას.

11 სსსკ-ის 213-ე მუხლი საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვის განსხვავებულ სასამართლო პროცედურას ადგენს. კანონი არ უთითებს ზოგადსამართლებრივ პრინციპებზე (თანასწორობა კანონისა და სამართლის წინაშე, უდანაშაულობის პრეზუმფცია, შეჯიბრებითობა და ა.შ.) და პირველი ინტანციის სასამართლოში საქმის წარმოების კოდექსით დადგენილ ზოგად წესზე, რომელიც გულისხმობს სასამართლო განხილვის უშუალოდ, შეჯიბრებითობას და ა.შ. მთავარი პრინციპი, რომლის დაცვასაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ითხოვს სსსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, არის სამართლიანი პროცესის უფლება. საქართველოს საპროცესო კოდექსის ზოგადსამართლებრივი პრინციპი, სისხლის სამართლის პროცესის უშუალოდ და (რომლის სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძველად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით) საქმის არსებითი განხილვის შესახებ პირდაპირ არის უგულებელყოფილი პროკურორის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვისას. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის არსებითი განხილვის გარეშე ყოველივე გამართლებულია ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რომ კოდექსით დადგენილ ვადებში

დანხორციელებული სწრაფი მართლმსაჯულება ბრალდებულის უფლებაა და ამ უფლების გამოუყენებლობაც მისი გადასაწყვეტია.

12 აღნიშნული ნოვაცია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ამსგავსებს შეკვეცილი სასამართლო წარმოების ქართულ ვარიანტს, რომელიც 1998 წლის სსსკ-ის 473-ე მუხლით იყო დადგენილი და განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება ედებოდა საფუძველად. საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებით ბრალზე გარიგების საფუძველით, თითქმის არ განსხვავდება შეკვეცილი სასამართლო წარმოებისაგან, რომელიც დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსიდან ამოღებულია.



სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს, რომ:

- ა) ბრალდებული სრულად აცნობიერებს დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაში მას ედება ბრალი;
- ბ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;
- გ) ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;
- დ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;
- ე) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი კონსტიტუციური უფლებები: დაცვის უფლება, ბრალის აღიარების შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება; საქმის არსებითი განხილვის მოთხოვნის უფლება;
- ვ) საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;
- ზ) ბრალდებული (განსასჯელი) ეთანხმება საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;
- თ) ბრალდებულისა და პროკურორს შორის შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში;
- ი) ბრალდებული და მისი დამცველი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

განსჯადი სასამართლოს მიერ შესამოწმებელ ზემოთ მითითებულ საკითხთა შორის საყურადღებოა ბრალდებულისათვის საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა იმ მოთხოვნის გაცნობა, რომელიც უკავშირდება ბრალის აღიარებას. აღნიშნული საკითხის გადამოწმება ხდება ბრალზე შეთანხმების საფუძველით დადებულ წერილობით შეთანხმებაში და უპირველესად, მოითხოვს მოსამართლისაგან იმ საკითხის შემოწმებას, რაც ამ მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული, კერძოდ, სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ საპროცესო შეთანხმება ანუ, ბრალის აღიარება მოხდა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის გარეშე და ნებაყოფლობით.

კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების ნორმებს გულისხმობს და აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული. კერძოდ, ეს მოთხოვნაა, რომ შეთანხმება დაიდოს ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან სხვა რაიმე უკანონო დაპირების გარეშე, კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების გზით. კანონმდებელი სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-7 ნაწილში, აკონკრეტებს ბრალდებულის უფლებას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს განაჩენის გამოსატანამდე საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ.

კონსტიტუციურ უფლებათა ჩამონათვალშია საქმის არსებითი განხილვის მოთხოვნის უფლება ბრალდებულის მიერ.¹³ ეს უფლება უკავშირდება ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში გასვლამდე, ნებისმიერ ეტაპზე, საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლებას. ისევე, როგორც სისხლისამართლებრივი დევნისას, ასევე პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების შესახებ წერილობითი შუამდგომლობის მომზადების და მისი სასამართლოში შეტანის, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ნებისმიერ ეტაპზე განაჩენის გამოტანამდე ბრალდებულს (განსასჯელს) შეუძლია მოითხოვოს საპროცესო შეთანხმების უარყოფა და სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა. ბრალდებულის მიერ განაჩენის გამოტანამდე საპროცესო შეთანხმებაზე უარს დამცველის თანხმობა არ სჭირდება.

13 სსსკ-ის 213-ე მუხ. მე-7 ნაწ.



საპროცესო შეთანხმების დამტკიცება და სასამართლოს გადაწყვეტილება

სსსკ-ის 213-ე მუხლში ჩამოთვლილია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად, სასამართლომ შეიძლება მიიღოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე, კერძოდ:

- ა) გამამტყუნებელი განაჩენი;
- ბ) სისხლის სამართლის საქმის პროკურორისათვის დაბრუნება;

პროკურორი

პროკურორის უფლება ბრალდებულისათვის საპროცესო შეთანხმების შეთავაზების შესახებ, (ახალი საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების დისკრეციულ უფლებამოსილებასთან ერთად) მოითხოვს სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპების ზუსტად დაცვასა და საჯარო ინტერესის დაბალანსებულ გათვალისწინებას პირად კანონიერ ინტერესებთან მიმართებაში (სსსკ-ის 12-ე მუხ მე-4 ნაწ).

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე პროკურორის მონაწილეობის საკითხს, სასამართლო განხილვაში ის მხარს უჭერს საპროცესო შეთანხმების შესახებ შედგენილ შუამდგომლობას და ამასთან, წარმოადგენს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. პროკურორი გამოთქვამს აზრს სასამართლოს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე. კერძოდ, იმაზე, რომ წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები განსასჯელის ბრალის დასადასტურებლად და მოთხოვნა ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე და მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია, შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხს.

დაზარალებული

სსსკ-ის 217-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას უფლებიერყოფილია. დაზარალებულს, რომელთანაც პროკურორი გადის კონსულტაციას, პროკურორი ატყობინებს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. დაზარალებულის მოტივირებული პოზიციის მიუხედავად არ გაფორმდეს შეთანხმება ბრალდებულთან ის ვერ მონაწილეობს როგორც მხარე სასამართლო განხილვაში და ვერ ასაჩივრებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას. ასევე, უფლებიერყოფილია სასამართლო განხილვაში მისი, როგორც სამოქალაქო მოსარჩელის მონაწილეობა. ამავე დროს, საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს სარჩელის უფლებას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სასამართლო განხილვა

სასამართლო განხილვა სსსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, როგორც წესი ტარდება საჯაროდ და ზეპირად. აღნიშნულს ადასტურებს თვით საპროცესო შეთანხმების თავში არსებული დათქმა 211-ე მუხლის მე-6 ნაწილის სახით, რაც საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის მიერ შედგენილი შუამდგომლობის საჯაროობაზე მიუთითებს. კანონმდებლობით გამოწვეულია გათვალისწინებული შუამდგომლობის იმ ნაწილთან მიმართებაში, სადაც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვს შეთანხმებაზე ხელმომწერ მხარეებსა და სასამართლოს, რაც პროცესუალურად დახურული (ნაწილობრივ დახურული) სასამართლო სხდომის პროცედურას ითვალისწინებს.

სასამართლოში საქმე განხილვა საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში მითითებული ბრალდების ფარგლებში. სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის



შესაბამისად, სასამართლო განხილვისას, მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა და, მათი თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს შეთანხმებაში.¹⁴

სასამართლო წარმოების საპროცესო კანონმდებლობის წესები შეზღუდულად გამოიყენება საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას. სასამართლო სხდომაზე პროკურორი წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობას, ან მის სარეზოლუციო ნაწილს, რა დროსაც მოსამართლე არკვევს, რომ ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში. სასამართლო ეკითხება ბრალდებულს, ეთანხმება თუ არა საპროცესო შეთანხმებას და აძლევს განმარტებას, რომ უფლება აქვს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ მომენტში, უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე და რომ მომავალში მის წინააღმდეგ შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას¹⁵ სასამართლო ეკითხება განსასჯელს, საპროცესო შეთანხმება იყო თუ არა ნებაყოფლობით, კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევის შემდეგ; რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არ ყოფილა წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა.

სასამართლო განსასჯელს განუმარტავს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, რათა სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა- ქვეპუნქტის შესაბამისად, დარწმუნდეს, რომ ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ედება ბრალი. იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმების საფუძველია ბრალზე შეთანხმება, მოსამართლე ამოწმებს, რომ ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს და სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს. სასამართლო ამოწმებს ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს და შუამდგომლობაში პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს. კანონმდებლის მოთხოვნა 213-ე მუხლის მე-4 ნაწილში, მოსამართლის მიერ სასჯელის კანონიერების შემოწმებაზე, არის ერთ-ერთი მცდელობა მოსამართლის უფლებამოსილებების რეალურობისა - გადაწყვეტილების მიღებისას იყოს დამოუკიდებელი და ფორმალურად არ დაადასტუროს საპროცესო შეთანხმებაში მოთხოვნილი სასჯელი უსამართლობის შემთხვევაში. სასამართლოს მიერ სავალდებულოა ბრალდებულის საბოლოო პოზიციის შემოწმება¹⁶ გადაწყვეტილების მისაღებად.

სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას, შეიძლება გამოტანილ იქნას გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით. სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევა უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

საპროცესო კოდექსი საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას არ აკეთებს სპეციალურ დათქმას 259-ე მუხლის პირველი ნაწილის იპერატიულ დებულებასთან მიმართებაში - განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის სავალდებულობის კუთხით. ნათელია, რომ აღნიშნული დებულება არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილს ნორმა, მაგრამ ვფიქრობთ, სასამართლოსთვის განაჩენის დადგენისას ზოგადი და იმპერატიული მოთხოვნაა. თანაც, საპროცესო შეთანხმების თავში კანონმდებელმა, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-4 ნაწილში, სასამართლო დაავალდებულა განაჩენის დადგენისას საპროცესო შეთანხმებაში მოთხოვნილი სასჯელის კანონიერების შემოწმებაში. ვფიქრობთ, ამ საგამონაკლისო შემთხვევაში კანონმდებელი სასჯელის კანონიერების შეზღუდულ განმარტებას გვერდს ვერ აუვლის და დანიშნული სასჯელის

14 2006.09.12 კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

15 სსსკ-ის 214-მუხ.

16 სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება.



მსჯავრდებულის პიროვნებასთან და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის კრიტერიუმს მოიაზრებს. აღნიშნული კი აიძულებს მას სსსკ-ის 259-ე მუხლის დებულებებთან მიმართებაში - სასამართლოს განაჩენის სამართლიანობა- საკანონმდებლო ხარვეზი აღმოფხვრას.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლო გადაწყვეტილების მეორე სახეა _ საქმის დაბრუნება პროკურატურისათვის. საქმეში ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა არის ერთ-ერთი საფუძველი პროკურორის წარმოდგენილ შუამდგომლობაზე სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე უარის თქმისათვის. საქმის პროკურორისთვის უკან დაბრუნება ვფიქრობთ, არ ართმევს მხარეებს უფლებას სხვა საფუძველითა და ახალი პირობებით ხელახლა მიაღწიონ საპროცესო შეთანხმებას.

საპროცესო შეთანხმების დასადებად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა (ბრალდებული, მისი დამცველი და ბრალმდებელი) შორის შეთანხმება, იქნება ეს ბრალზე თუ სასჯელზე გარიგებით, ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით. ამასთან, საქმეში უნდა არსებობდეს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო წარმოდგენილ შეთანხმებას კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღწეულად ჩათვლის. მაგრამ თუ კანონის დარღვეული მოთხოვნები (მაგ. უსამართლო, ზედმეტად მკაცრი ან მსუბუქი სასჯელი), შეიძლება მხარეთა მიერ საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლით აღმოიფხვრას, სასამართლო ამ შესაძლებლობას გამოიყენებს და შეცვლილი პირობებით დაამტკიცებს შეთანხმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. (სსსკ-ის 213-ე მუხ მე-5 ნაწილი). რაც შეეხება საპროცესო გადაწყვეტილების სახეს, ან ფორმას პროკურატურისათვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე, ამის შესახებ საპროცესო კოდექსის სპეციალურ თავში არაფერია მითითებული.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის განსაზღვრება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტის საკანონმდებლო ცვლილებით შესაძლებელი გახდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრება.¹⁷ მიუხედავად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შერსახებ ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნისა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულს აქვს უფლება მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადასინჯოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, კანონმდებელმა განაჩენის გასაჩივრების საერთო წესზე უარი თქვა და დააწესა შეზღუდვები საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის გასაჩივრებისათვის. კერძოდ, სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს თუ: საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით; ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა. აღნიშნული საფუძველებით განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ მსჯავრდებულს. რაც შეეხება პროკურორს, მას უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა.¹⁸ როგორც მსჯავრდებულის, ასევე პროკურორის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, განაჩენი უქმდება და სისხლის სამართლის საქმე ბრუნდება პროკურორს.¹⁹

17 სსსკ-ის 6796-ე მუხლი- 2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე არსებული რედაქციით.

18 სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

19 რაც შეეხება სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილით პროკურორის მიერ განაჩენის გასაჩივრების უფლებას, თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, შეეხება სსსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთადერთ, განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა ბრალდებული საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობს და ბრალდებასა და ბრალდებულს შორის რაიმე პირობებზე შეთანხმება. სხვა მხრივ, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებით საპროცესო შეთანხმების მიღწევას, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე



სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება დაუშვებელია. აღნიშნული ნორმა მყარი გარანტიაა ბრალდებულისათვის არა მხოლოდ სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმებისას, არამედ ზოგადად საპროცესო შეთანხმებაზე უარის განცხადებისას. (სსსკ-ის 214-ე მუხ.)

ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება

სსსკ-ის 218-ე მუხლის სახით შემოტანილი დათქმა (ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება) საპროცესო კანონმდებლობაში 2005 წლის 25 მარტის კანონით დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმა საპროცესო შეთანხმების თავში მოიაზრება, აშკარად ჩანს, რომ საპროცესო შეთანხმების როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმების შემთხვევისგან განსხვავებულ ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის საპროცესო ურთიერთობასთან გვაქვს საქმე.²⁰

მითითებული დებულების გაანალიზებით მივდივართ დასკვნამდე, რომ საპროცესო შეთანხმებაში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება თანამშრომლობა, რა დროსაც ბრალდებულის საგამომიებო ორგანოებთან საპროცესო შეთანხმების შესახებ გარიგების დროს გამოვლინდება საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობის განსაკუთრებული შემთხვევა, რასაც არც ბრალზე და არც სასჯელზე შეთანხმების დღევანდელი კანონის რედაქცია არ მოითხოვს და პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებით სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე. სსსკ-ის 218-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას, მთავარი პროკურორი დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს.

სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმების პირობები არ უკავშირდება მხოლოდ ჯარიმის ან სხვა თანხის გადახდას. 218-ე მუხლის მე-4 ნაწილში არსებული დათქმა ბუნდოვანია და მისი კომენტარი აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს. რას მოიაზრებს კანონმდებელი თანხის გადახდაში – გაურკვეველია. აღნიშნულზე არ უთითებენ სახელმძღვანელო რეკომენდაციები (“გაიდლაინები”) და კომენტარები.

IV. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და საპროცესო შეთანხმება

2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა სამართლიანი პროცესის და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს ბრალდებულის მთავარ და თანაბარ უფლებათა რანგში წარმოაჩენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება და ასევე, ბრალდებულს აქვს სწრაფი მართლმსაჯულების უფლება.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საბოლოოდ ადასტურებს რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის სისტემების დაახლოების ტენდენციას, ამერიკული საპროცესო კანონმდებლობის მოდელის ძლიერ გავლენას და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ამერიკული საპროცესო სამართლის ორი მახასიათებლის გათვალისწინებით წარმოადგენს. კერძოდ, ძირითადი სასამართლო სხდომის დაწყებამდე წინასწარ სხდომაზე ბრალდებულის წარდგენა, სადაც მას დამნაშავედ ცნობის

შეთანხმებისას კანონმდებლობით გათვალისწინებული არავითარი პირობის დათქმა არ სჭირდება, რომლის შემდგომი შეუსრულებლობა

განაჩენის გაუქმების საკითხს წამოჭრიდა.

20 კერძოდ: ‘განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია პირი გაათავისუფლოს სასჯელისაგან’.



შემთხვევაში “არრანგემენტ“-ს სთავაზობენ, რაც აღიარებულ ბრალდებათა აღწერას ნიშნავს, ან ბოლო ცონტენდერე-ს დამტკიცებას, რაც ნიშნავს, რომ ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას და სასჯელის შემსუბუქებით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს დაკავებული ბრალდებულის პირველ წარდგენას 48 საათში მაგისტრატ მოსამართლესთან²¹ იმპერატიულად ითხოვს მოსამართლისაგან საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის საკითხის გარკვევას და, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებას.

ამ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა მხარეებს არ ართმევს უფლებას საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, სასამართლო კამათის დაწყებამდე გამოიყენოს საპროცესო შეთანხმება.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების XXI თავი საპროცესო შეთანხმების არსს არ ცვლის, თუმცა მას მოქმედებისათვის შეუზღუდავ გარემოს სთავაზობს. კერძოდ, დაზარალებულს ართმევს სისხლის სამართალწარმოებაში სამოქალაქო სარჩელის უფლებას და საპროცესო შეთანხმების შესახებ მხოლოდ შეტყობინებას აძლევს.

ამასთანავე, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პროკურორი წინასწარ საპროცესო შეთანხმების დადებამდე კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, თუმცა აღნიშნული კონსულტაციის შედეგები პროკურორს გადაწყვეტილების შეცვლას არ ავალდებულებს.

ასევე, ახალი საპროცესო კოდექსი არ იხსენიებს მანამდე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის კონტინენტურ მოდელს.²² ახალი კოდექსით ბრალდებულის მიერ ბრალეულად თავის ცნობის შედეგად “Plea Bargaining” (საპროცესო შეთანხმება). ბრალდებული ცალმხრივად საკუთარი დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ (სასჯელის შემცირების მიზნით) უთანხმდება პროკურატურას ბრალდების მოცულობის თაობაზე.²³

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობით, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. საპროცესო შეთანხმების არსებობის შესახებ ნაფიც მსაჯულების ინფორმირება სავალდებულოა.²⁴

დასკვნები ახალ საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით:

სამართლებრივი ეფექტები, რაც საპროცესო შეთანხმების ე.ი. ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის მოლაპარაკების ქართულ მოდელს უნდა ახასიათებდეს, სამართლიანი პროცესის იდეის სწრაფი

21 სსსკ-ის 197-ე მუხლი

22 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სსს კოდექსის 473-ე მუხლი.

23 საპროცესო შეთანხმება, ახალი საპროცესო კოდექსით, შეგვიძლია განვიხილოთ ყოველგვარ შეთანხმებად, რომლის შედეგად ბრალდებული თანხმდება ბრალის აღიარებას, ხოლო ბრალმდებელი ან თანხმდება შეთანხმების ბრალდებულისეულ პირობას ან ცვლის მას. პრაქტიკული თვალსაზრისით შეთანხმება შეეხება: 1. ბრალდებას (კვალიფიკაციის შეცვლა, გარკვეულ ბრალდებათა გამორიცხვა ან პირობას, არ მოხდეს არსებითი სასამართლო განხილვა დანაშაულისათვის, რომლის თაობაზე სამხილების მოპოვება შესაძლებელია, ან დაპირება, არ აღიძრას საქმე ბრალდებულის მეგობრების ან ოჯახის წინააღმდეგ); 2. განაჩენს (ბრალმდებლის დაპირება, არ დაუპირისპირდეს მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას, წარუდგინოს ბრალდებული მოსამართლეს) 3. დანაშაულის შემადგენელ ქმედებებს (დაპირება სხდომის დროს იმ ფაქტების გაუმჟღავნებლობისა, რომლებიც მოსამართლემ შესაძლოა დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალოს, მაგალითად არ მოხდეს წარსული ნასამართლობის ფაქტის გამხელა.

24 Plea Bargaining-ის პრინციპის კრიტიკისას საერთო სამართალში ხშირად მიუღებელ გარიგებად მოიხსენიებენ. რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში ბრალდებული ბრალს აღიარებს და თავს დამნაშავედ ცნობს გარკვეული უპირატესობის მიღების მიზნით. ვაჭრობის შედეგები იცვლება მხარეთა მოხერხებულობის მიხედვით. 1998 წელს მიღებული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული (სსსკ-ის 473-ე მუხ.) შეკვეცილი სამართალწარმოების მოდელის უარყოფა ახალ საპროცესო კანონმდებლობაში და მატერიალურ სისხლის სამართალში არსებული (სსკ-ის 45-ე მუხლი) სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას) არსებული წამახალისებელი ნორმების გამოუყენებლობა თუ კონკურენტუნარობა- საპროცესო შეთანხმების ამერიკულ მოდელს გამოყენების დიდ შანსს აძლევს. ძდღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ ამერიკის მსგავსად, საქართველოს სამართალწარმოება ვერ იარსებებს ამ პრაქტიკის გარეშე. უტყვევია, რომ გამამტყუნებელ განაჩენა დაახლოებით 80% საპროცესო შეთანხმების შედეგი იქნება.



მართლმსაჯულების გზით უზრუნველყოფას გულისხმობს საჯარო ინტერესის გათვალისწინებით. საკანონდებლო ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონის როგორც მოქმედი, ისე ახალი რედაქცია ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. ახალი საპროცესო კანონმდებლობა ზოგადსაპროცესო პრინციპების გათვალისწინებით უფრო მეტად თავსებადია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან, თუმცა უხარვეზო მაინც არ არის.

პროექტზე მუშაობისას გამოიკვეთა რამოდენიმე სერიოზული ხარვეზი მოქმედი საპროცესო შეთანხმების ნორმების პრაქტიკაში არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ, რაც, უდავოდ, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს ახალ საპროცესო კოდექსში. კერძოდ, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გადახვევისას ანუ საპროცესო შეთანხმებით სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისას სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობაში მეტი გარანტიები უნდა იყოს შემოთავაზებული. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლი²⁵ (სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება) შეზღუდულად განმარტავს შეკვეცილი წარმოებისას სამართლიანი პროცესის უფლებას, რაც უნდა დაზუსტდეს და შეივსოს ამავე კოდექსის XXI თავში (საპროცესო შეთანხმება) მოცემულ დებულებებთან შესაბამისობაში.

საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის (სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა) I ნაწილის “გ” ქვეპუნქტში²⁶ მითითებული დასაბუთებული ვარაუდი, რომელიც მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი დევნის ეტაპზე საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად და ასევე, 215-ე მუხლის მე-4 ნაწილით²⁷ გათვალისწინებული ბრალის დამადასტურებელი უტყუარ მტკიცებულებათა სტანდარტი, არ არის შესაბამისობაში ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-12 (ალბათობის მაღალი ხარისხი) და მე-13 (გონივრულ ეჭვს მიღმა) ნაწილებით.²⁸

ახალი საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის (სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა) მე-5 ნაწილში²⁹, სადაც საუბარია ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, მითითებულია, რომ ის არ თავისუფლდება “სხვა სახის პასუხისმგებლობებისაგან”. უნდა დაზუსტდეს რა იგულისხმება “სხვა სახის პასუხისმგებლობაში”. ჩვენს მიერ მითითებული ეს ხარვეზი გამოიწვევს შეცდომებს სამართალწარმოებისას და ბრალდებულის უფლებების დარღვევას.

ასევე, უნდა დაზუსტდეს სსს კოდექსის 217-ე მუხლის I ნაწილში³⁰ ჩამოყალიბებული დებულება,

25 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 8. (სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება) “1. ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება. 2. ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა ამ კოდექსით დადგენილ ვადებში. პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისთვის.”

26 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 211. (სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა), I ნაწილის “გ” ქვეპუნქტი: “მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა”

27 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 215. (საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და გასაჩივრება), მე-4 ნაწილი: “თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია, მას გამოაქვს განაჩენი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე”.

28 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 3. (ძირითად ტერმინთა განმარტება ამ კოდექსის მიზნებისთვის), მე-12 ნაწილი: “ალბათობის მაღალი ხარისხი – წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილებელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი”, მე-13 ნაწილი: “გონივრულ ეჭვს მიღმა – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში”.

29 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 215. (საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და გასაჩივრება), მე-5 ნაწილი: “საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია ბრალდებულს გააფრთხილოს იმის თაობაზე რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო ან სხვა პასუხისმგებლობისაგან”.

30 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 217. (საპროცესო შეთანხმების დადების შეტყობინება დაზარალებულისათვის) I ნაწილი: “პროკურორი ვალდებულია გააიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება”.



რომელიც პროკურორს ავალდებულებს დაზარალებულთან კონსულტაციას საპროცესო შეთანხმების საკითხებზე. აღნიშნული ნიშნავს თუ არა დაზარალებულის უფლებას უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე ან კონკრეტულად, რა მიზანი აქვს ასეთ კონსულტაციას?

საპროცესო კოდექსის ახალ რედაქციაში შენარჩუნებულია მეტად ბუნდოვანი დებულება, რომელიც სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ წერილობით შეთანხმებას შეეხება. კერძოდ, ამკრძალავი ნორმა სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შემთხვევაში ჯარიმის ან სხვა თანხის გადახდის დაუშვებლობაზე. აუცილებელია, განიმარტოს რას ნიშნავს “ჯარიმა ან სხვა თანხა” საპროცესო შეთანხმების დადებისას, როდესაც ბრალდებული სასჯელისაგან სრულად თავისუფლდება.³¹

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს კონკრეტულად რომელი კატეგორიის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადება.³² ასევე უნდა დაკონკრეტდეს საპროცესო შეთანხმების დადების უფლება თანამონაწილეობით და ჯგუფურ დანაშაულებში მონაწილე ბრალდებულთა მიმართ.³³ აღნიშნული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საქართველოში დამკვიდრების მოტივაციას (ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, სწრაფი და ეკონომიური მართლმსაჯულება) უფრო დამაჯერებელს გახდის.

31 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) მუხლი 218. (ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება), მე-4 ნაწილი: “სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას სასამართლოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავარი პროკურორი. დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება მხოლოდ ჯარიმის ან **სხვა თანხის** გადახდის სანაცვლოდ.”

32 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2010 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) XXI თავში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაშია დაშვებული საპროცესო შეთანხმების დადება.

33 გოგუა, ნ., “ლიბერალი”, 11 იანვარი, 2010 წ: “რაც შეეხება ჯგუფურ კანონდარღვევას, საპროცესო კოდექსის მიხედვით, იდენტური ბრალის მქონე ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის პროკურატურამ შეიძლება ერთთან გააფორმოს შეთანხმება, მეორესთან - არა. 19 ნოემბერს მუხროვანის ამბოხის პროცესზე 28 განსასჯელიდან შვიდმა აღიარა დაუმორჩილებლობაში წაყენებული ბრალი და შვიდივე მათგანთან პროკურატურამ საპროცესო გარიგება გააფორმა. სწორედ აღიარებითი ჩვენების და არა დამატებით მიღებული ინფორმაციით ახსნა პროკურორმა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივი. სასამართლო პროცესში კვლავ რჩება იგივე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული 21 სამხედრო მოხელე.”



დანართი 2: საპროცესო შეთანხმებათა მონაცემთა ბაზა თბილისის საქალაქო სასამართლო

№	საქმის ნომერი	თარიღი	სასამართლო	ბრალდება
1	1/1405 [074108033]	26.03.2010	ლელა ნოზაძე	ეკონომიკური (თაღლითობა – 180.3.ბ; გადასახადისთვის თავის არიდება – 218.1)
2	1/669-10	06.02.2010	ნატო ხუჯაძე	მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება - 362.2)
3	1/487-10	09.02.2010	ნინო ელიეშვილი	ეკონომიკური (საბაჟო წესის დარღვევა - 214.2); სამოხელეო (მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - 332.1)
4	1/355-10	01.02.2010	მაკა გველესიანი	ეკონომიკური (საბაჟო წესის დარღვევა - 214.2); სამოხელეო (მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - 332.1)
5	1/286	02.02.2010	ეკა არეშიძე	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შექმნა-შენახვა 260.1)
6	1/504-10	10.02.2010	დალი მეტრეველი	ნარკოტიკული (პირადი მოხმარებისთვის შექმნა-შენახვა 273)
7	1/616-10	16.02.2010	გ. არევაძე	ეკონომიკური (ყაჩაღობა 179.2.ბ, 179.3.ბ)
8	1/1645-10 [007100418]	31.03.2010	მილერი ხარებავა	ეკონომიკური (ქურდობა - 177.2.ა, 177.3.დ)
9	1/11-10	08.01.2010	მაკა გველესიანი	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შექმნა-შენახვა 260.1)
10	1/6269	29.02.2008	ლელა ნოზაძე	საზოგადოებრივი (ხულიგნობა 239.2.ა)
11	1/692-10	22.02.2010	მაკა გველესიანი	ნარკოტიკული (პირადი მოხმარებისთვის შექმნა-შენახვა - 273)
12	1/1001-10 [006091615]	05.03.2010	მაია ჯვარშიშვილი	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შექმნა-შენახვა 260.1)
13	1/1312-10 [006100440]	23.03.2010	მილერი ხარებავა	ნარკოტიკული (პირადი მოხმარებისთვის შექმნა-შენახვა - 273)



საპროექტო	შინაარსი	შედეგი	კატეგორია
ბრალზე და სასჯელზე გარიგება და მ.55	ბრალდებული იყო ერთ-ერთი სპს-ს წევრი. თბილისის ანძის რეაბილიტაციის საქმეებზე მან მიითვისა სპს-ს საშუალებით თანხა და დამალა გადასახადი	3 წელი გამოსაცდელი და 104 ათასი ლარი	მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება და მ.55	ბრალდებულმა ჩაიდინა საქართველოს ფოსტისთვის ფართის გაცვლა გაყალბებული და გაზრდილი ფასით.	პირობით 1 წელი გამოსაცდელი და 70 ათასი ლარი	მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ორი ბრალდებულიდან ერთ-ერთს – დეკლარაციის გაყალბებით საბაჟო დარღვევა - სამხელეო - სამსახურ. მდგ. ბოროტად გამოყენება	პირობით 1 წელი და 40 000; პირობით 3 წელი და 10 000	მძიმე
ბრალზე გარიგება ორივესთან	ორი ბრალდებულიდან ერთ-ერთს – დეკლარაციის გაყალბებით საბაჟო დარღვევა და მეორე - სამხელეო - სამსახურ. მდგ. ბოროტად გამოყენება	პირობით 3 წელი და 10 000; პირობით 1 წელი და 50 000 ლარი.	მძიმე
ბრალზე გარიგება	არასრულწლოვანმა ბრალდებულმა შეიძინა 6.77 გ. გამომშრალი მარხიუნა და შეინახა.	6 თვე პატიმრობა; 4 წელი პირობითი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებულმა ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკი	6 თვე პირობითი; 1 წელი გამოსაცდელი	ნაკლებად მძიმე
შეთანხმება; მ.55	ბრალდებულმა ჩაიდინა ყაჩაღობა კარის შემტვრევით წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად	6 წელი ადკვეთა ორივეს	მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებულმა ჩაიდინა ავტომანქანის ზამპერის ქურდობა და მისი გაყიდვის მცდელობა, როდესაც ის დაიჭირეს. თავად მიმართა პროკურატურას და მოითხოვა საპროცესოს გაფორმება	დაენიშნა 5 წელი გამოსაცდელი და 5 000ლ.	მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებულმა სუბოტექსი გამოართვა მეგობარს და შეინახა, რაც აღმოუჩინეს ჩხრევისას.	4 წელი პირობითი და გამოსაცდელი და 5 000	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ორმა ბრალდებულმა ხულიგნური ქმედებით დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. ერთ-ერთი ასაჩივრებს განაჩენს	1 წელი ადკვეთა, 4 წელი გამოსაცდელი და 2 000	ნაკლებად მძიმე
ბრალზე გარიგება	ნარკოტიკისათვის მსჯავრდებულმა გამოსაცდელი ვადის პერიოდში შეიძინა ნარკოტიკი	2.5 წელი პირობითი (1წ ახლის და 1.5წ წინა დანაშაულისათვის), 3წ გამოსაცდელი, 10 000 ლ	ნაკლებად მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებულმა ჩაიდინა დიდი რაოდენობით ნარკოტიკის შექმნა და შეინახვა	5 წელი გამოსაცდელი და 10 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებული უკვე იყო ამავე მუხლით გასამართლებული, 1 წელი პირობითი და 2 000 ლარი ჯარიმა ჰქონდა	3 წელი გამოსაცდელი და 5 000 ლ	ნაკლებად მძიმე



№	საქმის ნომერი	თარიღი	სასამართლო	ბრალდება
14	1/1615	26.03.2010	გიორგი გოგინაშვილი	ნარკოტიკული (პირადი მოხმარებისთვის შექმენა-შენახვა - 273)
15	1/1708-10 [007100369]	06.04.2010	მილერი ხარეზავა	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით შექმენა-შენახვა 260.2.ა)
16	1/890-10	02.03.2010	ნ. სანდოძე	ეკონომიკური (ყაჩაღობა - 179.2.ბ – ორი ეპიზოდი) საზოგადოებრივი (ცივი იარაღის ტარება - 238'.1)
17	1/6116-07	11.12.2007	ეკატერინე გაბრიჩიძე	სამოხელეო (ქრთამის მიცემა - 339.2)
18	1/2336-09	39958	ვ. ფუხაშვილი	სივრცის წინააღმდეგ (განზრახ მკვლელობა ჯგუფურად, შეკვეთით - 109.თ.ე; 109.ი.თ.ე); საზოგადოებრივი (იარაღის შენახვა-ტარება 236; დანაშაულის დაფარვა – 375)
19	1078-10	10.03.2010	დალი მეტრეველი	ნარკოტიკული (შექმენა-შენახვა 260.1, 260.2; პირადი მოხმარებისთვის – 273); სასამართლოს წინააღმდეგ (განაჩენის შეუსრულებლობა – 381.1)
20	1/222-10	29.01.2010	გ. არევამე	ჯანმრთელობის წინააღმდეგ (განზრახ მძიმე დაზიანება 117.1)
21	1/262-10	25.01.2010	მკა გველესიანი	საზოგადოებრივი (პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა - 353.1)
22	1/207-10 [007090821]	01.02.2010	მილერი ხარეზავა	მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი მართვის მოწმობის დაშვება და გამოყენება - 362.1)
23	1/253-2010 [007093569]	01.02.2010	ტ. ტაბატაძე	ეკონომიკური (ქურდობის მცდელობა - 19,177.3.გ)
24	1/484-2010 [008100334]	04.02.2010	ტ. ტაბატაძე	ეკონომიკური (სხვისი ნივთის დაზიანება - 187.1)
25	1/511-10	05.02.2010	მკა გველესიანი	ეკონომიკური (ქურდობა - 177.2.ა,ბ)
26	1/506-10 [004094209]	08.02.2010	ლელა ნოზაძე	ეკონომიკური (ქურდობა - 177-1)



საპროექტო	შინაარსი	შედეგი	კაპიტორია
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებული უკვე იყო ამავე მუხლით გასამართლებული, 2 წელი პირობითი და 3 000 ლარი ჯარიმა ჰქონდა	2 წელი გამოსაცდელი და 5 000 ლარი	ნაკლებად მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება და მ.55	დიდი რაოდენობით ნარკოტიკის შექმნა და შენახვა	6 თვე აღკვეთა, 6 წელი გამოსაცდელი და 5 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
გაფორმდა ოქმი საპროცესოზე (10 წელი აღკვეთა და 5000 ლარი ჯარიმა)	ბრალდებულმა ჩაიდინა 2 ყაჩაღობა და 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ცივი იარაღის ტარება. პროცესზე განსასჯელი არ დაეთანხმა საპროცესოს.	არ დამტკიცა და გადაეზავნა საბრალდებო დასკვნისათვის პროკურატურას	მძიმე
ბრალზე გარიგება ორივესთან	ორივე ბრალდებულისთვის – ერთ-ერთი სავაჭრო ობიექტის თანამშრომლებმა საგადასახადოს თანამშრომლებს გადასცეს ქრთამი	1) 4წ პირობითი, 3წ გამოსაცდელი და 70 000ლ; 2) 4წ პირობითი, 3წ გამოსაცდელი და 3 000ლ	მძიმე
სამივესთან საპროცესო დაიღო. დაზარალებული არ დაეთანხმა	სამი ბრალდებული: ორი მკვლელის შემსრულებელი და ერთი დამკვეთი. სიმამრმა მოაკვლევინა შეკვეთით სიმე, რომელიც მის ქალიშვილს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფებს აყენებდა. მესამე ბრალდებულმა კი დროულად არ განაცხადა დანაშაულის შესახებ	გომამე – 2.5 წ აღკვეთა განესაზღვრა და განთავისუფლდა მთლიანად; ყუფარამე – 18წ აღკვეთა და განთავისუფლდა მთლიანად; ჩაჩუა – 5 წ გამოსაცდელი და 10 000 ლ	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებული უკვე იყო ამავე მუხლით გასამართლებული, 1.5 წელი პირობითი და 3 000 ლარი ჯარიმა ჰქონდა. ნასამართლობა არ იყო გაქარწყლებული და კვლავ ჩაიდინა დანაშაული	ჯამში 1 წელი აღკვეთა; 5 წელი გამოსაცდელი და 30 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებულმა სიგარეტი სთხოვა დაზარალებულს, უარის გამო კი მოხდა შელაპარაკება და მოჰყვა ჩხუბი	3 წელი აღკვეთა	ნაკლებად მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებული ჩხუბობდა ქუჩაში, პოლიციამ შეჩერება გადაწყვიტა, ბრალდებული შეეწინააღმდეგა და ერთ-ერთ პოლიციელს დაარტყა	1 წელი აღკვეთა, 3 წელი გამოსაცდელი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებული იყენებდა ყალბ მართვის მოწმობას	3 წელი გამოსაცდელი	ნაკლებად მძიმე
-	ბრალდებულმა საკეტის დაზიანებით სცადა ერთ-ერთ ბინაში შეღწევა, სადაც დააკავეს	6 წელი გამოსაცდელი	მძიმე
-	ბრალდებულმა სიმთვრალეში ნაიკის მაღაზიას ესროლა ქვა და დააზიანა მაღაზიის ფასადი	1 წელი აღკვეთა და 1 წელი გამოსაცდელი	ნაკლებად მძიმე
ბრალზე გარიგება	ბრალდებულმა გაქურდა ერთ-ერთი ბინის საშრობი	2 წელი აღკვეთა და 1 წელი გამოსაცდელი	მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებულმა მოიპარა სამშენებლო ბლოკები და გაყიდა	6 თვე აღკვეთა, 2 წელი გამოსაცდელი	ნაკლებად მძიმე



№	საქმის ნომერი	თარიღი	სასამართლო	ბრალდება
27	1/3641-08	01.08.2008	დალი მეტრეველი	ეკონომიკური (თაღლითობა - 180.3.ბ.გ) ფულად-საკრედიტო სისტემის (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება - 210.2.ა.ბ); მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება - 362.2.ბ)
28	1/4269-08	10.09.2008	მაკა გველესიანი	ეკონომიკური (დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა და გასაღება - 186.2.ა.გ.დ)
29	1/1324-09	20.03.2009	გიორგი გოგინაშვილი	ფულად-საკრედიტო სისტემის (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება - 210.2.ა.ბ)
30	1/1554-10	25.03.2010	ვ. ფუხაშვილი	სამოხელეო (ქრთამის მიცემა - 339.2)
31	1/3415	05.07.2007	ჯემალ კოპალიანი	სამეწარმეო (ფალსიფიკაცია - 197.1; 198.1)
32	1/3564-07	18.07.2007	მაია თეთრაული	სამეწარმეო (უკანონო ეკონომიკური საქმიანობა - 192.2.ა)
33	1/169-10	25.01.2010	დალი მეტრეველი	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით შეძენა-შენახვა - 260.2.ა)
34	1/1150-10 [0011003883]	18.03.2010	ლელა ნოზაძე	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით შეძენა-შენახვა - 260.2.ა)
35	1/3264-09	09.07.2009	მაკა გველესიანი	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით შეძენა-შენახვა - 260.2.ა)
36	1/46-10 [0074098043]	15.01.2010	ლელა ნოზაძე	ფულად-საკრედიტო სისტემის (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება - 210.1)
37	1/714-10	18.02.2010	ნატო ხუჯაძე	სამეწარმეო (უკანონო ეკონომიკური საქმიანობა - 192.1)
38	1/277-10 [009100011]	26.01.2010	მაია ჯვარშიშვილი	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით შეძენა-შენახვა მ.260.2.ა)
39	1/6138	11.12.2007	ჯემალ კოპალიანი	საზოგადოებრივი (ხულიგნობა მ.239.2.ა და ერთ-ერთს ხულიგნობა იარაღის გამოყენებით - მ.239.2.ა და 239.3)
40	1/3337-09 [008090541]	19.02.2010	მერაბ ჯორბენაძე	სატრანსპორტო (მოძრაობის წესების დარღვევა, რამაც 2 ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია - მ.276.7)



საპროექტო	შინაარსი	შედეგი	კაპიტორია
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებული მიწის მიღება-ჩაბარების აქტებს ამზადებდა და იყენებდა მათ დასარეგისტრირებლად, რითაც შეძლო დიდი ოდენობით თანხების მიღება სხვადასხვა პირისაგან	ჯამში – 4 წელი თავისუფლების აღკვეთა, 10 თვე და 18 დღე გამოსაცდელი ვადა და 25 000 ლარი	მძიმე
-	ბრალდებულმა ინტერპოლის ძიებაში მყოფი მანქანა იყიდა და შემდეგ გაყიდა	141 000 ლარი	ნაკლებად მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებულმა გააყალბა ანგარიშ-ფაქტურები, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	5 წელი გამოსაცდელი და 25 000 ლარი	მძიმე
-	ბრალდებულმა მისცა მოხელეს ქრთამი, რათა საქპატენტის შენობის რეკონსტრუქციის ტენდერში გამარჯვებისათვის ღირებულების 10% გადაეცა საქპატენტის თანამშრომლებისთვის	3 წელი გამოსაცდელი და 80 000 ლარი	მძიმე
-	ბრალდებულმა დაამზადა ფალსიფიცირებული ლიმონათები, მ.შ. ჯანმრთ.საშიში	ჯამში – 5 წელი გამოსაცდელი და 50 000ლ	ნაკლებად მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება და მ.55	ორმა ბრალდებულმა დაარსა მენეჯმენტის სკოლა რეგისტრაციის და ლიცენზიის გარეშე, რითაც მიიღეს დიდი ოდენობით შემოსავალი	1 – 1წ. გამოსაცდელი, 100 000ლ; 2 – 1წ. გამოსაცდელი და 100 000ლ; 3 - 1წ. გამოსაცდელი და 100 000ლ.	ნაკლებად მძიმე
ბრალზე გარიგება და მ.55	პირადი ჩხრეკისას აღმოუჩინეს ნარკოტიკული საშუალება	3 წელი გამოსაცდელი და 55 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება და მ.55	პირადი ჩხრეკისას აღმოუჩინეს ნარკოტიკული საშუალება	5 წელი გამოსაცდელი და 25 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე გარიგება და მ.55	პირადი ჩხრეკისას აღმოუჩინეს ნარკოტიკული საშუალება	5 წელი გამოსაცდელი და 30 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებულმა საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის გარეშე შეიძინა შავი ლითონი	ჯარიმა 200 000 ლარი (გაუნახევრდა ამნისტიით – 100 000 ლარი)	ნაკლებად მძიმე
ბრალზე და სასჯელზე გარიგება	ბრალდებულმა არ აიღო სათამაშო აპარატების მოწყობისათვის ნებართვა. თავად ითხოვა საპროცესო აპელაციაზე	2 წელი გამოსაცდელი და 25 000 ლარი	ნაკლებად მძიმე
ბრალზე გარიგება და მ.55	ბრალდებულს ტანსაცმელში და ავტომანქანაში ედო დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება. შედეგად ჩამოერთვა მანქანა, როგორც დანაშაულის იარაღი	4 წელი პირობითი და გამოსაცდელი და 30 000 ლარი	განსაკუთრებით მძიმე
-	ბრალდებულები დაცვის სამსახურისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გზით ცდილობდნენ რესტორანში შეღწევას და ერთ-ერთმა მათგანმა იარაღიდან გასროლით დაჭრა დაცვის თანამშრომელი	ერთი – 3 წელი პირობითი გამოსაცდელი და 20 000 ლარი; მეორე – 5 წელი პირობითი გამოსაცდელი და 80 000 ლარი	ნაკლებად მძიმე
მ.55	ბრალდებულმა მანქანის მართვისას დაარღვია შესაბამისი უსაფრთხოების წესები, რის გამოც მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა და შედეგად ადგილზე გარდაიცვალა 2 ადამიანი	6 წელი გამოსაცდელი; 12 000 ლარი; 6 თვით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება	მძიმე



№	საქმის ნომერი	თარიღი	სასამართლო	ბრალდება
41	1/1409-10	23.03.2010	ნ. სანდოძე	ეკონომიკური (ქურდობა მ.177.1)
42	1/2265-09	19.10.2010	ზვიად ესებუა	ნარკოტიკული და საზოგადოებრივი: 1) 260.2.დ; 260.3.ა – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის არაერთგზის შემენა–შენახვა; 2) 260.2.ა.ე და 273 – დიდი ოდენობით ნარკოტიკის არაერთგზის შემენა–შენახვა და ტრანზიტი; და ა.შ.
43	1/750-10	25.02.2010	ჯემალ კოპალიანი	ეკონომიკური (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გამოყენება არაერთგზის – მ.210.1 და 210.2.ბ)
44	1/4659-09	08.10.2009	გიორგი გოგინაშვილი	ეკონომიკური (ჯგუფური, არაერთგზისი თაღლითობა მ.180.2.ა და 180.3.გ)
45	1/1922-10	22.04.2010	მერაბ ჯორბენაძე	ეკონომიკური (სატრანსპორტო საშუალების ქურდობა ჯგუფურად, მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით, სადგომში უკანონო შეღწევით მ.177.2.ა.ბ; 177.3.ა.დ)



საპროექტო	შინაარსი	შედეგი	კატეგორია
-	ბრალდებულმა კოსმეტიკური ნივთების შექმნისას ფარულად მიითვისა რამდენიმე კოსმეტიკური ნაწარმი, შედეგად გამყიდველს მიაყენა მცირე ოდენობის ზიანი	1 წელი გამოსაცდელი და 2 000 ლარი	ნაკლებად მძიმე
მ.55	რამდენიმე პირს ბრალი ედება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნაში, შენახვასა და გასაღებაში, ზოგიერთი მათგანი ცდილობდა მის საქართველოში შემოტანას, ზოგიერთს ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღიც. რამდენიმე მათგანი უკვე იყო ნასამართლვე. პირველ ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო	5წ. აღკვეთა, 3წ. გამოსაცდელი და 30 000ლ. (მ.55+წინა დანაშაული); დანარჩენებს არ გაუფორმებიათ და მიესაჯათ შესაბამისი სასჯელები	განსაკუთრებით მძიმე
	ბრალდებულმა რამდენჯერმე ხარჯებში გაატარა ყალბი სასაქონლო ზედნაღებები	10 000 ლარი	მძიმე
-	ბრალდებულმა ახალი დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის დროს, რაც არ იყო თავიდანვე ცნობილი, შესაბამისად პროკურორმა მხარი არ დაუჭირა საპროცესოს პროცესზე, რადან ბრალის დამძიმების საფუძველი აღმოჩნდა	პროკურორმა უარი თქვა პროცესზე, შესაბამისად საქმე დაბრუნდა გამოძიებაში	მძიმე
	ბრალდებულმა სხვა პირებთან ერთად გაიტაცეს ავტომანქანა, შემდეგ ჩაძირვით გაანადგურეს. შემდეგ შეაღწიეს კომპიუტერული ტექნიკის მალაზიაში და გაიტაცეს რამდენიმე ნივთი. პროცესზე ადვოკატები, განსასჯელები და მათი კანონიერი წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ საპროცესო გარიგებას	რამდენადაც განსასჯელებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა უარი თქვეს, საქმე დაბრუნდა გამოძიებაში	მძიმე



საპროცესო შეთანხმებათა მონაცემთა ბაზა თბილისის სააკველაციო სასამართლო

№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
1	1/ზ-566-2006	18.04.2006	რუსუდან ჭანტურიძე; ნანა ჭიჭილეიშვილი; მზია ლომთათიძე	თბილისი	1	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შემენა-შენახვა – 260.2.ა,დ,ე)
2	1/ზ-1031-2006	03.07.2006	მზია ლომთათიძე	თბილისი	1	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შემენა-შენახვა – 260.1)
3	1/ზ-2877	20.12.2006	თამარ ალანია	თბილისი	2	ეკონომიკური (თალითობა ჯგუფურად, დიდი ოდენობით, თანამონაწილეობა – 24,180.2.ა,დ; 24,180.3.ბ) - ერთს; მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება- გამოყენება - 362.2.ბ) - მეორეს
4	1/ზ-305-10	18.03.2010	ომარ ჯორბენაძე	თბილისი	2	ეკონომიკური (ქურდობის მცდელობა – 19,177.3.ა); მმართველობის წესის წინააღმდეგ (პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცება 363.2)
5	1/ზ-243-10	22.02.2010	თამარ ალანია; მანანა ოთარაშვილი; მაია ივანიძე	თბილისი	2	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შემენა-შენახვა – 260.2.ა,დ,ე); საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შემენა- შენახვა – 236.1;
6	1/ზ-221-10	16.02.2010	მანანა ოთარაშვილი; მაია ივანიძე; თამარ ალანია.	თბილისი	1	ეკონომიკური (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – 177.2.ა)
7	1/ზ-182141-08	15.01.2009	ნაირა გიგიტაშვილი	თბილისი	1	ეკონომიკური (მარცვა ძალადობით – 178.3.დ)
8	1/ზ-549-09	23.04.2009	ნაირა გიგიტაშვილი; მანანა ჩიხელი; ზესარიონ ალავიძე	თბილისი	1	ეკონომიკური (ყაჩაღობა – 179.2.გ; 179.3.გ); ადამიანის უფლებების წინააღმდეგ (თავისუფლების აღკვეთა – 143.2.გ; 143.3.ა,გ,ე)
9	1/ზ-548-08	06.06.2008	მაია ივანიძე; ნაირა გიგიტაშვილი; მაია თეთრაული	თბილისი	2	ეკონომიკური (ყაჩაღობა ჯგუფურად – 179.2)
10	1/ზ-2879	05.02.2008	მანანა ოთარაშვილი; ნანა ჭიჭილეიშვილი; ირაკლი ქორჟოლიანი	თბილისი	1	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შემენა-შენახვა – 260.1)
11	1/ზ-1683-08	30.10.2008	მაია ივანიძე; ნაირა გიგიტაშვილი; ლელა მეტრეველი	თბილისი	1	სიცოცხლის წინააღმდეგ (განზრახ მკვლელობის მცდელობა – 19,108)
12	1/ზ-2883	18.12.2007	ნაირა გიგიტაშვილი	ახალქალაქი	4	ეკონომიკური (მითვისება და გაფლანგვა ჯგუფურად – 182.3.ა); სამეწარმეო (სამსახურის ბოროტად გამოყენება – 220); მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება - 362.1)



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	აღიარებით; უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელით	ბრალდებულს პირობითი მსჯავრის დროს აღმოუჩინეს ნარკოტიკი. აღიარა და მომზადდა საპროცესო, მაგრამ საქალაქომ არ დააკმაყოფილა, რადგან არ იყო წინა დანაშაულისთვის დარჩენილი სასჯელი დამატებული	არ დაკმაყოფილდა საჩივარი - სასჯელი შერჩეული იყო სსკ 64.4-ის გაუთვალისწინებლად, არ იყო წინა დანაშაულის სასჯელი დამატებული
	დაცვამ მოითხოვა საპროცესო აპელაციაზე	ბრალდებულმა შეიძინა ნარკოტიკი, ინახავდა და სცადა მისი მიყიდვა ციხის პატიმარზე	დაკმაყოფილდა ორივე მხარის შუამდგომლობა საპროცესოზე
	გარიგება ბრალზე; დაცვა აცხადებს რომ შეთანხმება დაიდო მუქარით და დაშინებით	ერთმა დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი; მეორემ ჩაიდინა თაღლითობა. ისინი არ აღიარებდნენ დანაშაულს. ბრალდებამ არ უარყო ეს ფაქტები და დაეთანხმა საჩივარს.	საჩივარი დაკმაყოფილდა, შეთანხმება გაუქმდა.
	საპროცესო მეორე ბრალდებულს ჰქონდა დადებული. მეორე ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას	ბრალდებულებმა ჩაიდინეს ქურდობის მცდელობა ავტობუსში და პირადობის მოწმობის გატაცება.	საჩივარი დაკმაყოფილდა, მოეხსნათ პირადობის მოწმობის გატაცების ეპიზოდი
	საპროცესო მეორე ბრალდებულს ჰქონდა დადებული. მეორე ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას	ნარკოტიკის შექმნა, გასაღება, ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა, შენახვა, ტარება. აპელაცია შემსუბუქებაზე ერთ-ერთი ბრალდებულის	არ დაკმაყოფილდა
	საპროცესო მინიმუმზე ნაკლებით. დაცვა ითხოვს შემსუბუქებას.	ბრალდებულმა ჩაიდინა სარეცხი მანქანის ქურდობა. აპელაციაზე ბრალდებული აცხადებდა, რომ სასჯელი დაენიშნა მოტყუებით, კერძოდ ჰპირდებოდნენ ნაკლებს	არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულს გააჩნდა სათანადო დაცვა
	საპროცესო მინიმუმზე ნაკლებით. დაცვა ითხოვს შეთანხმებაში ცვლილებას	ბრალდებულმა ტელეფონი წაართვა დაზარალებულს. აპელაციაზე აცხადებდა, რომ სხდომის ოქმში არასწორად დაფიქსირდა საკითხები და გასწორებას ითხოვს საპროცესო შეთანხმებაში გირაოსთან დაკავშირებით	არ დაკმაყოფილდა, რადგან ბრალდებულმა დაარღვია გირაოს პირობა
	საპროცესო. მინიმუმზე ნაკლებით. ბრალდებული აცხადებს, რომ დაიდო მუქარით და მოტყუებით	ბრალდებულებმა ჩაიდინეს ფერადი ლითონების მიმღები პუნქტის თანამშრომლებზე თავდასხმა, გატაცება, ყაჩაღობა. ბრალდებული აცხადებდა, რომ ემუქრებოდნენ ადვოკატი და პროკურორი	არ დაკმაყოფილდა საჩივარი. არ დადასტურდა ფაქტობრივი გარემოებებით. ადვოკატი მისივე შერჩეული იყო.
	საპროცესო დამტკიცებულია ერთ-ერთთან	ბრალდებულებმა ჩაიდინეს ჯგუფური ყაჩაღობა. აპელანტი აცხადებდა, რომ აღიარა მხოლოდ იმიტომ, რომ საპროცესო დაედო.	არ დაკმაყოფილდა საჩივარი. მტკიცებულებები სწორად იყო შეფასებული
	საპროცესო დამტკიცებულია ერთ-ერთთან	ბრალდებულმა ჩაიდინა ნარკოტიკის შექმნა და შენახვა. ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას.	არ დაკმაყოფილდა. საპროცესო არ შეცვლილა
	საპროცესო დამტკიცებულია. ასაჩივრებს, რომ დაიდო მუქარით და ძალადობით	ბრალდებულმა სხვა პირთან ინტერნეტ-კაფეში იხზუბა. ბრალდებული აცხადებს, რომ იძულებით, მუქარით და დაშინებით დაიდო. კამათისას დააყენა არგუმენტი, რომ დაცვის უფლებს არ განხორციელებდა სათანადოდ	დაკმაყოფილდა. არა მოტყუების გამო, არამედ, დაცვის უფლების გამო, რადგან სავალდებულო დაცვაა საჭირო და ამ შემთხვევაში არ განხორციელებდა.
	ორ ბრალდებულს აქვს საპროცესო, დანარჩენმა ორმა გაასაჩივრა	ბრალდებულებმა მიითვისეს კოპერატივის თანხები. სააპელაციოში გასაჩივრებით ორი ბრალდებული, რომელთაც არ ჰქონიათ საპროცესო შეთანხმება ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას. საპროცესო ამ ორთან არც აპელაციის ეტაპზე დადებულია.	სასჯელის შემსუბუქება არ მოხდა, თუმცა ამნისტიით განახევრდა სასჯელები.



№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
13	1/ზ-2644-2007	13.12.2007	მზია ლომთათიძე	თბილისი	3	მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება - 362.1)
14	1/ზ-1313-2009წ.	06.01.2009	მზია ლომთათიძე; გიორგი ჩემია; მარინა ხოლოაშვილი	თბილისი	1	ეკონომიკური (ყაზლობა – 179.2.ბ.გ); ადამიანის უფლებების წინააღმდეგ (თავისუფლების აღკვეთა – 143.2.გ; 143.3ა.ე); მმართველობის წესის წინააღმდეგ (პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცება 363.2)
15	1/ზ-1430-09	12.01.2010	მანანა ოთარაშვილი; თამარ ალანია; მაია ივანიძე	თბილისი	5	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმენა–შენახვა – 260.2.ა); სამოხელეო (განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის აღება ჯგუფის მიერ – 338.3.ე)
16	1/ზ-1724-09	12.01.2010	დემეტრი მჭედლიშვილი; მაია თეთრული; ომარ ჯორბენაძე.	თბილისი	2	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შექმენა–შენახვა ჯგუფის მიერ - 260.2.ბ)
17	1/ზ-1582-09	13.01.2010	მაია თეთრული; ომარ ჯორბენაძე; დემეტრი მჭედლიშვილი.	თბილისი	1	ეკონომიკური (ქურდობა ასეთი დანაშაულისათვის სასამართლო პირის მიერ 177.4.გ; წივთის დაზიანება–განადგურება – 187.2; აფეთქება ჯგუფის მიერ 229.2.გ)
18	1/ზ-1763-09	13.01.2010	მაია თეთრული; ომარ ჯორბენაძე; დემეტრი მჭედლიშვილი	თბილისი	1	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმენა–შენახვა - 260.2.ა)
19	1/ზ-1691-09	18.01.2010	მანანა ოთარაშვილი; მაია ივანიძე; თამარ ალანია.	ახალციხე	2	ეკონომიკური (დიდი ოდენობით მითვისება – 182.3.ბ); ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება ჯგუფურად და არაერთგზის – 210.2.ა,ბ); სამოხელეო (თანამონაწილეობა არაერთგზის თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში – 25,332.3.ა)
20	1/ზ-1836-09	18.01.2010	დემეტრი მჭედლიშვილი; მაია თეთრული; ომარ ჯორბენაძე.	თბილისი	1	ეკონომიკური (თაღლითობა არაერთგზის – 180.2.ბ 31.05.2006წ.–მდე მოქმედი რედაქციით)



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	საპროცესო დამტკიცდა ორთან. მესამემ გაასაჩივრა	ბრალდებულებმა – სტუ-ს პროფესორებმა დაამზადეს ყალბი დიპლომები. მესამე ბრალდებული, რომელსაც არ აქვს საპროცესო ითხოვს განახევრებას. საპროცესო არ გაფორმებულა არც აპელაციაზე	დაკმაყოფილდა; შეუმცირა და ამნისტიით სამივეს გაუნახევრა
	საპროცესოზე მხარეები შეთანხმდნენ აპელაციის ეტაპზე. საპროცესო დაიდო ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებით, მ.55–ით – უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელით.	ბრალდებულმა სხვა პირთან ერთად მოკვლის მუქარით ორ სხვადასხვა ტაქსის მძღოლს წაართვა მანქანა, ძვირფასი ნივთები, ფული და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან ორივე მიაბეს ხეზე და მიატოვეს. საერთო ჯამში ყველა დანაშაულისათვის ბრალდებულს დაენიშნა 28 წელი თავისუფლების აღკვეთა და 1 000 ლარი ჯარიმა.	დამტკიცდა საპროცესო, შედეგად ბრალდებულს მოეხსნა ერთ–ერთი ყაჩაღობის ეპიზოდი და დარჩა მეორე. შეთანხმებით, მეორე ეპიზოდისათვის დაენიშნა სასჯელი 3 წლით თავისუფლების აღკვეთით და 500 ლარი ჯარიმა, ასევე 5 000 ლარი დაზარალებულის სასარგებლოდ.
	4 ბრალდებულის მიმართ დადებულია საპროცესო, მაგრამ არ გასაჩივრებულა. აპელაციის ეტაპზე პროკურორმა შესთავაზა ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების დადება და მხარეები შეთანხმდნენ ბრალზე და სასჯელზე. მ.55.	ბრალდებული იყო შემოსავლების სამსახურის ერთ–ერთი გამომძიებელ–ინსპექტორი. იგი დანაშაულებრივად იღებდა ქრთამს ერთ–ერთი შპს–საგან, რათა უზრუნველყო, რომ ამ შპს–ს მიერ საქართველოში შემოტანილი საქონელი საბაჟო სამსახურებს არ დაეთვლიერებინათ სათანადოდ. მანვე დაუდგინელ ვითარებაში შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ჰეროინი (0.0724გ), რომელიც ნაწილ–ნაწილ აღმოაჩნდა პირადი და ბინის ჩხრევისას. ჯამში – 18 წ. თავისუფლების აღკვეთა	დამტკიცდა საპროცესო, მინიმუმზე ნაკლები სასჯელის შეკრებით, ჯამში დაენიშნა 5 წელი თავისუფლების აღკვეთა, 2 წელი პირობით გამოსაცდელი ვადით და დამატებით 20 000 ლარი.
	ერთის მიმართ იყო საპროცესო, მაგრამ ის არ ასაჩივრებს. პროკურორმა აპელაციაზე შესთავაზა საპროცესო, რომელზეც დათანხმდა მხარე. მ.55.	ბრალდებულს პირადი ჩხრევისას აღმოაჩნდათ მცირე ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება. ერთ–ერთთან გაფორმდა საპროცესო, მეორეს კი დაენიშნა 7 წ. თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. დაინიშნა მინიმუმზე ნაკლები სასჯელი – 4წ. გამოსაცდელი ვადა და 15 000 ლარი.
	ბრალდებული ითხოვდა შემსუბუქებას და პროკურორის შეთავაზებით დაიდო საპროცესო. მ.55.	ბრალდებულმა 2 სხვა პირთან ერთად გაქურდა საწყობი. ამ დროს არ ჰქონდა ნასამართლობა გაქარწყლებული. შემდეგ პარლამენტის საშვთა ბიუროს ესროლა თავის მიერ დამზადებული ასაფეთქებელი საშუალებები. ამისათვის ჯამში მისჯილი ჰქონდა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. დაინიშნა მინიმუმზე ნაკლები სასჯელი – ჯამში 10 წლით თავისუფლებ ის აღკვეთა.
	ბრალდებულმა გაასაჩივრა განაჩენი და აპელაციის ეტაპზე დაიდო საპროცესო შეთანხმება. მ.55.	ბრალდებულს პირადი ჩხრევისას აღმოაჩნდა დიდი ოდენობით ჰეროინი და ბუკრენორფინის შემცველი აბის ნატეხი. ამისათვის მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. დაინიშნა მინიმუმზე ნაკლები სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 000 ლარი.
	ერთ–ერთი ბრალდებულის მიმართ იყო საპროცესო, მაგრამ ის არ ასაჩივრებდა. ბრალდებული ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, მაგრამ პროკურორმა აპელაციაზე შესთავაზა საპროცესო, რომელზეც დათანხმდა მხარე. მ.55.	ბრალდებული, რომელიც ასაჩივრებს განაჩენს, მანამდე ნასამართლევი იყო სამეწარმეო და ეკონომიკური დანაშაულისათვის, რისთვისაც მოიხდა 7 წელი მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი მუშაობდა შსს სამხარეო სამმართველოში, სადაც უფროსის მიერ გადაცემული ფაქსიმილია გამოიყენა სახელმწიფო თანხების მისათვისებლად სხვა პირებთან ერთად. მათ დაამზადეს ყალბი საგადასახადო დოკუმენტები (ზედნადებები, ინვოისები, გასავლის ორდერები), რითაც მიითვისეს ტენდერში მიღებული თანხები. ჯამში აღნიშნული დანაშაულებისათვის ბრალდებულს მიესაჯა 21 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და 11 000 ლარი დამატებითი სასჯელი.	დამტკიცდა საპროცესო. დაინიშნა მინიმუმზე ნაკლები სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 000 ლარი ჯარიმა.
	ბრალდებულმა გაასაჩივრა განაჩენი და აპელაციის ეტაპზე დაიდო საპროცესო შეთანხმება.	ბრალდებულმა ვალუტის გადაცვლისას ორჯერ მიითვისა თანხა, რომელიც თაღლითურად გადახურდავებისას დააკლო დაზარალებულს. ამისათვის მიესაჯა 3წ. თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 1 წლით და 6 თვით გამოსაცდელი ვადა და ჯარიმა 2 000 ლარი.



№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
21	1/ზ-15-10	18.01.2010	მანანა ოთარაშვილი; მაია ივანიძე; თამარ ალანია.	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება – 273)
22	1/ზ-1324-09	20.01.2010	მაია ივანიძე; მანანა ოთარაშვილი; თამარ ალანია.	გურჯაანი	1	სატრანსპორტო (ავტომობილის მოზარობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მთვრალ მდგომარეობაში – 276.6)
23	1/ზ-1355-2009წ.	27.01.2010	მზია ლომთათიძე; გიორგი ჩემია; მარინა ხოლოაშვილი.	თბილისი	1	მმართველობის წესის წინააღმდეგ (სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა – 344.1)
24	1/ზ-1849-09	27.01.2010	მაია თეთრაული; ომარ ჯორბენაძე; დიმიტრი მჭედლიშვილი.	საგარეჯო	1	ეკონომიკური (თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – 180.2.გ. მგ. რედაქციით)
25	1/ზ-316	29.01.2010	მარინა ხოლოაშვილი; მზია ლომთათიძე; გიორგი ჩემია.	დედოფლისწყარო	1	სიცოცხლის წინააღმდეგ (განზრახ მკვლელობის მცდელობა – 19,108)
26	1/ზ-128-10	03.02.2010	მაია ივანიძე; მანანა ოთარაშვილი; თამარ ალანია.	რუსთავი	1	მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება - 362.1)
27	1/ზ-74-10	03.02.2010	მაია ივანიძე; მანანა ოთარაშვილი; თამარ ალანია.	თბილისი	1	ეკონომიკური (თაღლითობის მცდელობა ჯგუფურად და დიდი ოდენობით – 19,180.2.ა;3.ბ)
28	1/ზ-09-10	04.02.2010	ომარ ჯორბენაძე; მაია თეთრაული; დიმიტრი მჭედლიშვილი	მარნეული	1	ადამიანის უფლებების წინააღმდეგ (თავისუფლების აღკვეთა ჯგუფის მიერ – 143.3.ა)
29	1/ზ-1413-09	11.02.2010	თამარ ალანია; მანანა ოთარაშვილი; მაია ივანიძე	თბილისი	1	ნარკოტიკული (განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკის შექმნა-შენახვა – 260.3.ა; ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება – 273 (ორი ეპიზოდი))



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	<p>ბრალდებული ითხოვდა, რომ ახალი დანაშაულისათვის სასჯელი არ დაკისრებოდა და მხოლოდ ჯარიმა გადახდებოდა. მხარეები შეთანხმდნენ საპროცესოზე</p>	<p>ბრალდებულს ჰქონდა ადმინისტრაციული ჯარიმა. იგი დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და ჩაუტარეს ექსპერტიზა. რითაც დადგინდა, რომ კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, ამ დანაშაულის სასჯელი ამნისტით გაუნახვერდა და დაემატა პირობითი, სულ 5წ. და 6თვე.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. საბოლოოდ 2წ. მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, 3წ. და 6 თვე გამოსაცდელი ვადა და 15 000 ლარი ჯარიმა.</p>
	<p>ბრალდებული თავდაპირველად ითხოვდა გამართლებას, შემდეგ დაიდო საპროცესო შეთანხმება.</p>	<p>ბრალდებული ავტომატურად მართავდა ნასვამი, დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები და მოახდინა ავტოავარია. შედეგად გარდაიცვალა მასთან ერთად მყოფი მგზავრი. დანაშაულისათვის მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და მართვის უფლების ჩამორთმევა და 10 000 ლარი ჯარიმა.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 1 წ. და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 5 წელი გამოსაცდელი, 3 წლით უფლების ჩამორთმევა და 10 000 ლარი ჯარიმა.</p>
	<p>ბრალდებული ითხოვდა 6 ეპიზოდში განაჩენის გაუქმებას. აპელაციაზე გაფორმდა საპროცესო.</p>	<p>ბრალდებულმა სხვა პირის პასპორტით შვიდეჯერ უკანონოდ გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი. ჯაშში შვიდეჯერ ეპიზოდისთვის მიესაჯა 11 წელი თავისუფლების აღკვეთა და 10 000ლ.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. შვიდეჯერ ეპიზოდით დარჩა და სამში მიესაჯა 6წ. თავისუფლების აღკვეთა, 3წ. გამოსაცდელი და 8 000 ლ.</p>
	<p>ბრალდებულმა გაასაჩივრა განაჩენი და აპელაციის ეტაპზე დაიდო საპროცესო შეთანხმება.</p>	<p>ბრალდებული იყო საგარეჯოს რიგითი პოლიციელი. მან ისარგებლა 2 დაზარალებულის ნდობით და ორჯერ გამოართვა მათ თანხა საქონლის მისატანად, რომელიც რეალურად არ მიუტანია. მიესაჯა 3წ. თავისუფლების აღკვეთა.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 2 თვე თავისუფლების აღკვეთა, 3წ. გამოსაცდელი ვადა და 3 000ლარი ჯარიმა.</p>
	<p>ბრალდებულმა გაასაჩივრა და მოითხოვა გადაკვალიფიცირება სხეულის მძიმე დაზიანებაზე. შემდეგ დაიდო საპროცესო შეთანხმება ისევე 19,108 მუხლებზე.</p>	<p>ბრალდებულს გადაცემული ჰქონდა სხვა პირისთვის თანხა სესხად, რომლის დაბრუნებაზეც უარი მიიღო. შემდეგ, სიმთვრალეში გადაწყვიტა მისი შეშინება და სანადირო თოფით გაემართა მისი სახლისკენ. გზად ხელი შეუშალა თანასოფელელმა, რომელსაც დანით სხვადასხვა ადგილზე მიაყენა ჭრილობა. მიესაჯა 14წ. თავისუფლების აღკვეთა.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 7წ. თავისუფლების აღკვეთა და 5 000 ლარი ჯარიმა.</p>
	<p>ბრალდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. შემდეგ სურვილი გამოთქვა საპროცესოზე.</p>	<p>ბრალდებულმა შეიძინა ყალბი მართვის მოწმობა და სცადა მისი ახალზე გადაცვლა შ.ს. მომსახურების სააგენტოში. სასჯელად მიესაჯა 2წ. თავისუფლების აღკვეთა.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 2 წელი გამოსაცდელი ვადა და 5 000 ლარი ჯარიმა.</p>
	<p>ბრალდებულმა მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება – მინიმალური ოდენობის ჯარიმით, შემდეგ გაფორმდა საპროცესო.</p>	<p>ბრალდებულმა, სხვა პირებთან შეთანხმებით დაამზადებინა ყალბი პირადობის მოწმობა, რომლითაც აიღო ბინაზე რეესტრის ამონაწერი და დააპირა იპოთეკის გაფორმება. ნოტარიუსმა ეჭვი შეიტანა პირადობის ნამდვილობაში და გამოიძახა პოლიცია. ამისათვის ბრალდებულს მიესაჯა 6წ. და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 3 500 ლ.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 1წ. თავისუფლების აღკვეთა, 5წ. გამოსაცდელი ვადა და 5 000 ლარი ჯარიმა.</p>
	<p>აპელაციის ეტაპზე გაფორმდა საპროცესო. მ.55.</p>	<p>ბრალდებულმა სხვებთან ერთად თავისუფლება აღუკვეთა და გაიტაცა დაზარალებული ქალი. მას ბრალი ედებოდა თავისუფლების აღკვეთასა და გაუპატიურებაში, თუმცა ერთხელ გაასაჩივრა განაჩენი და მოეხსნა გაუპატიურების ბრალდება. გადაცემისათვის მისჯილი ჰქონდა 7წ. აღკვეთა</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა მინიმუმზე ნაკლები სასჯელი. საბოლოოდ 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 4წ. და 6 თვე გამოსაცდელი ვადა და 20 000 ლარი ჯარიმა.</p>
	<p>ბრალდებულმა გაასაჩივრა და მოითხოვა 260–ე მუხლის ნაწილში გამართლება. პროკურორის შეთავაზების შედეგად გაფორმდა საპროცესო. მ.55.</p>	<p>ბრალდებულს ადრე ჰქონდა შეფარდებული ადმინისტრაციული ჯარიმა ნარკოტიკის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა მიიყვანეს შესამოწმებლად და აღმოჩნდა, რომ კვლავ იყო ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ. რამდენიმე ხნის შემდეგ, პირადი ჩხრეკისას კი აღმოაჩნდა 33,23გ და ისევ იყო ზემოქმედების ქვეშ. ოპიუმში. სასჯელად მიესაჯა 13წ. თავისუფლების აღკვეთა და 2 000ლ.</p>	<p>დამტკიცდა საპროცესო. ჯაშში სასჯელად დაინიშნა 6წ. თავისუფლების აღკვეთა და 100 000ლ. 260–ე მუხლის ნაწილში არ გამართლდა (მარტო ამ მუხლისთვის 5წ. 9თვე და 98 000ლ).</p>




№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
30	1/ზ-207-10	12.02.2010	თამარ ალანია	ბოლნისი	1	ეკონომიკური (ქურდობა დიდი ოდენობით და საცავში უკანონო შეღწევით – 177.2.ა (ძვ. რედაქციით) და 177.2.ბ)
31	1/ზ158 (წ/გN090090971)	16.02.2010	მანანა ოთარაშვილი; მაია ივანიძე; თამარ ალანია.	თბილისი	1	ნარკოტიკული (განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკის შექმნა-შენახვა – 260.3.ა)
32	1/ზ-245-10	17.02.2010	მაია ივანიძე; მანანა ოთარაშვილი; თამარ ალანია.	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება – 273)
33	1/ზ-1504-09	17.02.2010	მაია თეთრაული; ომარ ჯორბენაძე; დიმიტრი მჭედლიშვილი.	გარდაბანი	2	ეკონომიკური (ჯგუფის მიერ მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – 182.2.ა,გ – 9 ეპიზოდი).
34	1/ზ-1254	18.02.2010	მარინა ხოლოაშვილი; მზია ლომთათიძე; გორგი ჩემია.	თბილისი	1	ეკონომიკური (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – 177.2.ა; ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჯგუფის მიერ ბინაში უკანონო შეღწევით – 178.2.ა და 178.3.ა,გ; გამოძალვა – 181.1)
35	1/ზ-1710-09	22.02.2010	გიორგი ჩემია; მარინა ხოლოაშვილი; დიმიტრი მჭედლიშვილი.	ხაშური	1	მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია გამომძიებლის მიერ – 369'2)
36	1/ზ-1847	25.02.2010	მარინა ხოლოაშვილი; მზია ლომთათიძე; გორგი ჩემია.	გურჯაანი	1	ეკონომიკური (დიდი ოდენობით მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და – 182.2.გ; 182.3.ბ (ძვ. რედაქცია)).
37	1/ზ-200-10	10.03.2010	მაია ივანიძე, მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია.	თბილისი	3	ეკონომიკური (თაღლითობა ჯგუფურად - 180.2.ა,ბ)
38	1/ზ-326-10	10.03.2010	მაია ივანიძე	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273)



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	ბრალდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას, შემდეგ თავად მიმართა პროკურატურას საპროცესოს დასადებად.	ბრალდებულმა ღამით უკანონოდ შეაღწია მაღაზიაში და მოიპარა ფული და რამდენიმე გასაყიდი ნივთი. სულ მიესაჯა 3 წელი თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 2წ. და 6 თვე ჩაეთვალა 5 წლით გამოსაცდელ ვადად და 4 000 ლარი ჯარიმა.
	ბრალდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას, პროკურორის შეთავაზებით დაიღო საპროცესო	ოპერატიული ინფორმაციის შედეგად ბრალდებულს პირადად და ბინაში ჩაუტარდა ჩხრეკა და აღმოაჩნდა დაახლ. 5გ ჰეროინი. მიესაჯა 14 წ. თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 10წ. თავისუფლების აღკვეთა და 30 000 ლარი ჯარიმა.
	ბრალდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას, შემდეგ თავად მიმართა პროკურატურას საპროცესოს დასადებად.	ბრალდებულს 2003წ. ჯარიმა ჰქონდა დადებული ნარკოტიკის მოხმარებისათვის, იმავე წელს, კვლავ ჩაიდინა იგივე, რისთვისაც მიესაჯა 1წ. თავისუფლების აღკვეთა. ბრალდებულის დაკავება მოხერხდა მხოლოდ 2010 წელს.	დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 1წ. აღკვეთა, რაც ამნისტიით გაუნახევრდა, დარჩენილი 6 თვე ჩაეთვალა 1 წლით გამოსაცდელად და ჯარიმა 2 000
	ბრალდებული ითხოვდა გამართლებას. შემდეგ დაიღო საპროცესო შეთანხმება. მ.55.	ბრალდებული დაეხმარა რამდენიმე იურიდიულ პირს მუნიციპალიტეტთან დადებული შესყიდვების ხელშეკრულებების თანახმად შესასრულებელი სამუშაოების ნაცვლად ნაკლების შესრულების შედეგად დანარჩენი თანხების მითვისებაში. ჯამში 80წ. და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა და 34 000 ლ.	დამტკიცდა საპროცესო. საბოლოოდ მიესაჯა: 4წ. თავისუფლების აღკვეთა და 10 000 ლარი ჯარიმა (9-ვე ეპიზოდით დარჩა).
	ბრალდებული ითხოვდა გამართლებას. შემდეგ დაიღო საპროცესო შეთანხმება. მ.55.	ბრალდებულმა გამოსაცდელი ვადის პერიოდში მეზობლისგან მოიპარა მობილური ტელეფონი, შემდეგ მოსთხოვა ფულის გადახდა მობილურის დასაბრუნებლად. მეზობელმა ნაწილი თანხა გადასცა, რის შედეგადაც ბრალდებულმა დაუბრუნა აპარატი და დაემუქრა, თუ არ მისცემდა დანარჩენს, ტელეფონს წაართმევდა. მეზობელმა არ მისცა თანხა, რის შემდეგაც ბრალდებულმა სხვა პირთან ერთად იგი გამარცვა და წართვა აპარატი. მიესაჯა 18წ. 4 თვით და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა და 11 500ლ. ჯარიმა.	დამტკიცდა საპროცესო. საბოლოოდ მიესაჯა წინა დანაშაულით მოუხდელი ვადის – 3წ. 11 თვით და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა და ახალი დამატებით 4წ. და 23 დღე, საბოლოოდ 8 წ. თავისუფლების აღკვეთა.
	ბრალდებული ითხოვდა გამართლებას. შემდეგ დაიღო საპროცესო შეთანხმება. მ.55.	გამომძიებელმა შეცვალა ავტოსაგზაო შემთხვევის აღწერილი სქემა, რითაც გააყალბა მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე, საქმე თავად მიიღო წარმოებაში და დაარღვია სახელმწიფოს და ამ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რამდენიმე გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრების ინტერესები. მიესაჯა 2წ. თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 1წ. თავისუფლების აღკვეთა, 1 წელი გამოსაცდელი ვადა და 2 000 ლარი ჯარიმა.
	ბრალდებული ითხოვდა დევნის შეწყვეტას, აპელაციის ეტაპზე დაიღო საპროცესო შეთანხმება.	ბრალდებულს მიაბარეს საქონელი და გადასცეს თანხა მოსავლელად. გარკვეული პერიოდის მერე მან საქონელი გაყიდა და მიიძალა. 2008წ. მას მიესაჯა 5წ. და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. ბრალდებული დაიჭირეს 2010 წელს.	დამტკიცდა საპროცესო. სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენის 5 წლით გამოსაცდელ ვადად ჩათვალა.
	2 ჰქონდა დამტკიცებული საპროცესო, მესამე გაასაჩივრა და მასაც დაუმტკიცდა. მ.55	მესამე პირთან დაკავშირებით პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა საპროცესოს გაფორმებაზე. საქმე ეხება თალითურ ჯგუფს, რომლებმაც ნარკოტიკულ დანაშაულზე დაკავებული პირის ახლობლებს მოტყუებით გამოსძალეს ფული საპროცესოს გაფორმების მიზნით.	დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 8 თვე თავისუფლების აღკვეთა, 4 თვე პირობითი ჩაეთვალა 1 წლით გამოსაცდელი ვადად და 3 000 ლარი ჯარიმა.
	დაუმტკიცდა საპროცესო, ითანამშრომლა გამოძიებასთან,	ბრალდებული პოლიციამ დააკავა და ეჭვის საფუძველზე ჩაატარებინა გამოკვლევა, რითაც დადგინდა, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო. პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა ის მიიძალა. 2 წლის შემდეგ დააკავეს და სააპელაციო სასამართლოში პროკურორსა და მსჯავრდებულს შორის გაფორმდა სპროცესო.	დამტკიცდა საპროცესო. პირობები: 1 წელი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ამნისტიის შედეგად გაბათილდა, 2 000 ლარი ჯარიმა და 1 წელი გამოსაცდელი ვადა.




№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
39	1/ზ-110-10	10.03.2010	მაია ივანიძე, მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273 – 6 ეპიზოდი დაახლ. 1 წლის განმავლობაში)
40	1/ზ-262-10	10.03.2010	მაია თეთრაული, ომარ ჯორბენაძე, დიმიტრი მჭედლიშვილი	თბილისი	1	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმენა-შენახვა – 260.2.ა);
41	1/ზ-236-10	11.03.2010	მაია ივანიძე, მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია	თბილისი	1	ეკონომიკური (ქურდობა, რამაც მწმენელოვანი ზიანი გამოიწვია – 177.2, ყაჩაღობა საცავში უკანონო შეღწევით– 179.2)
42	1/ზ-324-10	15.03.2010	თამარ ალანია	თბილისი	1	საზოგადოებრივი (ხულიგნობა ჯგუფის მიერ 239.2.ა)
43	18/1749-09	15.03.2010	გიორგი ჩემია, მზია ლომთათიძე, მარინა ხოლოაშვილი	თბილისი	2	სქესობრივი (გაუპატიურება ჯგუფურად 137.3.გ)
44	1/ზ104-10	16.03.2010	მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია, მაია ივანიძე	თბილისი	1	საზოგადოებრივი (ხულიგნობა 239.2.ა); მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (ზემოქმედების განხორციელება მოწმეზე, დაზარალებულზე - 372); სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (გაქცევა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან - 379)
45	18/159-10	16.03.2010	გიორგი ჩემია	თბილისი	1	სატრანსპორტო (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხ. წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება – 276.1)
46	1/ზ-266-10	16.03.2010	მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია, მაია ივანიძე	თბილისი	5	სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია - 378)
47	18-1770-09	16.03.2010	დიმიტრი მჭედლიშვილი, მაია თეთრაული, ომარ ჯორბენაძე	თბილისი	1	ჯანმრთელობის წინააღმდეგ (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება - 118.1); ეკონომიკური (მარცვა ძალადობით – 178.3.დ)
48	1/ზ-237-10	17.03.2010	მაია ლომთათიძე, მარინა ხოლოაშვილი, გიორგი ჩემია	თბილისი	1	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმენა-შენახვა - 260.2.ა)



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	დაუმტკიცდა საპროცესო, ითანამშრომლა გამოძიებასთან.	ბრალდებული რამდენჯერმე გადაიყვანა საპატრულო პოლიციამ ექსპერტიზაზე და დადგინდა, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო. პირველ ინსტანციაში მიესაჯა ჯაშში 5 წლით, 8 თვით და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო. პირობებით: 2 წელი თავისუფლების აღკვეთა, 3წ. 8 თვე და 17 დღე პირობითი ჩათვალა 4წ. გამოსაცდელად, ჯარიმა 3000ლ.
	ითხოვდა შემსუბუქებას, შემდეგ გაფორმდა საპროცესო	ბრალდებულმა შეიძინა დიდი ოდენობით ჰეროინი, ამის შემდეგ მისი ავტომანქანა გააჩერა პოლიციამ და ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც აღმოაჩნდა ნარკოტიკი. მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.	გაფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 4 წელი გამოსაცდელი ვადა, 5 000 ლარი ჯარიმა.
	დაუმტკიცდა საპროცესო, აღიარა დანაშაული.	2005 წლიდან იხდიდა 5 წლიან პირობით სასჯელს სსკ-ის 179 მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის.2009 წელს დააკავეს 177 მუხლის ბრალდებით. პირველ ინსტანციაში შეეკრიბა ძველი პირობითი და ახალი სასჯელი, სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წელი 5 თვე და 22 დღე თავისუფლების აღკვეთა.	დამტკიცდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 5 წელი 11 თვე და 22 დღე თავისუფლების აღკვეთა, 4 წელი გამოსაცდელი ვადა და 5 000 ლარი ჯარიმა.
	ერთს გაუფორმდა საპროცესო, რხოლო მეორეს არ დაეკისრა სასჯელი გარდაცვალების გამო	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და ჯარიმა 2500 ლარი. გადაწყ. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება შემდეგ პირობებით: 1 წელი გამოსაცდელი ვადა და 2 000 ლარი ჯარიმა.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარეს დანაშაული	პირველმა ინსტანციამ ორივეს მიუსაჯა 9 წელი და 6 თვე.	მეორე ინსტანციაში გაუფორმდათ საპროცესო შემდეგ პირობებზე: თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით, ჯარიმა 10000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარეს დანაშაული	2006 წლიდან იხდიდა 4 წლიან პირობით მსჯავრს სხვა დანაშაულისათვის. 2009 წელს ჩადინა ახალი დანაშაულები რის გამოც შეეკრიბა ძველი პირობითი და ახალი სასჯელი, საბოლოოდ მიესაჯა 11 წელი. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაფორმდა საპროცესო შემდეგ პირობებზე: თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, 10 წელი გამოსაცდელი ვადა და 100 000 (ასი ათასი ლარი) ჯარიმა.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარეს დანაშაული	2007 წლიდან იხდიდა 4 წლიან 11 თვიან პირობით მსჯავრს. ახალი დანაშაული ჩადენის შემდეგ პირველმა ინსტანციამ შეეკრიბა სასჯელი და ახალ განაჩემთან ერთად მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით, ჯარიმა 5000 ლარი. გაასაჩივრა აპელაციაში.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგ პირობებზე: თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, 3 წელი და 3 თვე გამოსაცდელი ვადით, ჯარიმა 10 000 ლარი.
	გაუფორმდათ საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარებენს დანაშაულს	მსჯავრდებულები იხდიდნენ სასჯელს და მათ ჩადინეს დანაშაული ციხის ტერიტორიაზე. პირველმა ინსტანციამ 5 დან მხოლოდ ერთს გაუფორმდა საპროცესო. დარჩენილი 4 დან სამმა გაასაჩივრა და სამივეს დაუმტკიცდა საპროცესო ჯარიმის გადახდის გარეშე. (მსჯავრდებულები არიან მე-7 საპრობილედან, ე.წ ქურდების ციხე)	დამტკიცდა საპროცესო. მიესაჯა 3 წლით, 3 თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა და 3 წელი გამოსაცდელი ვადა.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარეს დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	დაუმტკიც და საპროცესო შემდეგი პირობებით: თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, ჯარიმა 6000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარეს დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგ პირობებზე: 3 წელი თავისუფლების აღკვეთა, 1 წელი გამოსაცდელი და ჯარიმა 15000 ლარი.



№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
49	1/ზ-280-10	17.03.2010	მაია თეთრაული, ომარ ჯორბენაძე, დიმიტრი მჭედლიშვილი	თბილისი	2	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმნა-შენახვა - 260.2.ა; ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273)
50	1/ზ-344-10	17.03.2010	მაია ივანიძე, მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია	თბილისი	1	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმნა-შენახვა - 260.2.ა; ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273)
51	1/ზ-129-10	17.03.2010	შზია ლომთათიძე, მარინა ხოლოაშვილი, გიორგი ჩემია	თბილისი	1	ნარკოტიკული (დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმნა-შენახვა - 260.2.ა; ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273)
52	1/ზ-1387	18.03.2010	მარინა ხოლოაშვილი, შზია ლომთათიძე, გიორგი ჩემია	თბილისი	1	ეკონომიკური (თაღლითობა ჯგუფურად, დიდი ოდენობით - 180.2.ბ, 180.3.ბ, 180.4.ა მუხლი (რამდენიმე ეპიზოდი); მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება - 362.2)
53	1/ზ-359-10	18.03.2010	ომარ ჯორბენაძე	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273)
54	1/ზ-321-10	22.03.2010	გიორგი ჩემია, შზია ლომთათიძე, მარინა ხოლოაშვილი	თბილისი	1	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შექმნა-შენახვა - 260.1)
55	1/ზ-156-2010წ	26.03.2010	შზია ლომთათიძე	თბილისი	3	ეკონომიკური (თაღლითობა ჯგუფურად - 180.2.ბ, 180.3.ბ, მუხლი; მმართველობის წესის წინააღმდეგ (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება - 362.1)
56	1/ზ-375-10	26.03.2010	მანანა ოთარაშვილი	თბილისი	1	ეკონომიკური (თაღლითობა ჯგუფურად - 180.2.ბ, 180.3.ბ, მუხლი)
57	1/ზ-487-10	29.03.2010	მანანა ოთარაშვილი	თბილისი	1	საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა - 236.1; 236.2)
58	1/ზ-1674-09	29.03.2010	მიხეილ ბებიაშვილი, დავით ერვანია, დიმიტრი მჭედლიშვილი	თბილისი	1	ეკონომიკური (თაღლითობა ჯგუფურად - 180.2.ბ - 3 ეპიზოდი)
59	1/ზ-486-10	29.03.2010	დიმიტრი მჭედლიშვილი, მაია თეთრაული, ომარ ჯორბენაძე	თბილისი	1	საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა - 236.1; 236.2)
60	1/ზ-496-10	31.03.2010	მაია თეთრაული.	თბილისი	1	სამოხელეო (სამსახურებრივი სიყალბე - 341)



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	გაუფორმდათ საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარებენ დანაშაულს	პირველ ინსტანციაში კ.წ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით და ჯარიმა 273 სთვის 1000 ლარი, ხოლო ე.ბ–ს მიესაჯა 15 წელი. გაასაჩივრეს მეორე ინსტანციაში.	გაუფორმდათ საპროცესო შემდეგი პირობებით: 1. კ.წ–ს 5 წელი თავისუფლების აღკვეთა, 3 წელი გამოსაცდელი, 19 000 + 1 000 (მველი) ჯარიმა. 2. ე.ბ–ს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 3 წელი გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა 80 000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველ ინსტანციაში მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 3 თვით. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 წელი თავისუფლების აღკვეთა, 4 წელი გამოსაცდელი, ჯარიმა 7000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული (მეორე ინსტანციაში ითოვდა სასჯელის შემსუბუქებას)	პირველ ინსტანციაში მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 3 თვით. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 2 წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 5 წელი გამოსაცდელი და ჯარიმა 5000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 26 წლის ვადით, გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში. მსჯავრდებულს დაევალა მისი თაღლითური ქმედების შედეგად 2 მოქალაქესათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება საერთო ჯამში 10 450 ევროს ოდენობით.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 3 წელი გამოსაცდელი.
	გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ ორივე ეპიზოდისათვის მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში	გაუფორმდა საპროცესო შემდეგ პირობებზე, 2 წელი გამოსაცდელი ვადა და ჯარიმა 3000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ამნისტიის შედეგად გაუნახევრდა. პროკურორმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და მოითხოვა სასჯელის გამკაცრება.	საპროცესო გაფორმდა შემდეგი პირობებით: 1 წელი თავისუფლების აღკვეთა, 5 წელი გამოსაცდელი ვადა, 5000 ლარი ჯარიმა.
	2 მსჯავრდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება პირველ ინსტანციაში, ხოლო მესამემ გაასაჩივრა და მოითხოვა მისთვისაც საპროცესოს გაფორმება	პირველმა ინსტანციამ მსჯავრდებულს რომელსაც არ გაუფორმდა საპროცესო მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით და ჯარიმა 4000 ლარი.	გაფორმდა საპროცესო შემდეგ პირობებზე: თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით და ჯარიმა 40.000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარეს დანაშაულს	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 3 თვის ვადით. აღ. გადაწყვეტილება გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში, სადაც მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.	გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება შემდეგ პირობებზე: 1 წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, 3 წელი გამოსაცდელი, ჯარიმა 3000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. განაჩენი გაასაჩივრა როგორც მსჯავრდებულმა ისე სახელმწიფო ბრალმდებელმაც, რომელმაც მოითხოვა სასჯელის გამკაცრება (07 წელი).	გაფორმდა საპროცესო შეთანხმება შემდეგი პირობებით: 5 წელი პირობითი და 6 წელი გამოსაცდელი ვადა.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლითა და 9 თვით. დაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 6 წელი თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარი.
	პირველმა და მეორე ინსტანციამ მიუსაჯა 5 წელი, მაგრამ კასაციამ დააბრუნა საქმე ხელახლა გამოძიებაში. საქმის განხილვამდე დაიდო საპროცესო	პირველმა და მეორე ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მსჯავრდებულმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, სადაც საქმე დააბრუნეს სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. განხილვის დაწყებამდე მხარეებს შორის დაიდო საპროცესო	დამტკიცდა საპროცესო შემდეგი პირობებით – 5 წელი გამოსაცდელი ვადა.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით, ხოლო ჯარიმად დაეკისრა 50.000 ლარი. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში,	გაუფორმდა საპროცესო შემდეგ პირობებზე: 2 წელი გამოსაცდელი ვადა და ჯარიმა 30 000 ლარი. 20 000 ლარი დაუბრუნდა უკან.



№	საქმის ნომერი	საქმის თარიღი	სასამართლო	რაიონი	ბრალდებული	ბრალდება
61	18/1711-09	06.03.2010	გიორგი ჩემია, შპსა ლომტათიძე, მარინა ხოლოაშვილი	თბილისი	1	ნარკოტიკული (ნარკოტიკის შექმნა-შენახვა - 260.2)
62	18/202-10	26.02.2010	დimitრი მჭედლიშვილი.	თბილისი	1	ეკონომიკური (ქურდობა დიდი ოდენობით - 177.4.ბ)
63	1/ზ-189-10	26.02.2010	თამარ ალანია	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273 - 10 ეპიზოდი)
64	1/ზ-299-10	01.03.2010	მაია ივანიძე	თბილისი	1	ნარკოტიკული (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება - 273)
65	1/ზ333-09 (წ/გ N012070480)	02.03.2010	მანანა ოთარაშვილი, თამარ ალანია, მაია ივანიძე	თბილისი	1	მმართველობის წესის წინააღმდეგ (პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა - 352.2); საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (იარაღის გამოძალვა - 237.3)
66	18/134-10	04.03.2010	ომარ ჯორბენაძე, მაია თეთრაული, დimitრი მჭედლიშვილი	თბილისი	1	სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ (სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვება - 388.4)
67	18/229-10	09.03.2010	დimitრი მჭედლიშვილი, მაია თეთრაული, ომარ ჯორბენაძე	თბილისი	1	საზოგადოებრივი (ხულიგნობა ჯგუფის მიერ 239.2.ა)



	საპროცესო	შინაარსი	ცვლილება
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მსჯავრდებულმა გააზაჩივრა მეორე ინსტანციაში	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 6 წელი გამოსაცდელი, ჯარიმა 2500 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. გაასაჩივრა სააპელაციოში.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 წელი თავისუფლების აღკვეთა, 4 წელი გამოსაცდელი და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა 2 წელი და 9 თვე თავისუფლების აღკვეთა. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენი.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 წელი გამოსაცდელი, ჯარიმა 10.000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარი. გადაწყვეტილება დაასაჩივრა სააპელაციო სსამართლომ და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 თვე პირობითი ჩათვალა 1 წელი გამოსაცდელ ვადად და ჯარიმა 2000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადი. გაასაჩივრა და მოიტოვა 237 მუხლის მე-3 ნაწილში ბრალდების გაუქმება.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 წელი თავისუფლების აღკვეთა, 5 წელი გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 15.000 ლარის ოდენობით.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით. (სამხედრო ნაწილის თვითნებურად დაკავებისათვის). გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: თავისუფლების აღკვეთა 6 თვით, 2 წელი გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა 2000 ლარი.
	გაუფორმდა საპროცესო მეორე ინსტანციაში, აღიარა დანაშაული	პირველმა ინსტანციამ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, ჯარიმა 5000 ლარი. გაასაჩივრა მეორე ინსტანციაში.	გაუფორმდა საპროცესო შემდეგი პირობებით: 3 წელი თავისუფლების აღკვეთა, 6 თვე პირობითი ჩათვალა 5 წელი გამოსაცდელ ვადად და ჯარიმა 7000 ლარი.



დანართი 3: საპროცესო შეთანხმების რამდენიმე მაგალითი თბილისის საქალაქო სასამართლოში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ განალიზა მის ხელთ არსებული რამდენიმე გადაწყვეტილება. სამწუხაროდ ჩვენ ვერ მოვახერხეთ თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან მიგველო ყველა გადაწყვეტილება, ან თუნდაც ისინი, რომლებიც 2010 წელს მიიღო სასამართლომ. შესაბამისად, რთულია, ვისაუბროთ რაიმე ტიპოლოგიაზე ან ერთგვაროვან საქმეებზე. თუმცა, ჩვენთვის მოწოდებული 45 გადაწყვეტილებიდან მოვახერხეთ გამოგვეყო რამდენიმე საინტერესო მაგალითი.

შეუსაბამოდ მკაცრი სასჯელი.

ჩვენს ხელთ არსებული გადაწყვეტილებების ანალიზით გარკვეული კანონზომიერება დგინდება. კერძოდ ის, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას უმრავლეს შემთხვევაში ინიშნება დაახლოებით საშუალო სასჯელი და ჯარიმა. შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი ჩადენილი დანაშაულის და ამ დანაშაულისადმი პირის დამოკიდებულების პროპორციულია. თუმცა, არის რამდენიმე გამონაკლისიც.


საქმე N 1/6269 ბრალდებულ ვ.-ს ჩადენილი ჰქონდა ხულიგნობა, კერძოდ – ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. კანონის თანახმად აღნიშნული „ისჯება“ ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე¹.

ჩვენს ხელთ არსებული გადაწყვეტილების მიხედვით, ვ.-მ თავის მეგობრებთან ერთად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხობა მიაყენეს პირს, რითაც დაირღვა იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მყუდროება და საზოგადოებრივი წესრიგი. საპროცესო შეთანხმების დადებისას მხარეებმა გაითვალისწინეს, რომ ვ. არ იყო ნასამართლევი, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილს. შეთანხმების თანახმად კი ვ.-ს სასჯელი განისაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთით (მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელი), რომლიდანაც 1 წელი უნდა მოეხადა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, 4 წელი კი გამოსაცდელი ვადა დაენიშნა, ამასთან დაენიშნა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ საქმის გარემოებებიდან, ვ.-ს მიერ აღიარების, მონანიების, ნასამართლობის არ-ქონის, თანამშრომლობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ „წარმოდგენილ საპროცესო შეთანხმებაში მითითებული სასჯელი სამართლიანია და შეესაბამება, როგორც განსასჯელის პიროვნებას, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“².

უნდა აღინიშნოს, ასეთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის თითქმის არასოდეს არ ინიშნება ყველაზე მკაცრი სასჯელი და ძალიან იშვიათად ინიშნება თავისუფლების აღკვეთა სასჯელალსრულების დაწესებულებაში. თითქმის ყოველთვის სასჯელით ინიშნება გამოსაცდელი ვადა. აღსანიშნავია ასევე, რომ ჯარიმის დაკისრება არც ამ მუხლით და არც ზოგადი დებულებებით არასავალდებულო. აღნიშნული ჯარიმა კანონით გათვალისწინებულია, როგორც ჯარიმის მინიმალური ოდენობა, შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი დანიშვნა სიმბოლურია და სასჯელით დასაშვები იყო ამ შემთხვევაში

1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 239.2.ა.

2 ზუსტი ციტატა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილიდან.



ჯარიმის გარეშე სასჯელის შეფარდება. თუ გადავხედავთ ჩვენს ხელთ არსებულ სხვა გადაწყვეტილებებს, ვნახავთ, რომ თავისუფლების აღკვეთის და გამოსაცდელი ვადის ნაწილში ვ.-ს მიმართ დანიშნული სასჯელი უფრო მკაცრია, ვიდრე ზოგიერთი ნარკოტიკული ან ეკონომიკური დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ. მაგალითად, შევადაროთ დანართ 3-ში, ცხრილში მოცემული იმავე სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე ხულიგნობის დანაშაულზე, რომელსაც ასევე ერთვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება (საქმე N1/6138). ამ საქმეში ბრალდებულები დაცვის სამსახურისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გზით ცდილობდნენ რესტორანში შეღწევას და ერთ-ერთმა მათგანმა იარაღიდან გასროლით დაჭრა კიდევ დაცვის თანამშრომელი. მიუხედავად ასეთი მძიმე შედეგისა, არც ერთ მათგანს არ მისჯია სასჯელის მოხდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ერთ მათგანს 3 წლით, ხოლო მეორეს – 5 წლით გამოსაცდელი ვადა დაენიშნათ, თუმცა ორივეს გაცილებით მაღალი ჯარიმა შეეფარდათ (შესაბამისად 20 000 და 80 000 ლარი).

ამასთან, შეგვიძლია შევადაროთ საქმეები, სადაც სასამართლომ გაითვალისწინა დანაშაულის სიმსუბუქე და პიროვნების დამოკიდებულება. საქმე N1/1645-10 [007100418]-ში სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფმა პირმა ღამით ერთ-ერთ მანქანას მოპარა ნაწილი (ბამპერი) და მისი გაყიდვა სცადა, თუმცა მეპატრონემ იცნო ნაწილი და პოლიცია გამოიძიხა. საბოლოოდ ბრალდებულს დაენიშნა 5 წელი გამოსაცდელი ვადა და 5 000 ლარი ჯარიმა. მეორე ასეთი საქმე იყო N1/1409-10, სადაც ბრალდებულმა გოგონამ ქუჩაში გამყიდველს მოპარა რამდენიმე კოსმეტიკური ნივთი, საერთო ფასით 20 ლარამდე. შედეგად მას მიესაჯა 1 წელი გამოსაცდელი ვადა და 2 000 ლარი ჯარიმა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხშირად ითვალისწინებს პროკურატურა ბრალდებულის პიროვნულ დამოკიდებულებას და დანაშაულის სიმძიმეს, თუმცა ზოგჯერ ხდება საპირისპიროც.

შეუსაბამოდ მსუბუქი სასჯელი.

საქმე N 1/1708-10 [007100369] ბრალდებულ ზ.-ს ჩადენილი ჰქონდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა. მას ჩხრევისას აღმოაჩნდა 0,051 გრამი ნარკოტიკული საშუალება ეფედრინი, რომელიც მოთავსებული ჰქონდა ერთჯერად შპრიცში. აღნიშნული არის ეფედრინისათვის დიდი ოდენობა. ბრალდებულმა თავად მიმართა პროკურატურას განცხადებით, გაეფორმებინათ მასთან საპროცესო შეთანხმება.

ზ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რომელიც „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“.

საპროცესო შეთანხმებით ზ.-ს სასჯელად დაენიშნა მინიმალურ ზღვარზე ნაკლები სასჯელი, კერძოდ – თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, რომელთაგან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს 6 თვით, ხოლო 5 წელი – ჩაითვალოს გამოსაცდელ ვადად. დამატებით სასჯელად კი დაინიშნა 5 000 ლარი. სასამართლომ და პროკურორმა გაითვალისწინეს, რომ ზ.-ს გააჩნია შემამსუბუქებელი გარემოებები – „აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხასიათდება დადებითად, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს“.

თუ ამ საქმეს ხულიგნობის ჩამდენი პირის მიმართ ზემოთ განხილულ განაჩენს შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ ნაკლებად მძიმე³ დანაშაულზე პირს დაენიშნა საკმაოდ მკაცრი სასჯელი, ხოლო

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 260.2.ა.

4 ზუსტი ციტატა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილიდან.

5 ნაკლებად მძიმე ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მ.12.2.



მძიმე⁶ დანაშაულისათვის – უდაბლეს ზღვარზე ნაკლები. სხვა განაჩენებთან შედარებით, მოცემულ საქმეში სასჯელი საკმაოდ მსუბუქია. ამავე დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელებს თუ შევხედავთ სხვა საქმეებში, იქაც შეუსაბამობას დავადგენთ. მაგალითად, საქმეები N1/169-10, N1/1150-10 [0011003883], N1/3264-09 და N1/1708-10 [007100369], სადაც ზუსტად ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები ფიგურირებს, სასჯელად 6–ჯერ და უფრო მეტი ჯარიმა და დაახლოებით იმავე ოდენობით გამოსაცდელი ვადა. ამასთან, ამ საქმეებში თითქმის ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები იყო.

საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

საქმე ეხება დაკვეთით შესრულებულ მკვლელობას, დამნაშავეთაგან სამთან (გ.–ს, ვ.–ს და თ.–სთან) გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

თ.–ს მამამ შეიტყო, რომ მას ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას სისტემატურად აყენებდა თ.–ს ქმარი – ზ. ამიტომ, დაუკავშირდა ნათესავს – ა.–ს და ერთად მოაწყვეს სიძის მკვლელობის ორგანიზება. კერძოდ, ა. დაუკავშირდა ნაცნობებს – რ.–ს და ამ საქმეში ბრალდებულ გ.–ს. და შეუკვეთა მათ ზ.–ს მკვლელობა 2 000 აშშ დოლარად. მათ გადაეცათ ზ.–ს სურათი და თ.–ს მამის უკანონოდ შექმნილი იარაღი.

ა.–მ შეატყობინა დაქირავებულ რ.–ს და გ.–ს რომ გარკვეულ დროს ზ.–ს მეუღლე – თ. ბინიდან გავიდოდა და დასადატოვებდა კარს. რ. და გ. მივიდნენ შესაბამის დროს ბინაში და გაისროლეს ზ.–ს მიმართულად, თუმცა ტყვია ასცდა მიზანს. მეორედ გასროლა კი ვედარ მოახერხეს, რადგან ვაზნა ლულაში გაიჭედა. გ. და რ.–მ დატოვეს ბინა, მიიმალნენ, გადააგდეს იარაღი და დამკვეთეს აცნობეს მომხდარის შესახებ.

დაზარალებული ზ.–ს სიმამარმა გ.–ს მიჰყიდა იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, მაგრამ ამსრულებლებმა მაინც ვერ მოახერხეს დაკვეთის შესრულება.

ამის შემდეგ ამსრულებელმა რ.–მ სხვა პირთან, თ.შ.–სთან ერთად გადაწყვიტა დაკვეთის შესრულება. ამჯერად, დაზარალებულის მეუღლე – თ. შეუთანხმდა მათ, რომ სადამოს სახლში მისვლისას გადავიდოდა ავტომანქანიდან და შევიდოდა სახლში, ხოლო ზ. დააყენებდა მანქანას. როდესაც ზ.–მ დააყენა ავტომანქანა სადგომზე და სადარბაზოკენ გაემართა თ.შ.–მ რამდენიმე გასროლა გააკეთა მისი მიმართულად, საპასუხოდ ზ.–მაც გაისროლა, შემდეგ იგი დაიძალა სადარბაზოში და ჭრილობებისაგან ჩაიკეცა. თ. მივიდა მასთან და გააკეთა საკონტროლო გასროლები თავის არეში. ზ. ჭრილობებისაგან ადგილზე გარდაიცვალა. თ.–ს ბინის ჩხრეკისას ასევე აღმოჩენილი იქნა იარაღი, რომელსაც იგი უკანონოდ ინახავდა.

ყოველივე ეს ცნობილი იყო გ.–ს მეგობრისათვის – ვ.–სათვის, თუმცა მან შეგნებულად არ განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებში, რითაც ხელი შეუშალა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების დროულ მხილებას.

განაჩენი გამოტანილია 2006 წელს, თუმცა დანაშაული ჩადენილია 2003 წელს, შესაბამისად, პირებს ბრალი წაეყენათ იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების რედაქციის შესაბამისად, კერძოდ 2006 წლის 31 მაისამდე არსებული რედაქციით.

გ.–ს ბრალი დაედო დანაშაულის დაფარვაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375–ე მძიმე ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მ.12.3.



მუხლით, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო სასჯელი 1-დან 3 წლამდე.

გ.-ს ბრალი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში დამამძიმებელ გარემოებებს შუამდობით და ჯგუფურად – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109.თ და ი ქვეპუნქტებით; ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა და ტარებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236.1 და 2-ე ნაწილებით. მკვლელობისათვის კანონი ითვალისწინებდა 10-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იარაღისათვის – პირველი ნაწილით ჩადენილი ქმედება - ისჯებოდა ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე; მეორე ნაწილით კი – ისჯებოდა ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

თ.-ს ბრალი დაედო დამამძიმებელ გარემოებებით ჯგუფურად განზრახ მკვლელობის დახმარებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24,109.თ ქვეპუნქტით; ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236.1 ნაწილით. მკვლელობისათვის კანონი ითვალისწინებდა 10-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იარაღისათვის – ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით სამ წლამდე ან ტუსალობას ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.

საპროცესო შეთანხმების დადებისას საგამომიებო ორგანოებმა გაითვალისწინეს, რომ ვ.-მ და გ.-მ ითანამშრომლეს გამოძიებასთან და მათი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, ამასთან, მათ მიაწოდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნისათვის არსებითი ინფორმაცია. თ.-ს შემთხვევაში კი გაითვალისწინეს ის, რომ იგი გულწრფელად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და არ იყო ნასამართლევ.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმებას არ დაეთანხმა დაზარალებულ ზ.-ს ადვოკატი, თუმცა მას განემარტა რა უფლება-მოვალეობებით ისარგებლებდა საპროცესო შეთანხმებების დამტკიცების შემთხვევაში და ამიტომ, სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი წინააღმდეგობა.

საპროცესო შეთანხმებების თანახმად:

ვ.-ს მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლისგანაც მთავარი პროკურორის შუამდგომლობის შესაბამისად სრულად განთავისუფლდა.

გ.-ს მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მკვლელობისათვის, იარაღის ნაწილში – ჯამში 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სულ 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლისგანაც მთავარი პროკურორის შუამდგომლობის შესაბამისად სრულად განთავისუფლდა.


თ.-ს სასჯელად განესაზღვრა უდაბლეს ზღვარზე ნაკლები – 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მკვლელობისათვის, ხოლო იარაღის ნაწილში 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ჯამში აღნიშნული 5 წელი ჩაეთვალა პირობით – გამოსაცდელ ვადად. დამატებით სასჯელად კი დაინიშნა 10 000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში შედის და ყოველთვის დიდი სიმკაცრით ისჯება. თუმცა ამ შემთხვევაში ბრალდებულებმა იმდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გამოძიებაში, რომ სრულად განთავისუფლდნენ სასჯელისაგან. მათ შორის თ.-ს, რომელსაც არ უთანამშრომლია გამოძიებასთან, მაგრამ გულწრფელად აღიარებდა დანაშაულს, მხოლოდ პირობითი მსჯავრი დაედო და არც თუ ისე მაღალი ჯარიმა.

განაჩენის შინაარსიდან უცნობია რა დანაშაულის გახსნაში მიიღეს ბრალდებულებმა მონაწილეობა და საერთოდ მიიღეს თუ არა მონაწილეობა სხვა დანაშაულის გახსნაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირად გამოითქმის კრიტიკა. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროცესის სრული გაუმჭვირვალობის გამო რეალურად ძალიან ძნელია, დადგინდეს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო



ბრალდებულების მხრიდან თანამშრომლობა, რა საკითხზე ითანამშრომლებს, რა ტიპის დანაშაულების გახსნაში შეუწყვეს ხელი საგამოძიებო ორგანოებს და რა შედეგი დადგა რეალურად. თითქმის ყველა განაჩენში, რომლითაც საპროცესო შეთანხმება მტკიცდება, საუბარია თანამშრომლობაზე, მაგრამ არაა აღნიშნული რაში გამოიხატა თანამშრომლობა. ეს ერთადერთი განაჩენი იყო, სადაც ის მაინც ეწერა, რომ თანამშრომლობის შედეგად მოხდა დანაშაულების გახსნა. თუმცა, განაჩენის მიხედვით არ გვაქვს არავითარი საფუძველი იმის დასადასტურებლად, რეალურად მოხდა თუ არა თანამშრომლობა, და შეეფერებოდა თუ არა მისი ხარისხი სასჯელის ასეთ შემსუბუქებას და, რეალურად, მისგან ლამის სრულიად განთავისუფლებას.



დანართი 4:

საპროცესო შეთანხმების საერთაშორისო პრაქტიკა

საპროცესო შეთანხმება აშშ-სა და ესტონეთში

საქართველოს და სხვა ქვეყნების საპროცესო შეთანხმების შედარებითი კვლევის ფარგლებში, მოძიებული იქნა ამერიკის, კალიფორნიის შტატისა და ესტონეთის საპროცესო შეთანხმების მოდელები. ეს ქვეყნები შერჩეულ იქნა შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით: აშშ წარმოადგენს ქვეყანას, სადაც საპროცესო შეთანხმება წარმოიშვა და როგორც უკვე ვახსენეთ, ამ ინსტიტუტის ქართული მოდელი სწორედ აშშ კანონმდებლობის გათვალისწინებით იყო შემუშავებული; ხოლო ესტონეთი, საქართველოს მსგავსად, წარმოადგენს კონტინენტური სამართლის ქვეყანას და ამ ქვეყნის კანონმდებლობაშიც საპროცესო შეთანხმება ახლად დამკვიდრებული პრაქტიკაა.

ჩვენი აზრით, ქართული საპროცესო შეთანხმების შედარება სხვა ქვეყნების მოდელებთან საქართველოში მოქმედი ამ ინსტიტუტის ნაკლოვანებების და უპირატესობების დადგენის საშუალებას იძლევა.

აღნიშნულ ქვეყნებში საპროცესო შეთანხმების შესახებ ინფორმაციის მოპოვებამოხერხდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – ესტონეთის“ თანამშრომლების და ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

1. აშშ

ზემოაღნიშნულ კონტექსტში, საინტერესოა საპროცესო შეთანხმების ამერიკის ყველაზე უფრო დასახლებული შტატის - კალიფორნიის კანონმდებლობის ზოგადი დახასიათება და აქცენტების გაკეთება იმ დებულებებზე, რომლებიც მსგავსი ან განსხვავებულია ქართული საპროცესო შეთანხმების ნორმებისაგან.

ა) საპროცესო შეთანხმების წარმოშობა აშშ-ში

ამერიკელი სპეციალისტების განმარტებით, საპროცესო შეთანხმება ესაა შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობისა და დანაშაულის შემცირებას.¹ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ, მას უმსუბუქდება წაყენებული ბრალდება ან სასჯელის ზომა. საქართველოს მსგავსად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ორი სახის საპროცესო შეთანხმება, ესაა საპროცესო შეთანხმება ბრალზე და საპროცესო შეთანხმება სასჯელზე. ბრალზე შეთანხმების დროს, პროკურორი თანხმდება, რომ გააუქმოს ან შეამციროს ბრალდება ჩადენილი დანაშაულისათვის ბრალის აღიარების სანაცვლოდ, ხოლო სასჯელზე შეთანხმების დროს, შეთანხმება ხდება სასჯელის სახეზე, გადასახადზე, სასჯელის ზომაზე და პრობაციის პირობებზე.²

1 Black's Law Dictionary (8th Ed., West 2004).

2 Black's Law Dictionary (8th Ed., West 2004).



აქვე ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მსგავსად, ამერიკის კონსტიტუცია თავის დებულებებში მოიცავს ისეთ საპროცესო უფლებებს, რომლებიც იზღუდება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას. ესენია მოწმის დაკითხვის უფლება, ჯვარედინი დაკითხვის უფლება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენების უფლება³ და ბრალდებულის (განსასჯელის) უფლება რომ არ აღიაროს დანაშაული.⁴ სწორედ ამიტომ, მე-19 საუკუნის დასაწყისში ამერიკული სასამართლოები საპროცესო შეთანხმების გამოყენების წინააღმდეგ იყვნენ, და იმდენად ღრმად იჭრებოდნენ ბრალდებულის კომპეტენციაში, რომ ცდილობდნენ ბრალდებულს დარწმუნებას გაფორმებული შეთანხმების ანუღირებაში.⁵ თუმცა, ვითარება მკვეთრად შეიცვალა მეოცე საუკუნეში. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ნიუ-იორკის შტატში, 1839 წლიდან 1926 წლამდე, საპროცესო შეთანხმებათა რაოდენობა გაიზარდა 20% დან 90 %-მდე.⁶

საყურადღებოა, რომ საპროცესო შეთანხმების კონსტიტუციურობის საკითხზე დავა აშშ-ში მხოლოდ 1970 წლებში დაიწყო (Brady v. US).⁷ სასამართლომ დაადგინა, რომ საპროცესო შეთანხმება ესაა დამნაშავესათვის კონსტიტუციით გარანტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებაზე უარი. აღნიშნულის სანაცვლოდ, პროკურატურა და სასამართლო ზოგავს ფინანსებსა და დროს (ე.ი. თავს არიდებს ხანგრძლივ სასამართლო პროცესს), ხოლო ბრალდებული შემსუბუქებულ სასჯელს იღებს.

აშშ იუსტიციის სტატისტიკის ბიურომ 2006 წელს დაადგინა, რომ სისხლის სამართლის ფელონიის დანაშაულების⁸ 94 % საპროცესო შეთანხმებით მთავრდება.⁹

2007-2008 წლებში ამერიკის ზემდგომმა სასამართლომ 272,255 ფელონიის სისხლის სამართლის დანაშაულიდან 207,903-ზე გამოიტანა სასამართლო გადაწყვეტილება, აქედან 2.8 % (5,905) გამოტანილი იყო ნაფიც მსაჯულთა მიერ, ხოლო 96,8 % (201,347) მთავარ სასამართლო სხდომამდე, ამ 96,8%-დან 79% (164,807) დამთავრდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით, და ამ 79%-დან 96.7% (159,417) საპროცესო შეთანხმებით.

როგორც ვხედავთ, ამერიკაში, საქართველოს მსგავსად, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ამოქმედების დღიდან ფართო განხილვის ფოკუსშია. საყურადღებოა, რომ აშშ-ში დღესაც არ წყდება არგუმენტები ამ სამართლებრივი ინსტიტუტის წინააღმდეგ. საპროცესო შეთანხმებას ასევე მრავალი კრიტიკოსი ჰყავს საქართველოშიც, რომლის კანონმდებლობაში ის ჯერ-ჯერობით ინოვაციის სახით გვევლინება. თუმცა, საქართველოში, ამერიკასთან შედარებით, საპროცესო შეთანხმებით მოგვარებული საქმეების რაოდენობა მცირეა. ამათანავე, მისი გამოყენების მზარდი ტენდენციის გამო, მოსალოდნელია, რომ კამათი ამ სამართლებრივი ინსტიტუტის მოქმედების შესახებ აქტუალობას კიდევ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ დაკარგავს.

3 აშშ კონსტიტუცია, VI შესწორება: “ყველა სახის სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში, ბრალდებულს აქვს სწრაფი და საჯარო სასამართლოს უფლება, მიუკერძოებელი მსაჯულების წინაშე... მისი მომხრე და საწინააღმდეგო მოწმის ჩვენებების მოსმენის გზით ...”

4 აშშ კონსტიტუცია, VI შესწორება: “ არცერთი ადამიანი... ნებისმიერი სახის სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეში არ იქნება ვალდებული წარმოადგინოს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ”.


5 Alschuler, Albert W. & Deiss, Andrew G. The Repeal of the Sixth Amendment by the Courthouse Crowd, ix. Semdeg misamarTze: <http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/plea/etc/uchicago.html#289> (nawyveti A Brief History of the Criminal Jury of the United States-dan, University of Chicago Law Review, vol. 61, pp. 921-928 (1994))

6 Id., citing to: Moley, Raymond. The Vanishing Jury, Southern California Law Review, vol. 2, p. 97 (1928).

7 U.S. Reporter vol. 397, p.742 (1970).

8 მძიმე დანაშაული, მიმართული პიროვნების ან მისი ქონების წინააღმდეგ (მაგ, მკვლელობა, ქურდობა, ხანძრის გაჩენა. ყოველგვარი დანაშაული, რომელიც ისჯება სიკვდილით ან ერთ წელზე მეტი ხნის პატიმრობით. მისდომიანობა – ყველა სხვა დანაშაულის კატეგორია, რომელიც ექვემდებარება 6 თვემდე პატიმრობას ან ჯარიმას 5 000 დოლარის ოდენობით (პრადელი, გვ 173).

9 Judicial Council of California. 2009 Court Statistics Report: Statewide Caseload Trends, 1997-1998 through 2007-2008, p.53. იხ. შემდეგ მისამართზე: <http://www.courtinfo.ca.gov/reference/documents/csr2009.pdf>.



ბ) საპროცესო შეთანხმების დადების წინაპირობები

საქართველოს მსგავსად, აშშ-ში საპროცესო შეთანხმების პირობების შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობს პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის, მაგრამ საპროცესო შეთანხმება მოსამართლის თანხმობის გარეშე ვერ შევა ძალაში.¹⁰ ასევე, სავალდებულოა საპროცესო შეთანხმების პირობების განხილვა სასამართლო პროცესზე და ამ მონაცემების სხდომის ოქმში შეტანა.¹¹ სანამ შეთანხმება გაფორმდება, მოსამართლე არკვევს რამდენად სწორად ესმის ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების არსი, ესმის თუ არა, რომ იგი ამ შეთანხმებით უარს ამბობს გარკვეულ კონსტიტუციურ უფლებებზე. ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, სანამ ის უშუალოდ გაფორმდება.¹² მოსამართლემ ასევე უნდა გაარკვიოს, ზუსტად იცის თუ არა ბრალდებულმა იმ ჯარიმების შესახებ, რისი გადახდაც მოუწევს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, პირობით განთავისუფლების პირობებზე, ზიანის ანაზღაურებისა და რესტიტუციის თანხებზე, დაპატიმრების პირობებზე და საპროცესო ხარჯებზე.¹³

კალიფორნიის სასჯელაღსრულების კოდექსის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია გაარკვიოს, რომ აღიარება დაფუძნებულია ბრალდებულის თავისუფალ ნებაზე და რომ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ბრალდებულის აღიარებას. საქმეზე *People v. Holmes* კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო ღია სხდომაზე დასმული შეკითხვა „ჩაიძინეთ თუ არა ის დანაშაული, რასაც ჩვენებაში ასახელებთ?“ ბრალდებულის მხრიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში, საკმარისი ფაქტობრივი მტკიცებულებაა საპროცესო შეთანხმებისათვის. ¹⁴

სასამართლოს თანხმობა აშშ-ში სავალდებულოა იმისათვის, რომ საპროცესო შეთანხმება ძალაში შევიდეს. მიუხედავად იმისა, თუ რაზე მოლაპარაკებენ პროკურორი და ბრალდებული, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც სასამართლოს პრეროგატივაა.¹⁵ თუ მოსამართლე თვლის, რომ სასჯელის ზომა ჩადენილი დანაშაულისათვის შეუფერებელია, მას უფლება აქვს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე. §1192.5-ს მიხედვით, მოსამართლეს უფლება აქვს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და სასჯელის დაკისრებამდე.¹⁶ ასეთი უარი დასაშვებია, რადგანაც შესაძლებელია მოსამართლე საქმის კარგად გაცნობის შემდეგ, მივიდეს ამგვარ დასკვნამდე.¹⁷

მოსამართლის უფლებები საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში ფორმალურად მსგავსია ამერიკული მოდელისა. ქართული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლოს დამოუკიდებლობა კანონით გარანტირებულია.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების შეთავაზება პროცესის მონაწილე მხარეებისათვის (ბრალდებულისა და ბრალდებულისათვის) მოსამართლესაც შეუძლია. მოსამართლეს ასევე შეუძლია შესთავაზოს მხარეებს საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა და მათი თანხმობის შემთხვევაში, შეიტანოს მასში ცვლილებები.

საქართველოში მოსამართლე, ამერიკული მოდელის მსგავსად, გამამტყუნებელი განაჩენით ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას ბრალზე ან სასჯელზე გარიგებით. ასევე, მოსამართლეს შეუძლია უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და დააბრუნოს საქმე საბრალდებო დასკვნის შესადგენად. ამერიკისგან განსხვავებით, საქართველოში საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად მოსამართლეს

10 West's Annotated California Penal Code § 1192.5 (West 2010).

11 *People v. Walker*, 3d California Reporter vol. 3, p.609 (Supreme Court of California, 1970).

12 *In re Jermaine B.*, 4th California Appellate Reports vol. 69, p.640 (California Court of Appeals, 2nd District, 1999).

13 *People v. Walker*, 3d California Reporter vol. 54, p.1020 (Supreme Court of California, 1991).

14 *People v. Holmes*, 4th California Reporter vol. 32 p. 442 (Supreme Court of California, 2004).

15 *People v. Ames*, 3d California Appellate Reports vol. 213, p. 1217 (California Court of Appeals, 5th District, 1989).

16 იქვე, გვ.1338, (§ 1192.5).

17 იქვე, ნაწილი, რომელიც ეხება *People v. Johnson*, 3d California Reporter, vol. 10, p.873 (Supreme Court of California, 1974)

და *People v. King*, 3d California Appellate Reports vol. 123, p.408 (California Court of Appeals, 1st District, 1981).



ბრალდებულის აღიარების გარდა, უნდა ჰქონდეს სხვა, დამატებითი მტკიცებულებებიც, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.

ანუ კანონით, საქართველოში განაჩენის გამოსატანად საკმარისი არ არის მხოლოდ ბრალდებულის აღიარება. ქართული კანონმდებლობა ერთი შეხედვით, იძლევა უფრო მეტ შესაძლებლობას განსასჯელის ბრალის დასადგენად, თუმცა სხვა საკითხია თუ რამდენად ხდება ამ უფლების პრაქტიკაში გამოყენება.

ამგვარად, აშშ-ში გაფორმებული საპროცესო შეთანხმების პირობები სავალდებულოა როგორც ორივე მხარისათვის, ისე მოსამართლისათვის მასზე დათანხმების შემდეგ.¹⁸ დაუშვებელია, რომ განსასჯელს დაენიშნოს საპროცესო შეთანხმებით გაუთვალისწინებელი სასჯელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასე მოხდა, განსასჯელს უფლება აქვს უარი თქვას თავის აღიარებაზე და მოითხოვოს დარღვეული საპროცესო შეთანხმების გაუქმება.¹⁹

ქართული კანონმდებლობით, ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ მომენტში თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. მაგრამ თუ საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ დამტკიცდა გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით, მასზე უარი დაუშვებელია.

ბრალდებულის მიერ საპროცესო შეთანხმების პირობის დარღვევა, პროკურორს აძლევს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება და მოითხოვოს საქმის გამოძიებაში დაბრუნება.

განსხვავებით სხვა შტატებისაგან, კალიფორნიის შტატი უფლებას აძლევს მოსამართლეს რომ ჩაერიოს მოლაპარაკების პროცესში. *People v. Sandoval* საქმის განხილვის დროს, სასამართლომ დაადგინა, რომ რა დონითაც არ უნდა ჩაერიოს მოსამართლე მოლაპარაკებებში, მან უნდა შეინარჩუნოს სრული ნეიტრალიტეტი.²⁰ თუმცა ზოგიერთმა სასამართლომ გამოთქვა არგუმენტირებული შენიშვნები ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით.²¹

ანალოგიურად, ქართული კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა და მათი თანხმობის შემთხვევაში, მასში ცვლილებების შეტანა.

კალიფორნიის სასჯელადსრულების კოდექსის § 1192.7-ის მიხედვით, გამოყოფილია დანაშაულთა კატეგორიები, რაზეც შეზღუდულია საპროცესო შეთანხმების გამოყენება, მათ შორისაა, ფელონიის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულები (რომელთათვის სასჯელად გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა). მაგრამ მძიმე ფელონიის დანაშაულებში თუ არასაკმარისი მტკიცებულებებია იმისათვის, რომ საქმის არსებითი განხილვით გამოტანილ იქნას გამამტყუნებელი განაჩენი - დასაშვებია საპროცესო შეთანხმების გამოყენება. ანუ, როდესაც სასამართლოს არ აქვს საკმარისი საფუძველი დაამტკიცოს დანაშაული, ის იძულებულია მორიგებაზე წავიდეს.²²

ამ ასპექტთან დაკავშირებით, ქართულ და კალიფორნიულ მოდელებს შორის არსებითი განსხვავებაა. კერძოდ, ქართული კანონმდებლობის მიხედვით საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია ყველა კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულზე გაფორმდეს. არც მატერიალურ და არც საპროცესო კოდექსში ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა დადგენილი არ არის.

18 *People v. Ames*, 3d California Appellate Reports, vol. 213, p.1217 (California Court of Appeals, 5th District, 1989).

19 *People v. Brown*, 4th California Appellate Reports vol. 147, p.1221 (California Court of Appeals, 1st District, 2007)

20 *People v. Sandoval*, 4th California Appellate Reports, vol. 140, p. 124 (California Court of Appeals, 4th District, 2006)

21 *People v. Weaver*, 4th California Appellate Reports vol. 118, p. 148 (California Court of Appeals, 4th District, 2004), ასევე, *ob. v. Williams*, 2d California Appellate Reports vol. 269, p. 884 (California Court of Appeals, 1st District, 1969), *People v. Orin*, California

22 West's Annotated California Penal Code §1192.7 (West 2010).



გ) საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული გადასახადები

კალიფორნიის შტატში სხვადასხვა დანაშაულისათვის განსხვავებული გადასახადებია დაწესებული, მათ შორის დანაშაულებზე, რომლებზეც ფორმდება საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის რაიმე ექსკლუზიური გადასახადი დაწესებული არაა. Re Antazo-s საქმეში დანაშაულის ორივე თანამონაწილეს მიეცა არჩევანის საშუალება, რომ გადაეხადა \$2,500 საურავი, \$625 ჯარიმა ან გადაუხდელი ყოველი ათი დოლარის სანაცვლოდ ერთი დღე პატიმრობაში გაეტარებინა.²³ ერთ-ერთმა თანამონაწილემ შესძლო დაწესებული თანხის გადახდა, ხოლო მეორეს არ აღმოაჩნდა ამის ფინანსური შესაძლებლობა, ამიტომაც მას შეეფარდა პატიმრობა. კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ფაქტი წარმოადგენდა ადამიანის უფლებების უხემ დარღვევას ამერიკის კონსტიტუციის მე-14 დამატების მიხედვით, რადგანაც ადამიანის დაპატიმრება განხორციელდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჯარიმის გადახდის ფინანსური სახსრები არ ჰქონდა.²⁴

კალიფორნიაში დამნაშავე ვალდებულია გადაიხადოს გარკვეული რაოდენობის თანხა იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მისმა ქმედებამ მიაყენა დაზარალებულს.²⁵ მძიმე დანაშაულისათვის ეს თანხა შეადგენს \$200 - \$10,000, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის 100-1000 აშშ დოლარს.²⁶ მოსამართლე მრავალ ფაქტორს ითვალისწინებს ამ თანხის დაკისრებისას, თუმცა თანხაზე შეთანხმება არ უნდა გახდეს მოლაპარაკების საგანი. გასათვალისწინებელი ფაქტორებია: დანაშაულის სიმძიმე, განსასჯელის გადახდისუნარიანობა, ფინანსური ნამატი, რაც განსასჯელმა მიიღო დანაშაულის ჩადენის შემდეგ. კალიფორნიის სასჯელაღსრულების კოდექსის §1202.4-ის მიხედვით ბრალდებული ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს „განსაკუთრებული და დაუძლეველი მიზეზები“, რაც მითითებულია სხდომის ოქმში.²⁷ ბრალდებულს არ აპატიმრებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მას გადასახდელი თანხის გადახდის საშუალება არ აქვს, მაგრამ ეს ვერ გახდება ბრალდებულის გადასახადისგან გათავისუფლების საფუძველი. მოსამართლეს ჯარიმის განსაზღვრისას მინიმალურ დონეზე მაინც უნარჩუნდება დისკრეციული უფლებამოსილება. რაც შეეხება ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურებას, აქ მოსამართლე ნაკლებად ერევა.²⁸ დაზარალებულის რესტიტუცია არანაირ შემთხვევაში არ უნდა იქცეს მორიგების პირობად.²⁹

ქართული საპროცესო შეთანხმების მოდელი ბრალზე ან სასჯელზე გარიგებისას, მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ შეთანხმებული სასჯელის ფარგლებში. მას შეუძლია მხარეებს შესთავაზოს პირობების შეცვლაზე მოლაპარაკება. შეთანხმების შემთხვევაში, სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას, საქართველოს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა განსაკუთრებულ საშეღავათო პირობებს აწესებს. თუმცა პრობლემა ძირითადად დანიშნული დამატებითი სასჯელის – ჯარიმის ოდენობაა, რომლის გამოთვლის წესი ძალზე ბუნდოვანია. კანონით მხოლოდ ჯარიმის მინიმალური ოდენობაა განსაზღვრული. რაც შეეხება დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხს, საპროცესო შეთანხმების დადებისას ის არ წყდება. დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემდეგ ეძლევა უფლება ზიანი აინაზღაუროს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამერიკულ კანონმდებლობაში არსებულ საპროცესო ხარჯების საკითხი, საქართველოს შემთხვევაში, იმ საერთო წესით უნდა რეგულირდებოდეს, რაც საპროცესო კანონმდებლობაშია გათვალისწინებული, მაგრამ ფაქტობრივად, როგორც ოპონენტები ამბობენ, პრაქტიკაში ეს უგულვებელყოფილია.

23 3d California Reports vol. 3, p. 106 (Supreme Court of California, 1970).

24 იქვე, გვ. 108

25 West's Annotated California Constitution Art. 1, § 28(b) (13) (West 2010).

26 West's Annotated California Penal Code § 1202.4(f) (West 2010).

27 People v. Draut, 4th California Appellate Reports vol. 73, p.582 (California Court of Appeals, 1st District, 1999).

28 People v. Brown, 4th California Appellate Reports vol. 147, p. (California Court of Appeals, 1st District, 2007)

29 Walker, supra, n.17.



დ) საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული გავრცელებული პრობლემები

„სასამართლო სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის“

აშშ მეცნიერების თანახმად, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ისაა, რომ სასამართლო წარმოებასა და საპროცესო შეთანხმებას შორის არჩევანის გაკეთებისას, ბრალდებული ფსიქოლოგიურად განწყობილია აირჩიოს უკანასკნელი მხოლოდ იმ მიზეზით რომ საქმის არსებითი განხილვისას, მას უფრო დიდი სასჯელი ელის.³⁰ კვლევების მიხედვით, მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა სასჯელი არ იყო დაპატიმრება - შეადგენს 32%, ვინც აირჩია სასამართლო წარმოება - 19%-ს. აქედან, იმ პირთა შორის, ვისაც მძიმე დანაშაულისათვის სასჯელად დაპატიმრება მიესაჯა, სასამართლო წარმოების გზით მოგვარებული საქმეების შედეგად, პატიმრობის მაქსიმალურმა ხანგრძლივობამ შეადგინა 78 თვე, ხოლო მათთვის, ვინც საპროცესო შეთანხმება აირჩია, პატიმრობამ შეადგინა 29 თვე.³¹

საინტერესოა, რომ *Bordenkircher v. Hayes* საქმეზე, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საპროცესო შეთანხმება არის ადამინის კონსტიტუციურ უფლებებზე უარის თქმის სანაცვლოდ მიღებული შემცირებული სასჯელის ზომა. სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებული დააშინოს იმ დამატებითი სასჯელის მოლოდინით, რაც მას დაეკისრება სასამართლო განხილვის შემდეგ, თუ ის უარს იტყვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.³² აღნიშნულ საქმეში პირი დააკავეს ყალბი ჩეკის გამოშვებისთვის, პროკურატურამ მას შესთავაზა საპროცესო შეთანხმება ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის განახევრების პირობით. პროკურატურამ ასევე განუცხადა, რომ თუ იგი უარს იტყოდა საპროცესო შეთანხმებაზე, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა მისი ბრალი, მას სასამართლო მიუსჯიდა უვადო თავისუფლების აღკვეთას. სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურას არ დაურღვევია ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებები და რომ პროკურორს აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება ბრალდების წაყენების და სასჯელის მოთხოვნის სფეროში. შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ პირველად ჩადენილი თაღლითობის გამო, განსასჯელს არ ეკუთვნოდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, კალიფორნიაში პროკურორს მაინც აქვს უფლება მოითხოვოს ეს სასჯელი. ესაა ერთგვარი დასჯა იმის გამო, რომ ბრალდებულმა უარი განაცხადა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.³³

მეორე მხრივ, მეცნიერები თვლიან, რომ ბრალდებული, რომელიც დარწმუნებულია თავის უდანაშაულობაში, მაინც ყოველთვის სასამართლო წარმოებას აირჩევს, ხოლო პირი, რომელიც დამნაშავეა, ყოველთვის ეცდება არ წავიდეს რისკზე და გააფორმოს საპროცესო შეთანხმება.³⁴

ამგვარი შეხედულება დასაბუთებულია აშშ-ში, სადაც სასამართლოსადმი ნდობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. 2005 წლის კვლევის მონაცემებით, კერძოდ, მოსახლეობის 60%-მა დაადასტურა, რომ კალიფორნიის სასამართლო ნამდვილად იცავს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას.³⁵ სამწუხაროდ, საქართველოში, ოპონენტების თანახმად, ბრალდებული, მაშინაც კი, როდესაც უდანაშაულოა, აღიარებს “ბრალს” იმის გამო, რომ არ აქვს სამართლიანი სასამართლოს რწმენა. რაც შეეხება, პროკურორის დისკრეციულ უფლებას, ქართულ საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმების შემოღების შემდეგ, ის თანდათანობით განხორციელდა და საპროცესო შეთანხმების შეთავაზება კანონიმდებლობით პროკურორის უფლება მოვალეობაა. ამასთანავე, საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია მოსამართლესაც, თუმცა კრიმინალისტების თანახმად, საქართველოში ამგვარი

30 McCoy, Candace. Plea Bargaining as Coercion: The Trial Penalty and Plea Bargaining Reform, *Criminal Law Quarterly*, vol. 50, p.3 (2005).

31 U.S. Dept. of Justice, *supra*. n. 11.

32 *Bordenkircher v. Hayes*, *US Reporter* vol. 434, p.357 (1978).

33 იხ. ზემოაღნიშნული საქმე.

34 იხ. ზემოაღნიშნული საქმე.

35 National Center for State Courts, *Trust and Confidence in the California Courts, A survey of the public and attorneys*, (2005)



პრაქტიკა იშვიათია და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასე ხდება, პროკურორის ზეგავლენა საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოსამართლის უფლებებზე უპირატესია.

ე) პროკურორის მიერ განხორციელებული კონტროლი

სასჯელზე შეთანხმების დროს, კალოფორნიაში პროკურორს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება რომ ბრალდებულს წაუყენოს სასჯელი. საქმის სასამართლოში განსახილველად წარდგენის საკითხი წყდება იმის მიხედვითაქვს თუ არა პროკურორის საკმარისი მტკიცებულებები ბრალდებულის წინააღმდეგ. პროკურორს შეუძლია შესთავაზოს ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები სასამართლო პროცესზე წარსადგენად. მოსამართლეს უფლება აქვს ჩაერიოს განაჩენის ნაწილში, მაგრამ ვერ ერევა სასჯელის ნაწილში.³⁶ პროკურორმა ასევე შეიძლება შესთავაზოს ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების გაფორმება, როდესაც მას ან ბრალდებულს არ აწყობს რაიმე საქმის განხილვა და მისი სახალხო განხილვა, რაც ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს.³⁷

პროკურორის ფართო დისკრეცია საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას ქართულ კანონმდებლობაში ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებისას, - იდენტურია. საყურადღებოა, რომ ქართული საპროცესო კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ამოქმედებამდე ბრალდებისა და ბრალდებულის ყველა გადაწყვეტილებაზე კონტროლს აწესებდა და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები საქართველოში მოსამართლე იყო. მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შემოტანისას (განსხვავებით შეკვეცილი წარმოების ან ბრალის აღიარების გამო სასჯელის შემსუბუქების საკანონმდებლო წესისა), დადგა საპროცესო კანონმდებლობა პრობლემის წინაშე, რომ მოსამართლის როლი შეზღუდულია და ის ვალდებულია დაეთანხმოს პროკურორისა და ბრალდებულის შეთანხმების პირობებს.

ვ) დაზარალებულის როლი

დაზარალებულთა უფლებების დამცველმა მოძრაობამ აშშ-ში გააკრიტიკა საპროცესო შეთანხმება იმ მოტივით, რომ დაზარალებულს ერთმევა უფლება თავისი სიტყვა თქვას საქმის განხილვისას. გარკვეულ დანაშაულებზე პროკურორები კონსულტაციას გადიან დაზარალებულთან და ეკითხებიან როგორ ურჩევნიათ საქმის განხილვა: სასამართლო პროცესზე თუ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გზით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც პროკურორი იღებს.³⁸

ერთ-ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა, რომლის შვილის მოკვლაც დამნაშავემ ცეცხლსასროლი იარაღით სცადა, განაცხადა, რომ „პროკურორები უნდა მოქმედებდნენ დაზარალებულის სახელით და ისინი არ აკეთებენ ამას“.³⁹ ასევე ერთ-ერთმა დაზარალებულმა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა, განაცხადა: „ჩვენ დაგვებრძავეს აღიარებით და უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლება. ეს ჭეშმარიტად უსამართლოა.“⁴⁰

საილუსტრაციოდ მეცნიერებს ხშირად მოჰყავთ კორი ბარტონის (Corey Barton) საქმე, სადაც ის მეორედ იყო მსჯავრდებული მკვლელობისათვის და მოკლულის მშობლებს არ მიეცათ საშუალება რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ბრალდებულთან დაკავშირებით, რადგან მას გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.⁴¹

36 იხ. Bordenkircher, supra. n. 52 გვ. 358, McCoy, supra. n. 49, at გვ. 17.

37 Schulhofer, supra, at 1988.

38 “Victims’ Wrongs: Injured Parties in Harris County Say Plea Bargains Go on Behind Their Backs,” Houston Press, Feb. 25, 2010. განთავსებულია შემდეგ მისამართზე <http://www.houstonpress.com/2010-02-25/news/victims-wrongs/1>

39 იქვე

40 იქვე

41 Victim’s Family, Friends, Outraged by Plea Bargain Sentence, WRAL.com, 1 ოქტომბერი, 2000.



საინტერესოა, რომ საპროცესო შეთანხმების შემოღებამდე და მისი მოქმედების დღევანდელ ეტაპზე, ქართული საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულს ზოგადი დებულებების შესაბამისად, აძლევს არა მხოლოდ დაზარალებულის სტატუსსა და სარჩელის უფლებას, არამედ კერძო ბრალმდებლის ფუნქციის განხორციელებასაც კი აკისრებს. აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობრივი იყო საპროცესო შეთანხმების შემოტანით დაზარალებულის ფართო უფლებების იგნორირება. მოქმედი კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმებისას დაზარალებული ფაქტობრივად უუფლებოა. მას გადაწყვეტილების მიღებისას მონაწილეობა არ შეუძლია. დაზარალებულს ეძლევა უფლება სამოქალაქო წესით მიიღოს ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

ზ) საზოგადოების უფლება ისარგებლონ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით

აშშ მეცნიერთა ჯგუფი დაობს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ესაა არა მხოლოდ ბრალდებულის ინდივიდუალური უფლება, არამედ მთლიანად მოსახლეობის.⁴² სასამართლო პროცესის თავიდან აცილება ართმევს საზოგადოებას უფლებას, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და განახორციელოს საკუთარი სამოქალაქო უფლებები. აღნიშნულ შემთხვევაში, ეს უფლებები გადადის სახელმწიფოს ხელში, რაც არ წარმოდგენდა კანონმდებლის უპირველეს ნებას.⁴³ კრიტიკოსები თვლიან, რომ როდესაც ბრალდებული უარს ამბობს სასამართლო წარმოებაზე, ეს საზოგადოებას ართმევს უფლებას განახორციელოს კონტროლი სასამართლო ხელისუფლებაზე.⁴⁴

აღნიშნული თვალსაზრისით, საქართველოსთან ანალოგიის გაკეთება რთულდება, რადგანაც ნაფიც მსაჯულთა სისტემა ჯერ ჯერობით სულ რამდენიმე თვეა ოფიციალურად ამოქმედდა, და ისიც მხოლოდ თბილისში. ჯერ ჯერობით საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში პროფესიონალი მოსამართლის მიერ ხდება. ეს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა.⁴⁵

2. ესტონეთი

ა) საპროცესო შეთანხმება

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საპროცესო შეთანხმება მიჩნეულია კონტინენტური სამართლის საპროცესო შეთანხმების სახეცვლილებად, რომელსაც ფართოდ იყენებენ შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებისას სასამართლო პროცესის დროს.⁴⁶

საქართველოს მსგავსად, ესტონეთში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება განაპირობა სასამართლოში საქმეთა სიმრავლემ. აღნიშნულ ვითარებაში, საქმეთა განხილვის დაჩქარების, ისევე როგორც საგამომიებო და სასამართლო ხარჯების დაზოგვის (რაც დაკავშირებული იყო ხანგრძლივ და გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებთან)⁴⁷ მიზნით, ქვეყანაში დაინერგა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი.

ესტონეთის კანონმდებლობაში ეს საკითხი მოწესრიგებულია საპროცესო კანონმდებლობით და ოთხ, თითქმის ყველაზე მარტივ ინსტიტუტადაა დაყოფილი (ალტერნატიული პროცესი, გარიგების პროცესი, შემოკლებული პროცესი, დაჩქარებული პროცესი).

42 Appleman, Laura I. The Lost Meaning of the Jury Trial Right. *Indiana Law Journal*, vol. 84, p.398 (2009).


43 Apprendi v. New Jersey, U.S. Reports v. 530, p. 498 (2000) (Scalia concurrence). See also Appleman, *supra*.

44 იხ. Appleman, *supra*. n.65.

45 კერძოდ, ყველას აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხ.).

46 CCP § 14

47 E. Kergandberg. M. Sillaots. *Kriminaalmenetlus*. Tallinn. 2006



კანონი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების გამოყენება:

- პირველი ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, რომლისათვის თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ სასჯელი 4 წელს აღემატება, ხოლო მაქიმალური შეადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთას.
- თუ ბრალდებული, მისი წარმომადგენელი ან პროკურორი არ მისცემს თანხმობას შეთანხმების გაფორმებაზე.
- დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილე არ თანხმდება საპროცესო შეთანხმებას.
- თუ დაზარალებული ან სამოქალაქო მოსარჩელე არ ეთანხმება საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

ყველა სხვა შემთხვევაში შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

ესტონეთის დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად, საპროცესო შეთანხმების შემოღებამდე, ქართული სამართალწარმოება იცნობდა შეკვეცილი წარმოების სასამართლო განხილვის წესს. სსსკ 473-ე მუხლში მთელი რიგი შეზღუდვები იყო დაწესებული დანაშაულის კატეგორიების მიხედვით პროცესის შეკვეცასთან დაკავშირებით. მაგალითად, არ შეიძლებოდა სასამართლო გამოძიების შეკვეცა ან გაუქმება თუ ბრალდებულს სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თუმცა, დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, როგორც აღვნიშნეთ, რაიმე შეზღუდვები დანაშაულების კატეგორიის მიხედვით არ არსებობს. ამავე დროს კანონმდებლის მიერ საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად სავალდებულოა მოთხოვნათა გარკვეული ჩამონათვალი (ესენია საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი)⁴⁸, თუმცა, ამასთანავე, საჯარო ინტერესის არსებობა, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სხვა გარემოებები პროკურორს აძლევს ფართო დისკრეციას გადაწყვეტილების მიღებისას. ამდენად, საინტერესოა ესტონური მოდელი, სადაც შეზღუდვები უფრო მკაფიოდაა მითითებული და განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილებულია დაზარალებულის უფლებებზე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ასევე, საყურადღებოა, რომ ესტონეთის მოდელისგან განსხვავებით, საქართველოში, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირი მონაწილეობდა და ერთ-ერთი მათგანი მაინც არ თანხმდება საპროცესო შეთანხმებას, დაშვებულია საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

ესტონეთში, საქართველოს მსგავსად, საპროცესო შეთანხმების ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც ბრალდებული, ასევე პროკურორი. სანამ დაიწყება მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, პროკურორი ეჭვმიტანილს/ ბრალდებულს განუმარტავს მის უფლებებს და იმ შესაძლო შედეგებს, რაც მოჰყვება საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. იგივე წესები მოქმედებს დაზარალებულისა და სამოქალაქო მოსარჩელის მიმართ.

ესტონეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სადაც დაზარალებული საპროცესო შეთანხმებაში ფაქტობრივად მხარედ არის გამოყვანილი, საქართველოს კანონმდებლობა დაზარალებულს ბრალდების მხარედ არ აღიარებს და მას მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უფლებას აძლევს სამოქალაქო სამართალთარმოების წესით.

ესტონურ საპროცესო შეთანხმებას ახასიათებს სამი მნიშვნელოვანი თავისებურება, ესაა: 1. მტკიცებულებების გამოკვლევა არ ხდება სასამართლოში და არ განიხილება დამანაშაულობა/ უდანაშაულობის საკითხი 2. არ ხდება მოწმეთა გამოძახება სასამართლოში 3. არ ხდება სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

საქართველოში კი, განსხვავებით ესტონეთისგან, შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების დამტკიცების

⁴⁸ მუხლი 6791 – ის მე-6 ნაწილი



შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება. საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციისა და მისი მე-7 დამატებითი ოქმის ხელმომწერი, კანონმდებლობით არეგულირებს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების წესს. კანონში მითითებული პირობების მიხედვით, მსჯავრდებულს შეუძლია კანონში არსებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება. ამ დებულების მიუხედავად, მსჯავრდებულის მიერ საპროცესო შეთანხმების გადაწყვეტილებების გასაჩივრების პრეცედენტები საქართველოში თითქმის არ არსებობს.

ესტონეთში პროკურატურის უპირველესი მოვალეობაა განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები და საპროცესო შეთანხმების არსი. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული აღნიშნული გააკეთოს, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ბრალდებულს ამომწურავად არ ესმის შეთანხმების პირობები.

შეთანხმებაზე პროკურორის შეთავაზების შემდეგ, იწყება მოლაპარაკებები ეჭვმიტანილთან/ბრალდებულთან და მის წარმომადგენელთან. ამ მოლაპარაკებების ძირითადი მიზანია დანაშაულის სამართლებრივ შეფასებაზე და სასჯელზე შეთანხმება. ზოგ შემთხვევაში, შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს დაზიანების ხარისხი და მასშტაბი. შეთანხმების საგანი ვერ იქნება მტკიცებულებების არსებობა/არარსებობა, რადგან შეთანხმების შემთხვევაში, სასამართლოში რაიმე მტკიცებულების ამოღება თუ დამატება - დაუშვებელია.

მოლაპარაკებების შედეგად, კანონმდებლობის შესაბამისად, ესტონეთში საპროცესო შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით. საპროცესო შეთანხმების ასლებს პროკურატურა გადაუგზავნის მსჯავრდებულსა და სასამართლოს.

საქართველოს შემთხვევაში, კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დაწყებიდანვე მთელი რიგ უფლებებს აძლევს ბრალდებულს. ესენია დაცვის უფლება, უფლება იცოდეს რაში ედება ბრალი, უფლება დეტალურად გაერკვეს საპროცესო შეთანხმების შინაარსში. აღნიშნული უფლებების შესახებ არა მხოლოდ პროკურორი იძლევა ახსნა-გამმარტებებს, არამედ სასამართლო ვალდებულია გაადამოწმოს და თვითონაც უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა. სასამართლო პროცესზე, საქართველოში, ისევე როგორც ესტონეთში არ ხდება მტკიცებულებების წარმოდგენა და გამოკვლევა. მოსამართლის მოვალეობაა საპროცესო შეთანხმების პირობების გადამოწმება და იმის დადასტურება, რომ ბრალდების მიერ საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი.

ესტონეთში მოსამართლე, რომელიც მიიღებს შეთანხმებას, წყვეტს დანიშნოს თუ არა წინასწარი სხდომა. თუ აღმოჩნდება, რომ არ არსებობს ამის საჭიროება, მას გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება:

- ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე;
- საქმის პროკურატურისათვის დაბრუნებაზე, თუ არ არსებობს საპროცესო შეთანხმების დადების წინაპირობები;
- საქმის პროკურატურასთვის დაბრუნებაზე, რომ შეცვლილი იქნას საპროცესო შეთანხმების პირობები, თუ მოსამართლე არ ეთანხმება მას ბრალის ან სასჯელის ნაწილში.
- საქმის პროკურატურასთვის დაბრუნებაზე, თუ სასამართლო თვლის, რომ უნდა გაგრძელდეს საპროცესო მოქმედებები, რადგან არ ეთანხმება პირის გასამართლებას საპროცესო შეთანხმებამი ჩადებული პირობების მიხედვით.

საქართველოში გამამტყუნებელი განაჩენი წარმოდგენს საპროცესო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, რომელიც სასამართლოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას გამოაქვს. საპროცესო შეთანხმების დამტკიცება- არდამტკიცებამდე სასამართლოს უფლება აქვს მხარეებს შესთავაზოს პირობების



გადასინჯვა და ის ახალი შეთანხმების შემთხვაში დაამტკიცოს. მოსამართლის მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი, ანუ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება გამოძიებაში საბრალდებო დასკვნის შესადგენად, არ გამოირიცხავს განმეორებით საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას.

ესტონეთში საქმის განხილვის დროს ბრალდებულის და მისი დამცველის გამოცხადება სავალდებულოა. საპროცესო შეთანხმების წარდგენის შემდეგ, მოსამართლე არკვევს, ესმის თუ არა ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების არსი და შესაბამისად, ეთანხმება თუ არა მას. მოსამართლემ უნდა შესთავაზოს ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების არსის უფრო დეტალურად გარკვევა და ასევე გამოიკვილოს მოქმედებდა თუ არა ბრალდებული თავისუფალი ნებით, როდესაც თანხმდებოდა საპროცესო შეთანხმებას. მოსამართლე ასევე აძლევს უფლებას როგორც დამცველს, ისევე ბრალდებულს, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი. მას, ასევე, უფლება აქვს დაკითხოს პროცესში მონაწილე პირები. თუ მოსამართლე არ არის კმაყოფილი საპროცესო შეთანხმების პირობებით, იგი საქმეს უკან აბრუნებს.

ამგვარად, ესტონეთში საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ბრალდებულის პროცესუალური გარანტიები საქართველოში ბრალდებულის უფლებების მსგავსია.

ესტონეთის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ აღმასრულებელი დირექტორის, ასსო პრის აზრით, ესტონეთის კანონმდებლობაში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ კანონის ინტერპრეტაციის მიხედვით, დასაშვებია ვარაუდი, რომ საპროცესო შეთანხმების გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სტადიაზე პირველი ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუმცა, საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, პროკურატურა უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები პირის გასასამართლებლად.

მეცნიერები ესტონეთში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ნაკლად მიიჩნევენ იმ „გაიდლაინების“ ანუ სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობას, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მოლაპარაკების წარმოების წესები. ბატონი ასსო პრის ინფორმაციით, პროკურატურამ გამოსცა გაიდლაინები ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც შეეხება კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეებს, პროკურორი ვალდებულია გაითვალისწინოს ხელშეკრულების, ორგანიზაციისა და ქრთამის ზომა, თუმცა პროკურატურას მაინც ფართო უფლებამოსილება გააჩნია სანქციებთან დაკავშირებით.⁴⁹

ბ) ესტონეთში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული სტატისტიკა

2009 წელს, ესტონეთში პირველმა ინსტანციამ განიხილა სულ 10341 საქმე, აქედან 712 საქმის არსებითი განხილვით, ხოლო 9629 საქმე გამარტივებული წარმოებით საიდანაც 3332 საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით რაც მთლიანი საქმეებს 34,6 %-ია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა ესტონეთის“ მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 2009 წელს გამოტანილი იქნა 7881 გამამტყუნებელი ვერდიქტი და 193 გამამართლებელი გადაწყვეტილება.

ესტონეთში საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმეების მაჩვენებლები საქართველოს სტატისტიკაზე უფრო დაბალია (2009 წლის მონაცემებით -58, 9%), თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესტონეთში სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობა, საქართველოსთან შედარებით, უფრო მცირეა. ამავე დროს დიდი კონტრასტია გამამართლებელი განაჩენების რაოდენობაში, საქართველოში 2009 წელს (იანვარი-აგვისტო) მათმა რაოდენობამ 7 შეადგინა, ხოლო ესტონეთში გამამართლებელი განაჩენების რიცხვი 2009 წლისათვის 193-ია.

49 OECD II Evaluation Report on Estonia.



სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია სათანადო მონაცემთა ბაზა, რომელიც მოგვცემდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი საპროცესო შეთანხმება იქნა უარყოფილი ესტონური სასამართლოს მიერ 2009 წელს, თუმცა 2006-ში 4823 საქმიდან 268 საქმეს (5,6 %) უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, უმეტესწილად მიზეზი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის სავალდებულო წინაპირობების უკმარისობა.

რაც შეეხება სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელს ესტონეთში, 2008-2009 წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-ესტონეთში“ ჩაატარა სასამართლო მონიტორინგი, სადაც გამოკითხულთა 95 %-მა განაცხადა, რომ მოსამართლე მიუყვებოდა სასამართლო განხილვისას. საზოგადო აზრის მიხედვით, ესტონეთის სასამართლო არის სანდო და არაკორუმპირებული. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-ესტონეთის“ ინფორმაციით, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში სამი ესტონელი მოსამართლე იქნა დაკავებული სწორედ კორუფციის ბრალდებით.

კალიფორნიის შტატის და ესტონეთის საპროცესო შეთანხმების მოდელების მიმოხილვის შემდეგ, რიგი მსგავსება მქვავს საქართველოში დამკვიდრებული საპროცესო შეთანხმების მოდელთან მიმართებით. კერძოდ: ბრალდებულისათვის უფლებების განმარტება, დაცვის სავალდებულობა, არსებითი განხილვის გარეშე სასამართლო პროცესი, საპროცესო შეთანხმებაზე უარის უფლება და სხვა. თუმცა, ამავე დროს იკვეთება განსხვავება ამ სამი ქვეყნის საპროცესო შეთანხმების მოდელების გარკვეულ პრინციპებს შორის. ძირითადია განსხვავება ესტონურ პრაქტიკაში არსებული დაზარალებულის უფლებების გათვალისწინების საკითხში და საპროცესო შეთანხმებისას კალიფორნიაში მოქმედი ფინანსური ვალდებულების ასპექტებში. საყურადღებოა, რომ ამ საკითხებში არსებული ნაკლოვანებები საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის კრიტიკოსთა მთავარ სამიზნეს წარმოადგენს.

შესაბამისად, საინტერესო იქნებოდა, რომ ქართველ კანონმდებლებს საპროცესო შეთანხმების დებულებების დახვეწის პროცესში გათვალისწინებინათ ამ ქვეყნების გამოცდილება დაზარალებული მხარისათვის მეტი უფლების მინიჭებით, ისევე როგორც საპროცესო შეთანხმებისას ფულადი ვალდებულების გადახედვით. აღნიშნული მოდიფიკაციების შედეგად ქართული მოდელი უფრო სამართლიან სახეს შეიძენდა და მეტ ნდობას დაიმსახურებდა მოსახლეობის მხრიდან.

საყურადღებოა, რომ ამერიკასა და ესტონეთისგან განსხვავებით, საქართველოში საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზეც ფორმდება. თუმცა, ალბათ, საქართველოში საპროცესო ინსტიტუტის ყველაზე უფრო სუსტი მხარე სასამართლოს დამოუკიდებლობის შემზღვეველი პირობებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი საკანონმდებლო დებულებები, მათი აღნიშნულ ქვეყნებში გამოყენების პრაქტიკა და რესპოდენტთა მოსაზრებები შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის სრულყოფისათვის.

